



ენის სამხარაძე
თამარ მამისაიშვილი

ჯორჯია

მანა ჯოხაძე
ენო დარბაისელი
ამირან გომართალი

არბიანა-ესეისიანა

1933

ცისკარი

№ 3 // 2022

ლიცენზირებული –
საზღვარგარეშევი ჟურნალი

მთავარი რედაქტორი
ამირან გომარტელი

პასუხისმგებელი რედაქტორი
თამარ გელიტაშვილი

კომპიუტერული უზრუნველყოფა
მარინე სიყმაშვილი

ჟურნალი გამოდის
საქართველოს კულტურის, სპორტისა და
ახალგაზრდობის
სამინისტროს სელშეწყობით



საქართველოს
კულტურის, სპორტისა
და ახალგაზრდობის
სამინისტრო

ciskari1852@gmail.com
<https://dSPACE.nplg.gov.ge/handle/1234/2>

სარჩევი

ხრიტიანა-ესეისტია		ნინო დარბაისელი-	37
მაია ჯონაძე	3	სტრონი	
გურამ დოჩანაშვილის		ზაზა აბზიანიძის	
მოლანდება		„პაოლო იაშვილი“ ანუ ჩემი	
კაცხის მონასტერში		„ავდარიანული ხრიდოლი“	
ნინო დარბაისელი-	19	დრამატურგია	
სტრონი		ბასო ხვედელიძე	42
ვინ არის ადრესატი		ორი მე	
იოსებ გრიშაშვილის ლექსისა		ილია ჭავჭავაძე - 185	
„ქალს უღვაშებით, კეპით		მარინა სიყმაშვილი	63
და ჯოხით“		საიუბილეო არმაღანი	
პოეზია		ახალი თარგმანი	
ნინო სამხარაძე	22	ალექსანდრე პუშკინი	67
თამარ მამისაძე	26	ფიცი	
პროზა		რუსულიდან თარგმნა	
ლუკა ხაბიაშვილი	29	აკაკი დაუშვილმა	
პროექტი „იმედი“		არბრევიუ	
ხრიტიანა-ესეისტია		ირინე ძუცოვა	77
ამირან გომარეთელი	34	ისევ ფიროსმანის შესახებ	
ექსპრომტის დიდოსტატი			
(პაოლო იაშვილი)			

გარეჯანზე - წვიმა. ელენე ახვლედიანი. 1933

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ;
გთხოვთ, მასალების ელვერსია გადმოგზავნოთ ვორდის ფაილით;
ჟურნალის ყოველი ნომრის ელვერსია მომდევნო ნომრის გამოსვლისთანავე
განთავსდება საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ციფრულ
ბიბლიოთეკა „ივერიელში“ – <https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/2>

მაკა ჯოხაძე



გურამ დოჩანაშვილის მოლანდება ხაცხის მონასტერში

არიან დიდი მწერლები, კლასიკოსები, რომელთაც ხალხი მხოლოდ სახელებით მოიხსენიებს.

მკითხველი არა მხოლოდ იმ მხატვრული სამყაროს გაცნობითაა ბედნიერი, რომელშიც ავტორმა ამოგზაურა, არამედ მაღლიერია მწერლისა, მთელი ცხოვრება უშიშრად რომ გამოხატავდა თანამემამულეთა ინტერესებს, მთელი არსებით რომ იღვწოდა სამშობლოს საკეთილდღეოდ. ამიტომ სახელით მოხსენიებაც მაღლიერების ნიშანია, რომ ერთგული დარჩი, ჩინ-მედლებზე არ გაიყიდე, პატივსა და ამქვეყნიურ დიდებაზე არ გაცვალე შენი ხალხი, შენი ქვეყანა...

ქართულ სინამდვილეში მათი სახელების ჩამოთვლა, უპირველეს ყოვლისა, ლექსად გვახსენდება: „შოთა, ილია, აკაკი, ვაჟა და გალაკტიონი“...

არანაკლები სიამაყითა და სიყვარულით წარმოითქმის დანარჩენ დიდთა გვარ-სახელებიც: იაკობ ცურტაველი, გიორგი მერჩულე, დავით გურამიშვილი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, ალექსანდრე ყაზბეგი, დავით კლდიაშვილი, ნიკო ლორთქიფანიძე, გრიგოლ რობაქიძე, მიხეილ ჯავახიშვილი, კონსტანტინე გამსახურდია და ასე დღემდე...

და მაინც არსებობს მათ შორის უცნაუ-

რი გამონაკლისები, რომელთა გვარებსაც ისე თავისუფლად ექცევიან, როგორც კლასიკები ვექცეოდით ერთმანეთს ბავშვობაში, შემოკლებით ფორმაში რომ გადაგვყავდა „საგვარეულო დინასტიები“. რაშიც ბევრი რამ იგულისხმებოდა – ახლობლობა, სითბო, სინათლე, მისიან-შენიანობა, სიყვარული, ბავშვობის ნოსტალგია, ცეცქობა, უფლებამოსილება, თანასწორობა, ურთიერთშეხუმრება...

ბავშვობა ხომ ყველაზე უანგარო თაობაა სამყაროში. ბავშვობაში ცა არის ცისფერი, მზე არის მზის ფერი და ადამიანსაც ადამიანის ფერი ადევს. ეს მერე ხდება გაფერადება, როცა იწყება გაფერმკრთალება...

ვისზეც ახლა ვწერ, მარადიულ ბავშვად დარჩა და ამიტომაც მოუხდა მის ჰორიზონტივით განოლილ გვარს ასე საყვარლად შემოკლება: დოჩანა – ჩვენი გურამ დოჩანაშვილი!

დღეს ბევრს საუბრობენ საყოველთაო კრიზისზე ადამიანური არსებობის ყველა სფეროში. სანამ უშუალოდ ამ უცნაურ მწერალსა და მის შემოქმედებას გავიხსენებდეთ, ზოგადად, თანამედროვე სულის კრიზისსა და კონკრეტულად დღევანდელი

ლიტერატურის ყველაზე ნაკლებად მხარეს გერმანელი ფილოსოფოსის, კარლ იოილის სიტყვებით მინდა შევეხო:

„ჩვენს თვალსაზრისს სამყაროს შესახებ აკლია მისწრაფება მთლიანისადმი და, საერთოდ, აბსოლუტურისადმი. ჩვენ გვაკლია ძალა დაჯერებისა და, მასთან ერთად, ძალაც რწმენისა;

ჩვენში აღარ არის დიდი ხასიათები, ჩვენს სინამდვილეში აღარ არიან პიროვნებები, რომლებიც უწყვეტ კავშირში გამოხატავდნენ დროისა და ხალხის ინტერესებს;

ჩვენ არა გვაქვს დიდი პოეზია, რადგან კოსმიურ მთელს მონყვეტილი ჩვენი ფანტაზია მხოლოდ უმნიშვნელოს ეჭიდება, დიადს კი ისე ექცევა, როგორც გასართობს რასმე და ეს იმის გამოც ხდება, რომ ჩვენს პოეტებს უკვე აღარ აქვთ ის კოსმიური გრძნობა კლასიკოსებისა, მათ პოეზიას უმაღლეს ჟღერადობას რომ ანიჭებდა, მხატვრულ სახეებს კი შინაგანი აუცილებლობით მსჭვალავდა;

გვაქვს მხოლოდ გამაბრუებელი მხატვრობა ტონის, მელოდიურობის გარეშე; გვაქვს ჭრელზე-ჭრელი ილუსტრირება და ინსცენირება სულის გარეშე; გვაქვს მდიდარი და ცოცხალი სცენა – მსახიობების გარეშე, რომლის გმირები მხოლოდ მასები და მარიონეტები არიან; გვაქვს რეჟისურა, როგორც მოვლენათა წარმართვის ხელოვნება – არსის გარეშე; და ბოლოს, გვაქვს გარეგნულად მდიდრული ცხოვრება, ისე მდიდრული, როგორც არასდროს, ოღონდ სიმშვიდის გარეშე, შინაგანი ჰარმონიის გარეშე, რადგან ამ ცხოვრებას აკლია მისწრაფება მთლიანობისაკენ, აბსოლუტურობისაკენ, სამყაროსა და ადამიანის განსაზღვრებისაკენ.

აი, ასე გარდაიქმნება ფილოსოფიის კრიზისი – დროის კრიზისად“.

სხვათა შორის, იგივე მოსაზრებები აქვს გამოთქმული შესანიშნავ ფრანგ პოეტსა და მოაზროვნეს პოლ კლოდელს თანადროული ფრანგული პოეზიის კრიზისზე საუბრისას.

ძნელია, არ დაეთანხმო მსგავს დაკვირვე-

ბებს, მეტიც, შესაძლებელია, გაცილებით გამკვეთრო, გაამძაფრო და გაამუქო ამ შეგრძნებათა ფერები... მაგრამ, საბედნიეროდ, შემოქმედებითი პროცესი, როგორც თავად სიტყვა მიგვანიშნებს, შესაქმესთან, ღმერთის შემოქმედებასთან წილნაყოფის პროცესია.

ამიტომ ყველაზე უსამართლო რეჟიმებისა და პირქუში ეპოქების პირობებშიც, თვით აპოკალიფსურ ხანაშიც კი რჩებიან პიროვნებები, ხელოვნების გამორჩეული წარმომადგენლები, რომლებიც, მიუხედავად ყველაფრისა, სინათლეს, რწმენას, იმედს, სიყვარულს ინარჩუნებენ და ცხოვრებას გვიოლებენ.

ამ თვალსაზრისით, თანამედროვე მწერალთა შორის, გურამ დოჩანაშვილი ერთერთი კაშკაშა ვარსკვლავია. ამიტომ თუ მის შემოქმედებას თუნდაც კარლ იოილის ზემოთ ჩამოთვლილი დაკვირვებების ფონზე განვიხილავთ, დაწყებული ადრეული მოთხრობებიდან, ვიდრე ბოლო წლების სქელტანიან რომანებამდე, მწერალი პუნქტობრივად აბათილებს თითოეულ მათგანს და, საერთოდაც, დღევანდელ ფილოსოფოსთა, ხელოვნებისმცოდნეთა, მეცნიერთა, თეოლოგთა პესიმისტურ მოსაზრებებსა და განწყობილებას, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ გურამ დოჩანაშვილი მოკლებული იყო რეალობის გრძნობას და სამყაროში მიმდინარე პროცესებსა და მოვლენებს ვარდისფერი სათვალით უყურებდა.

გასაოცრად რომანტიკული ბუნების მიუხედავად, ჩვენს სინამდვილეში, საბჭოური პერიოდიდან მოყოლებული, შესაჩქოა, ისეთი მათემატიკური სიზუსტით დანახული, ისეთი ფხიზელი და მძაფრად კრიტიკული დამოკიდებულება ქართული დაუდევრობისადმი, გადაჭარბებული, ხარბი ჰედონიზმისა და დროის დარდიმანდული ფლანგვისადმი არც არავის ჰქონია, როგორც მას.

იქნებ ეს სინამდვილე ისე უცნაურად, ფანტასმაგორულ-ალეგორიულად, იმდენნაირი თავბრუდამხვევი ილეთებით, მის მიერ აღმოჩენილი ისეთი ხერხებითა და

საშუალებებით, ისეთი თავანყვეტილი სიცვლქითა და ენერგიული ხალისიანობით, სიტყვათქმნადობისა თუ ენობრივი ნორმების დარღვევით ისე არც არავის გამოუხატავს, როგორც მას... ოღონდ, დავით კლდიაშვილისა არ იყოს, მასაც არასოდეს დაუცინია საკუთარი გმირებისათვის.

სანიმუშოა ის სიყვარული, რეალურად არსებულ თუ მწერლის ფანტაზიით შექმნილ სხვადასხვა ქალაქებში მოხეტილ თანამემამულეებისადმი (უძლები შვილებისადმი) რომ იკითხება. ყველაზე ირონიულ-ნიჰილისტური რემარკებით, რითაც სავსეა გურამ დოჩანაშვილის მხატვრული ტექსტები. მწერალი ჟამიდან-ჟამზე არა მხოლოდ სულის მოთქმაში ეხმარება მკითხველს, არამედ იმ უაბზაცო, უუგრძელესი წინადადებებისა და გვერდების გააზრებაში, იმ ორომტრიალის გარკვევაში, ავტორის ნებართვის გარეშე დაუკითხავად გაქცეულმა თუ გაპარულმა „ჩუდაკებმა“ რომ დაატრიალეს.

ეს რემარკები სიყვარულისა და თანაგრძნობის მაუწყებელი სხივებივითაა, ცნობისმოყვარე ბავშვებივით რომ იჭყიტებიან ტექსტის მხატვრული ქსოვილიდან. ასეთი ორგანული, სულხორცეული ერთობა ავტორ-გმირისა, ავტორ-პერსონაჟისა დიდი იშვიათობაა. ამის დასტურად, უამრავთა შორის, ერთადერთი ნიმუშის მოხმობაც იკმარებდა აფრედერიკ მე-სა და ბესამე კაროს სახით. აფრედერიკიც ხომ ისევე იძირება მოვლენებში, როგორც აღდგენით სამუშაოებზე გაგზავნილმა ბესამე კარომ იწყო ნება-ნება ცოდვის ტკბილ ჭაობში ჩადირვა...

ეს რა ხდება! ეს რა ესმის!!! არც თვალს უჯერებს და არც ყურებს გაოგნებული მკითხველი.

ნუთუ ეს ის ბესამეა, ფეხშიშველა მწყემსი, სალამურზე კენესით რომ დაატარებდა მუსიკის ღვთაებრივ ნაპერწკლებს და ამის შესახებ წარმოდგენაც კი არ ჰქონდა?!

ნუთუ ადრე დაობლებული ის მორცხვი ბიჭია – მშიერ-მწყურვალი, ყველასა და ყველაფრის მიმართ მორიდებული, ბატკა-

ნივით უწყინარი და უცოდველი, ერთ მშვენიერ დღეს უფლისაგან შეწყალებული რომ აღმოჩნდა და მფარველად დიდი მუსიკოსი, თეთრწვერა ქრისტობალდ როხასი მიუჩინა?! მოხუცმა კი ჩააცვა, დაახურა, მერე თეთრი კონსერვატორიის დიდ დარბაზში მიიწვია, ხელში ფლეიტა დააჭერინა და მის მუსიკალურ ნიჭს წვრთნა დაუნყო, შრომისმოყვარეობას, დამოუკიდებელ აზროვნებას მიაჩვია.

მე რომ თქვენთვის ცხვარი არ მომიმწყემსავსო, – უხერხულად იშმუშნებოდა ბესამე; არაფერი ესმოდა უანგარო სიკეთისა. სტიპენდიის სახით, ჯიბეში ჩაჩხრიკლებულ პესოებზე სულ გადაირია, – რად მინდა, მაგათ რა უნდა ვუყო.

არადა, როგორ გაუტკება ეს პესოები მომავალში... გული გისკდება, მისი ბუნების რღვევას რომ ადევნებ თვალს. გადაგვარება მით უფრო სამწუხაროა, როცა იცი, ყველაფერი რით დაიწყო და როგორ განვითარდა; როცა ხედავ ისტორიის არაკოლექტიური, ინდივიდუალური ხედვის (შეფასების) გამო, – ნაპოლეონზე გამოთქმული სუბიექტური აზრი რომ დააფიქსირა, – აბუჩად როგორ აიგდებენ და გამოცდაზე როგორ ჩაჭრიან გულუბრყვილო ბესამეს; როგორ აგზავნიან გამოსასწორებლად ვატერ(პო)ლოში, აღდგენით სამუშაოებზე; მოდუნებული ნებელობის გამო, როგორ უგრეხენ კისერს პლასტელინის ფიგურასავით და მისგან ახალი კაცის გამოძერწვას როგორ ახერხებენ.

ო, რა მწარეა ღვთის ხატად და მსგავსებად შექმნილის ასეთი ფერიცვალება. მით უფრო, როცა გაიაზრებ, რატომ, რის გამო, რისი დათმობისა და დავინყების ხარჯზე ხდება ეს ადამიანური აღზევება, „გამდიდრება“, „გაელიტურება“, „გაპოპულარულება“... და როცა უკვე ბოლომდე დაცემული, ცოდვის კიბეზე დაშვებული, გაპირუტყვებული ბესამე კარო უკანასკნელ საფეხურსაც ჩაათავებს, ღვთიური ძალა ელვის მათრახებით გადახსნის თითქოს ზეცის უფსკრულებს, მფარველი ანგელოზივით თეთრწვერა მოხუცს ქრისტობალდ რო-

ხესს კიდევ ერთხელ მიუგზავნის და ჰაერში გრგვინვასავით გაისმის გაკვირვებული შეკითხვა:

„– ადამიანი იყავი ერთ დროს და, რამ გაგამხეცა...“

მთლად მოკუნტული იდგა ბიჭი.

– რისი გული გაქვს, თავი რით მოგაქვს, რა გაბადია...“

მცირეოდენი პაუზის მერე თავჩაქინდრული ბიჭი, მოულოდნელად წელში გამართული და სასაცილოდ გაჯგიმული, უპასუხებს მუსიკის მასწავლებელს:

„– მე მდიდარი ვარ, როგორც რომ ალბა.“

შემართულ თავზე დაადო ხელი:

– შენ ღარიბი ხარ, როგორც იესო.

მოიმჩვარა, კი მოიმჩვარა და მერე რო-

ცისაგან მაცხოვრის სახელის ეს მოულოდნელი ხსენება „ბითურ“ ბესამეს ჯერ დაარეტიანებდა, მერე აზრზე მოიყვანდა და „დიდ, სამართლიან სახლში“ (ასე ჰქვია ამ მოთხრობაში ეკლესიას) ფრთხილად ფეხშედგმულს საკუთარ თავს გაახსენებდა, გაოგნებული რომ მისჩერებოდა, თეთრ კედელზე როგორ ანათებდა: „თან ნაგვემი და თანაც ჯვარცმული, თანაც ღარიბი იესო. ცოტათი იქით კი მკვეთრად მოჩანდა იმისი დედა, ძაან ნატიფად მგლოვიარე, ვისაც ბესამე მუხლმოყრილი და სანთლით ხელში ეუბნებოდა: „ძალიან დიდო ქალბატონო მარიამ, ყველაზე მონყალეო სენიორა, აქ, ამ ქალაქში რომ ჩამომიყვანეთ, ძლიერად გმადლობთ“.

ამ მოთხრობაშიც, ისევე როგორც დანარჩენებში, განსაკუთრებით კი რომანებში, გრაფიკულად იკვეთებიან ერთმანეთის მონაცვლე, ცივად მოლაპლაპელიანდაგები, რკინიგზის ხაზები, სოფლის გზები და ბილიკები, ქალაქის უბნები, ჩიხები, ლაბორინთები, თავდაპირველად რომ იშლებიან, ფართოვდებიან, იკარგებიან უგზოუკვლოდ, მერე კი თავგადასავალგამოვლილები, ხიფათებითა და მიუსაფრობით დამფრთხალები, ნელ-ნელა ტყდებიან, ილუნებიან და დაღ-



გორ, გადაფითრდა და, მერე რაფრად...“

ამ ირონიულ „და მერე რაფრად“-ზე ჩალიმებულმა გავიფიქრე, – რა თქმა უნდა, დაფრთხებოდა, მოიმჩვარებოდა... გამახსენდა, მოთხრობას პირველად რომ ვკითხულობდი და კაცობიდან წრუნუნადქცეულ ბესამეს გულაფათქუნებული თვალს ვადევნებდი, რატომღაც მჯეროდა – მოხუ-

ლილები ერთმანეთისაკენ მიისწრაფიან, ბოლოებით ერთმანეთს უერთდებიან... დროით, სივრცითა და განსაცდელებით გამოცდილ წრეებში გურამ დოჩანაშვილის მიერ ჩახატული „უძლები შვილები“ ხსოვნის ობელისკებივით დგანან.

ცხოვრების ეს ურცხვენელი დასასრული გვეიმედება და უსაზღვროდ ვემადლი-

ერებით მწერალს – აფრედერიკ მეს. ის კი ჯიუტად გვიმეორებს: „როგორც ბევრგან ვთქვი, თავად განგებასთან შედარებით, აფრედერიკ მე ზღვაში წვეთი იყო...“, რითაც იგი კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ყველა მწერალი, პოეტი, მხატვარი, მუსიკოსი, მეცნიერი, გლეხი, ქვისმთლელი, კაცი თუ ქალი, ნებისმიერ რეალურად არსებულ თუ ფანტაზიით შეთხზულ ყველა ქალაქში, დაბასა თუ პროვინციაში გამავალ ფართო გზასა თუ საცალფეხო ბილიკს შემდგარი მგზავრი, მხოლოდ ღვთის წყალობითა და თავისივე არჩევანით გადარჩება.

ამ წრეში იდგა ახლა ბესამე. აზრზე მოსული კიდევ ერთი „უძღები შვილი“, მონანიე და ამიტომ – აღდგენილი, ტალანტდაბრუნებული. მაღლით შემთბარი ბოლომდე ვერ გარკვეულიყო, რა ხდებოდა, რა დულდა და რით ივსებოდა მისი სხეულის სიფრიფანა თხელი ჭურჭელი:

„მაინც რა იყო – უდიადეს ხელს აბოლებული ვულკანიდან ამოჰქონდა გრძნეული ფიჭა, რა იყო ეს და – მუსიკა იყო, ქვეყნის მფლობელი... ობლის დაკარგული და ან მოძებნილი, დაკემსილი ახლად ბგერები, ვინ-ვინ და დიდმა მუსიკოსმა, ქრისტობალდ დე როხასმა კარგად იცოდა, კარგად უწყოდა ამ ცხადებული, მძიმედ უნონო სიზმრების ფასი, ჯადოქარს რალა არ შეეძლო, მაღალ ბგერებზე მოხევითურო ნაყოფისკენ ხდებოდა თითქოს, დაბალ ხმაზე კი – სიოში თოვდა, ნისლი ეფინათ შორეულ ბალებს, რალაც ხატება ღრმა ჭაში ჩანდა, გუბზე წვრილად, მეჩხერულად წვიმდა და ზღვათა ფსკერზე გატრუნულიყო უცხო ბუჩქნარი, მისჯილად სველი – რალაცა იყო ფლეიტის ხმაში, მძინარე ბავშვის ნიკაპზე მძიმედ ჩამოღვენთილი ნერწყვივით წმინდა, თავად ფლეიტა იმ დაბინდულ ჰაერს ჰმონებდა, შორეულ გზაზე სავალად რომ ციაგით ედო, რადგანაც მთვარე – ფლეიტის სათნო კუნძული იყო, ლურჯ მიმოფანტულ კუნძულთა შორის უსათნოესი, მინით გრძნეული, ჰაერით წმინდა... სიფრიფანა ხმით იმსჭვალებოდა განწმენდილი და შვების გომური, წინვიანი ტყის სურ-

ნელება თვალნათლივ იდგა, რადგან ბესამე თავად ნააგავდა ახლა ჯადოსნურად მსუნთქებელ, გორჩებოვან მცენარეს, ერთი პატარა, გრძნეული ტოტით, რომლიდანაც რომ უცხო ნაყოფად ამოდიოდა თვით ის: უფსკერო, განუზომელი, თვით ის – მაღალი, უხვი, მდიდარი, თვით ის უზომოდ მწყალობელი, ლალი, ფარფატა ბედნიერება, სიბედნიერე თვალთუხილავი, ყოვლისმომცველი ჩვენი მეუფის, თავად ჰაერის, ჰაერის მეუფე უზენაესი, დიდალზევების მსუნთქებელი თვით იის-მუსიკა“.



ამ ჯადოსნური, მუსიკალური აზრით სავსე სიტყვის ფერწერული ნიმუშებით გალიცლიცებულია გურამ დოჩანაშვილის შემოქმედებაში არქაული და მარად ახალი ბიბლიური ჭები და, როცა მათში არეკლილ ზეცაზე ვარსკვლავებს თუ სადღაც ტაატიტ მიმავალი ღრუბლების ქარავანს იხილავ, იჯერებ, რომ ღრუბელსაც თავისი სამშობლო აქვს. ფრთაშესხმული, თავადაც ზეცაში ასაფრენად გამზადებული მკითხველი გაოგნებული ეკითხება მწერალს – ეს რამ დაგანახათ, ან რამ გათქმევინათ, დაგანერინათ: „მძინარე ჩვილის ნიკაპზე ჩამოღვენთილი ნერწყვივით წმინდა...“ ანდა „ლამის ლებანში თითქოსდა კენტად იჯდა ბესამე...“

მინახავს ასეთ დროს გურამ დოჩანაშვილი, შემიმჩნევია მსგავს კითხვებსა და აღფრთოვანებაზე ბავშვივით უმწეოდ დამორცხვებული, გასუსული, დაყურსული, ფართო მტევანს რომ გაშლიდა და ვრცელი ხელისგულის გაყოლებაზე ხუთივე თითს უარის ნიშნად აქეთ-იქით გადააქნევდა, თან ოდნავ დაწეული ხმით დაბეჯითებით იტყოდა ხოლმე – აჰ, არა, არა, მე რა შუაში ვარ... თუ მართლა ასე ძალიან მოგეწონათ... თქვენ რომ მოგეწონათ ეგ ადგილი, ჩემი კი არა, სულიწმინდის გამარჯვებაა კაცის ხელითო.

ს უ ლ ი ნ მ ი ნ დ ა – ეს სიტყვა ხშირად ისმოდა მისი ბაგეებიდან შეხვედრებზე, პირად საუბრებში, ინტერვიუებში. თით-

ქმის ქადაგად იყო დავარდნილი, ღვთის საიდუმლოებებთან მიახლებული, რწმენაში შესული, გაძლიერებული, ცდილობდა, შენთვისაც გადმოედო რწმენით მოგვრილი სიმშვიდე და სიხარული და ამ დროს მის მსმენელსა და შემხედვარეს არაფერი, სულ არაფერი გეჩოთიერებოდა, არ გეუხერხებოდა, რადგან იცოდი, გჯეროდა, რომ ასეთი რწმენის მოსაპოვებლად და იმის დასაჯერებლად, რომ ნამდვილი ხელოვანის ნიჭს სულიწმინდის მაღლი წარმართავდა, საკუთარი გამოცდილება უდასტურებდა.

მან ძალიან ბევრი იღვანა და ილოცა. ძალიან ბევრი იშრომა, უფლის მონოდება – „სულს ნუ ჩაიქრობთ“ – პირდაპირი მნიშვნელობით რომ აღესრულებინა.

მართლაც ყველაფერი ამქვეყნიური ჩაიქრო, ყველაფერი ბოლომდე ჩანვა, ზედმეტი ტვირთით მოიცვილა – ისე ბუნებრივად, გვიან შემოდგომაზე ნაბლი და კაკალი წენგოდან და ეკლიანი ბუდიდან რომ ამოხტება და გადამნიფებულ ჩენჩოს ჩამოიშორებს.

მხოლოდ სულს უფრთხილდებოდა – ამ ღვთაებრივ პატრუქზე ზრუნავდა. ამიტომ, რომ მის მოთხრობებს ჩაქრობა არ უნერიათ; ამიტომ, რომ სანთელს მის ცხოვრებასა თუ შემოქმედებაში ასეთი იდუმალი, მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. იქნებ სანთელი საერთოდ სიმბოლო იყოს მისი ამქვეყნიური ტანჯვისა და შემოქმედებითი წვისა, რომელსაც სიმსუბუქე, შვება და სიხარული მოჰქონდა მისთვის.

გურამ დოჩანაშვილის შემოქმედება ღმერთში არსებობის სინამდვილითაა გაფლენილი და ეს, ალბათ, ლოგიკურიცაა, რადგან ამ საუნჯის მოსაპოვებლად, მან, როგორც ადამიანმა და როგორც პროფესიონალმა, რთული ცხოვრებისეული და ინტელექტუალური გზა გაიარა. უდიდესი ძალისხმევით, უპირველეს ყოვლისა, საკუთარ თავთან მოსაგებ ომებში გაიმარჯვა და ღმერთში ყოფნის უფლება მოიპოვა. ამ უფლების მოპოვებაზე საუბარი ზოგს ზღაპარი ჰგონია. საერო საზოგადოებაში რატომღაც მიჩნეულია, რომ ღვთის გზაზე დადგომა,

ე. წ. „მოქცევა“, გაეკლესიურება მხოლოდ სასწაულების, უკიდურესი განსაცდლებებისა და ტრაგედიების შედეგად ხდება. არადა, არცთუ ისე იშვიათად, სასწაულების მოლოდინსა და თავსდატეხილ უბედურებებს ადამიანი განხიზვლამდე, დაეჭვებამდე, ღვთის გამობამდეც კი მიჰყავს.

დიდხანს იდგა ღვთის სიტყვით დაბეჭდილ სამყაროს წინკართან გურამ დოჩანაშვილი, დიდხანს ჩაჰკირკიტებდა სახარებათა განმარტებებს, მუდმივად კითხულობდა წმინდა მამათა თხზულებებს, რომლებიც ამშვიდებდნენ, სულიერ წყლულებზე მალამოდ ეფინებოდნენ, რადგან გულით ნაცნობს, გუმანით მიგნებულს უდასტურებდნენ, ჭეშმარიტების შეცნობაში ეხმარებოდნენ. ეს ხანგრძლივი შრომა და ძიება დაუფასდა, ღვთის სიტყვის კარი ფართოდ გაეღო, იპოვნა ნანატრი ჭეშმარიტება და ძალიან სადად, მშვიდად, ღირსეულად აღიარა:

„ვერასოდეს მოიგონებს და შექმნის ადამიანი იმას, რაც ბიბლიაში არაა. მწერლის უპირველესი და უმთავრესი მოვალეობაა, ბიბლიის მარადიული სიბრძნეები თუ გაფრთხილებები მთელი თავისი მწერლური ხერხებითა და საშუალებებით მიანოდოს მკითხველს“.

მახსოვს, ერთხელ ლექციის მიმდინარეობისას მოთხრობაზე – „კაცი რომელსაც ლიტერატურა უყვარდა“ – საუბრისას სტუდენტმა გოგონამ ასეთი რამ მითხრა: დოჩანაშვილი ძალიან ეფექტური მწერალია... სიტყვა „ეფექტური“ საშინლად მომჭრა ყური, იმდენად არ მესიამოვნა ეს შეფასება, დავიბენი, არ შევიმჩნიე, სხვა საკითხზე გადავედი და განხილვით დავეტოვე „აღმოჩენის“ ავტორი.

წლების მერე, ჟან-პოლ სარტრიზე დაწერილ ერთ ესეიში ასეთ ადგილს ნაწვანყდი: „ეფექტურობასა და სინამდევს შორის კამათი მარადიული და გადაუწყვეტელი საკითხია და ვინც ეფექტურობა არჩია, ერთთავად სინამდვის ნოსტალგიით ცხოვრობს“ – უზუსტესი დაკვირვებაა.

სიტყვა „ეფექტური“ თავისი შინაარსით ფუქსავატურია, მოდურად ხანმოკლეა და

შემოქმედებითი შეგრძნებებისა და მწერ-
ლური პატიოსნებისაგან კომპრომისებს
მოითხოვს. თავისი ვითომდა ზეიმური აღ-
მაფრენების დასამტკიცებლად საახალწლო
შუშუნებით ხმაურიან აფეთქებებს ან-
ყოფს, ფერად-ფერადი ნაპერწკლებით
„უნყინარი“ ტყუილების მოკლე ფეხებს
აქეთ-იქით შეფეხებით ისვრის...

არადა, ბავშვები არ იტყუებიან – ისი-
ნი თხზავენ, ფანტაზიორობენ, სულითა და
გულით, მთელი არსებით ცხოვრებას თა-
მაშობენ.

გურამ დოჩანაშვილთან წარმოუდგე-
ნელია ბანალური ეფექტურობით დაჭო-
ფილი ტყუილი. მისი ტალანტი თვით
ყველაზე უფრო ფანტასმაგორულ სიცრუ-
ეს აბსოლუტურად დამაჯერებელს ხდის,
რადგან შემოქმედებით პროცესში სრული
გარდასახვის მისეული მაგია ბავშვით
უანგაროდ თამაშობს.

გურამს არ გააჩნია სინმინდის ნოსტალ-
გია, რადგან თხზვის პროცესში განუწყვეტ-
ლივ სინმინდეში დგას, როგორც ფიროს-
მანის მეთევზე დგას მუხლებამდე წყალში,
„თევზი არსობისა“ რომ მოიპოვოს; ანდა
შაგალის უნონადო სივრცეში გაფრენილი
ადამიანები, ჰაერის მოლივლივე ჭავლებში
ცურვის სიმსუბუქეს რომ გაუგეს გემო და
მინაზე დაბრუნებას აღარ აპირებენ.

მკითხველიც გამუდმებით ბალღით
ხარობს დოჩანაშვილისეული წარმოსახვე-
ბით. ხეივანის ჩრდილქვეშ აკვანში ჩანოლი-
ლი ჩვილივით, გაოცებით რომ აკვირდება
საკუთარი ხელის მტევენებს, მოულოდნე-
ლად აღმოაჩენს – თითებსაც, კაცებით
(ადამიანებით), თავიანთი მისია აქვთ
შესასრულებელი. განსაკუთრებით კი სამ
მათგანს – ცერს, შუათითსა და საჩვენე-
ბელს, რადგან მათი შეერთებით დედამი-
ნის ზურგზე, ყველგან, ყველა წერტილში,
ერთნაირად ხორციელდება კალმით წერის,
მარილის მოყრისა და პირჯვრის გადასახ-
ვის საკრალური აქტები.

და რამდენიც არ უნდა ამტკიცონ გა-
სასტიკებულმა ტიპებმა, რომ „ადამიანი
ადამიანისთვის მგელია“, თავიანთი მტა-

ცებლური მადა რამდენჯერაც არ უნდა გა-
ამართლონ თვითგადარჩენის ინსტინქტით,
მოვა ყირგიზი მწერალი ჩინგიზ ათმათოვი
და სტეპებში მოთარეშე რუხბუნვიან ისეთ
აკბარს დახატავს, რომ მისი ტყვიისფერი
ზურგი და ჭკვიანი, ტოპაზისფერი გამო-
ხედვა ახლო მეგობრის საყვარელ სახესა-
ვით სამარადჟამოდ ჩაგრება ხსოვნაში...
ნებისმიერ კაცს შეშურდება ამ მოუთვინე-
რებელი მხეცის ოჯახზე ზრუნვისა და თავ-
განწირვის უნარი.

ანდა გამოჩნდება ქართველი მწერალი
გურამ დოჩანაშვილი და დაუნდობლობის
წყვდიადს მზესავით გაანათებს, როცა იტყ-
ყვის ადამიანი ადამიანისთვის მგელი კი არა
– „ადამიანი ადამიანისთვის დღეა“ და, რაც
მთავარია, ამ ჭეშმარიტების განსახორცი-
ელებლად პრაქტიკულ ექსპერიმენტს გაი-
თამაშებს, როცა ჩაბნელებულ სანაპიროზე
ვაჟთან ერთად მოსეირნე ქალს ცოტა ხნით
თვალეების დახუჭვას სთხოვს. ტყის სიღრმე-
ში შეტყუებული, ღამის წყვდიადში მარტო
დარჩენილი ქალი სასონარმკვეთი ძახილით
მოუხმობს გაუჩინარებულ მენყვილეს (მამა-
კაცს). მერე კი მოულოდნელადვე მის გვერ-
დით გაჩენილი გრიშა შიშით გულგახეთქილ,
ასლუკუნებულ დელფინას მკერდში ჩაიკ-
რავს და ამშვიდებს – ჩუ, ჩემო კარგო, რა
მოგივიდა, დაწყნარდი, გეგონა მიგატოვებ-
დი?! ეს როგორ გაიფიქრე, ხომ გეუბნებო-
დი ადამიანი ადამიანისთვის დღეა! არ გჯე-
როდა? ხომ დაგიმტკიცე, ხომ დარწმუნდი,
რომ მართლა დღეა...



სხვებისაგან განსხვავებით, უცნაურ
გრიშას ადამიანის ბუნების ამოსაცნობად
ის შემთხვევაც ჰყოფნის, როცა, ვთქვათ,
კიკეთიდან ტაქსით მომავალს, შუალამი-
სას წყნეთის გზაზე ხელანეული კაცი და-
ემგზავრება, რამდენიმე წამში კი, გრიშას
გვერდით მოკალათებულს, ტკბილად ჩაე-
ძინება... კი, მაგრამ ამ ფაქტით რანაირად
შეიძლება ადამიანის ბუნების ამოცნობაო,
უკვირთ თანამესუფრეებს. არადა, გრიშა-
გრიგოლი იქითაა გაკვირვებული: შუალამი-

სას, არც ნასვამ-მთვრალი და არც ავად-მყოფი კაცი უცნობს მანქანაში რომ ჩაგიჯდება, მხარზე რომ თავს მოგადებს და უშფოთველად დაიძინებს, ამას რაღა დიდი მიხვედრა უნდა, რომ ეს კაცი გულუბრყვილოდ მიმნდობი, უეჭვებო და კეთილი კაცი იყო...

პასუხით გაღიზიანებული „ყოვლის-მცოდნე“ ახალგაზრდა თანამეინახე მოულოდნელად დაცინვით იკითხავს:

„აი, თქვენ როგორი ხართ?!“

და გრიშას მყისიერ პასუხზე:

„მე კარგი ვარ“-ო, მოქეიფეები ახარხარდებიან, მაგრამ რას ახარხარდებიან! სიცილით იგუდებიან – ეს რა თქვი, გრიშა, კარგი ვარო... ეს რა იკისრე, კაცოო!..

მიამიტი გულუბრყვილობით შენუხებული და ნაწყენი გრიშა შვებულების მონარჩენ დღეებთან ერთად საკურორტო ქალაქს, ახლად გაცნობილ ქალსა და ნაცნობ-მეგობართა წრეს იმ საღამოსვე მიატოვებს. მატარებლის ზედა თაროზე განოლილი, დროის სწრაფმავალ, რიტმულ დინებაში კირით შეფეთილი სხვადასხვა პროვინციული სადგურების მბჟუტავი ნათურებივით აკვესებენ ახალ-ახალი დასკვნები და აღმოჩენები: „ხმამალალ-კარგი არ შეიძლება... ჩუმიად-კარგი უნდა იყო, ვისაც რა უნდა თქვას, ვისაც რა უნდა ის აკეთოს, შენ კი სიცუდეში არავის არ უნდა აპყვე და ჩუმიად-კარგი იყო, აი, პრობლემა“.

საერთოდ, დოჩანაშვილის მიერ დახატული პერსონაჟები (განსაკუთრებით კი ძმები, ვასილ, გრიშა-გრიგოლ და შალვა კეჟერაძეები, თავიანთი მეოცნებე ბიძამვილით, დედის მხრიდან, კომპოზიტორ-დირიჟორ სიმა ნასიძეთი) XX საუკუნის ადამიანურ ურთიერთობათა ფონზე წერაატანილებივით, იმდენად კეთილშობილური, ერთგვარად მისიონერული მოვალეობებით შეპყრობილნი და სავსენი ჩანან, რომ სერვანტესისა და დოსტოვესკის გმირებივით „ჩუმიად-კარგი“ შთაბეჭდილებას ტოვებენ.

რუსული სამყაროსათვის ამ უაღრესად ნიშანდობლივ სიტყვას იმიტომაც ვიყენებ, ვთქვათ, ქართული სიტყვების – უცნაურის,

არაორდინალურის, შერეკილის, შექანებულის ან თუნდაც დარტყმულის ნაცვლად, რომ ეს სიტყვა „ჩუმი“-სთან, სასწაულთანაა წილნაყარი და ზუსტად მიესადაგება დოჩანაშვილის მიერ შექმნილ ტიპაჟთა ხასიათებს.

მოთხრობიდან მოთხრობაში, რომანიდან რომანში ისე ბუნებრივად და ლაღად გადადიან, როგორც თბილისის კონსერვატორიიდან მილანის დიდ საკონცერტო დარბაზში, ქუთაისიდან ზემო იმერეთის მთიან სოფლებში, როგორც შავი ზღვის-პირეთიდან დედაქალაქის ჩაბნელებულ, ლამპიონებჩამქრალ ქუჩებში, პატარა ხულიგანს რომ გადააწყდებიან, ანდა, ფოტოატელიეში ჩამსხდარნი, პენიტენციურ სისტემაში შემავალი ტრადიციული ციხეების ნაცვლად აქამდე სრულიად უცნობი და ორიგინალური „კარცერ-ლუქსების“ გამოგონებაზე იწყებენ ფიქრს, რათა მოქალაქეთა რაც შეიძლება მეტ რაოდენობას სწორედ ასეთ კარცერებში ჩასმულთ რომ წააკითხონ ნიგნები.

მხატვრული პერსონაჟების დახასიათებას კი ისეთი დაგემოვნებითა და გატაცებით ეწევიან, ლამისაა, დაგაჯერონ – ნიგნების კითხვით ცხოვრება გაცილებით უკეთესი გახდება, ადამიანი კი – უფრო გულისხმიერი.

ეს რომანტიკოსები, მართლაც, სასწაულებივით გამოიყურებიან ამ მორალურად და ზნეობრივად გაუდაბურებული სამყაროს ფონზე.

გასაოცარია გურამ დოჩანაშვილის მხატვრული აზროვნების ფოიერვერკები, სიტყვით ფერწერის, სიტყვით ჰარმონიული ვიბრაციის გამომწვევი მუსიკალური ტალღები... ყოველივე იმდენად მაღალი ოსტატობითა და ექსტაზითაა შესრულებული, რომ სიუხვის, სიმსუყის განცდასაც კი აჩენს გამეჩხერებულ, გრძნობაგაქუცულ, სიცოცხლეზე ჩალისფასდადებულ რეალობაში, მორალური სიმახინჯის კულტურაში, ფორმათა სილიკონურ სისავსეში, დაღტონიზმის ზეიმებში, უსქესოთა ეგზოტიკურ პარადებში. რადიაციული თუ ბიოლოგიური ომებით,

ნანო-ტექნოლოგიებით, სოციალური ქსელებით, ფეისბუქებით, ფეიკებით, ტერორიზმით, ღალატით, ცილისწამებებითა და ეკოლოგიური კატასტროფებით, ნარკოტიკით, სექსით, ოკულტიზმითა თუ აგრესიული სექტებით შეშლილ სამყაროში.

ყოველივე კი რეალური სამყაროდან გაქცევისა და მხატვრულ სამყაროში გადასახლების მძაფრ სურვილს აჩენს.

გურამ დოჩანაშვილს დეკადანსის ზუსტად ისეთივე სიღრმისეული განცდა ჰქონდა, როგორც ბერდიაევს, რომელიც წერდა: „მაღალი კულტურის კრიზისი და ინტელექტუალური ელიტის სავალალო ხვედრი, როგორც ჩანს, გარდაუვალია მსოფლიოში სულიერი რევოლუციისა და რელიგიური აღორძინების გარეშე. პირნიმნდად კულტურული აღორძინება უკვე შეუძლებელია მსოფლიოს ხანდაზმულობის გამო. შესაძლებელია მხოლოდ რელიგიური აღორძინება, რადგან მხოლოდ მას შეუძლია გადანყვიტოს კულტურაში არისტოკრატიულ და დემოკრატიულ, პიროვნულ და საზოგადო საწყისთა ურთიერთშესაბამისობის საკითხი“.

რელიგიური აღორძინების მნიშვნელობაზე დიდი ფილოსოფოსის ამ სიტყვებმა გურამ დოჩანაშვილის იეროგლიფივით დაშიფრული კიდევ ერთი მისტიკური მოთხრობა გამახსენა.

თავისთავად იმ ფაქტს, რომ „მხიარულ ბორცვში“ უამრავი პერსონაჟის ბუნებას, ხასიათს, გარეგნობას, მეტყველების მანერას, ფიქრსა და ჩვევას ორი უმთავრესი გმირი, გაპერსონაჟებული **ჭ ე შ მ ა რ ი ტ ე ბ ა** და **ს ი მ ა რ თ ლ ე** წარმოაჩენს, უკვე დამაინტრიგებელი მუხტი და ინტერესი შემოაქვს მკითხველში. მით უფრო, როცა თხრობა **ს ი მ ა რ თ ლ ი ს** პირით მიმდინარეობს.

როგორც დრო, ისე სივრცე იმ ქალაქისა, სადაც ჩვენ თვალწინ გამოჩნეული სახალხო გმირის, მაჰმუდ ალის მკვლელობა თამაშდება, რა თქმა უნდა, პირობითია. ამიტომ ისპაჰანის ნაცვლად ნებისმიერი ქვეყნის, ნებისმიერი ქალაქის წარმოდგენა შესაძლებელი თავისი ხალხით, თავისი

გმირებითა და ჩვეულებრივი ადამიანებით.

მიუხედავად იმისა, რომ „მხიარულ ბორცვში“ ჭეშმარიტება სიმართლეს თავის მარჯვენა ხელად მოიხსენიებს, მათი ემოციური დამოკიდებულება ურთიერთგანსხვავებულია ყოველივე იმისადმი, რაც ამ ქალაქში დატრიალდება.

ეს მოთხრობა თავისი სრულყოფილი ფორმითა და შეკრული მთლიანობით რაღაცით ბრონეულს მოგვაგონებს, მნიფობის ჟამს გადამსკდარი რომ წარმოაჩენს გარე სამოსის მენამულ ატლასსა და ძვირფასი თვლებივით აელვარებულ ცრუ შიგთავსს: პროვინციელი ავაზაკი, მდიდარი, მაგრამ ძუნწი ბენ იჯნპალი, მზაკვრულად მრუში სორაია, ბრიყვი მეპურე და მზარეული, არაბი ასტრონომი ხალილ მანჯამი, მადერისები მჭერმეტყველებაში რომ წვრთნიდნენ, გულიან გაღიმებას რომ ასწავლიდნენ უძვირფასეს სამოსში გამონყობილ პატარა ნორჩს, იჯნპალის მეგობარი არიბ ხანიდიდ ავაზაკს, ქუჩაში გამოჩენისას, ხალხი ყვავილებს რომ ესვრის და კიდევ ვინ მოთვლის, მთელის შემადგენელი ეს მარცვლები, ეს გულნამცეცა, ხარბი, დათრგუნული ადამიანები ქამელეონივით რამდენაირად იცვლიან ფერს, იმის მიხედვით შაჰის ბრძანება: – „ვისაც ვუყვარვარ, ყველამ ესროლოს“ – ისრებივით როგორი სიწმირით გაიშუილებს შიშით შედედებულ ჰაერში.

ჭეშმარიტებისა და სიმართლის გაპერსონაჟება ავტორთათვის, ასე მგონია, საფრთხის შემცველია, რადგან ეს ცნებები თავიანთი თავდაპირველი მაღალი მნიშვნელობით, მორალური სამრეკლოს გადმოსახედიდან, ძირშივე აშთობენ დანარჩენ პერსონაჟთა როგორც ხასიათებს, ისე ქმედებებს, განვითარებას არ აცლიან და სისხლხორციელ ადამიანთა ნაცვლად მათი მორალური სქემებილა გვრჩება ხელთ.

დოჩანაშვილმა სხვა გზა აირჩია. დიდი მწერლის უტყუარი ალლოთი იგრძნო, რომ სიმართლე და ჭეშმარიტება, როგორც პერსონაჟები, ადამიანთა მიწიერ ვნებებში არ უნდა ჩარეულიყვნენ. თუმცა, მთელი არსებით განიცდიან მათი რჩეულის, მაჰმუდ

აალის გოლგოთისეულ მისტიკას. უცოდველის მკვლევლობით თავზარდაცემული და მგლოვიარე სიმართლე შურისგებით ანთებული, განრისხებული ევედრება ჭეშმარიტებას, რომ მკვლევლები დასაჯოს:

„ან ხმალი აძგერებინე ვინმეს, თუგინდ ისარი, ან საზარელი რამ სნეულება შეჰყარე, ბლავილსა და კბილთა ღრჭენაში რომ ამოხდეთ სული, რომელიც გინდა ის დასაჯე, გინდ ავაზაკი, გინდ ძუნწი, იმისი შვილი, ანდა სულაც სამთავეს ერთად დაატეხე თავს შენი რისხვა...“

აზხედე და სიტყვა გამიწყდა – ყოველივე იცოდა. სევდიანი და დაფიქრებული ნაღვლიანად დამცქეროდა, რალაც ისეთი იცოდა, მე რომ არ მომლანდებია...

– ის ბენ იჯნპალიც ნუ გგონია ბედნიერი და პროვინციელ ავაზაკსაც ერჩია, მთელი სიცოცხლე სოფელ მორდოვში მჯდარიყო და იმ უბედურ ნორჩსაც ნუ შეიძულე ასე და ისიც იცოდე, ვინაა ბედნიერი...

ეგონა, რომ ყველაფერს მივხვდი და შეჩერდა, მაგრამ მე, მოკუნტული, მუჭისოდენა ხარბად დავეკითხე:

– ვინ?

– ვინც რჩება.

რალაცამ გამიელვა. შევეჭვდი.

– ვინ დარჩა?

იმან კი მბრძანებელმა, ღიმილით შემომხედა და მითხრა:

– ვინც უყვარდათ.

თითქმის ყველაფერს მივხვდი და მაინც ხარბად, მოუთმენლად დავეკითხე:

– ვინ უყვარდათ?

იმან კი მბრძანებელმა, მიუნვდომელმა და ყოვლისმცოდნემ, დაფარულმა ალერსიანად შემომხედა, თავი მძიმედ დამიქნია და დინჯად, დამარცვლით მითხრა:

– მაჰმუდ აალი, მხიარულ ბორცვზე...“

ასე გადაიხსნა მკითხველის თვალწინ ოქრო-ვერცხლითა და თვალმარგალიტით შემკული აღმოსავლური ზარდახშა, რომლის წიაღშიც ქრისტიანული რელიგიისა და მსოფლგანცდის არსი, სინანულითა და მიმტვევებლობით მოპოვებული სულიერი წონასწორობა სადა დიდებულებით გამობ-

რწყინდა:

„ერთი იცოდე, ეგენი ყველანი წავლენ და თუნდაც მთელი სიმდიდრე და ავლადიდება უზარმაზარ საფლავში ჩაიტანონ, მაინც ვერავინ ვერაფერს წაიღებს იმ ქვეყნად. ეგ ერთი იცოდე – დამიყვავა – მარჯვენა ხელო“.

და გამახსენდა პავლე მოციქულის სიტყვები:

„კაცთა და ანგელოზთა ენებზეც რომ ვმეტყველებდე, სიყვარული თუ არა მაქვს, მხოლოდ რვალი ვარ მოუღრიალე, მხოლოდ წკრიალა წინწილი. წინასწარმეტყველების მაღლი რომ მქონდეს, ვიცოდე ყველა საიდუმლო, და მქონდეს მთელი რწმენა, ისე რომ მთების დაძვრაც შემეძლოს, სიყვარული თუ არა მაქვს, არარა ვარ. მთელი ჩემი ქონება რომ გავილო გლახაკათვის, და დასანავად მივცე ჩემი სხეული, სიყვარული თუ არ მაქვს, არას მარგია“.

გურამ დოჩანაშვილის სიყვარულით აღსავსე პერსონაჟები წითელ წიგნში შესატანი უკანასკნელი სახეობის ფრინველებივით ფრთებს არ კეცავენ, სულ გზაში არიან, აღმა-დაღმა დაქრიან, ჭყვიან, ჭიკჭიკებენ, ლულუნებენ, კვნესიან, გალობენ, სულ ლაპარაკობენ, თხზავენ, ეძებენ, ქადაგებენ და მოქმედებენ, რომ ტყუილმა – მართალი, ბინძურმა – უბინო, ბოროტმა – კეთილი, უნიჭომ ნიჭიერი არ დაჩაგროს. ოცნებებში დაფრინავენ და ქვემოთ, მიწაზე დარჩენილთათვის, ჩვენი გულებისა და ტვინების სისხლძარღვთა არხებში სიკეთის აღმომცენებელ მარცვლებს ისვრიან, პატარ-პატარა უანგარო აღმოჩენებითა და ექსპერიმენტებით რომ გაგვაკეთილშობილონ, ევოლუციური თეორიებით გამაიმუნებულ ადამიანებს ადამიანურობა რომ დაგვიბრუნონ, დაგვაჯერონ – სამყარო, თავისი უთვალავი ფერით ღვთის მიერ ჩვენს ფერხით რომაა ნოხივით განფენილი, მართლაც რომ გოცების ღირსია. ჩვენ კი, ამბიციით შემულილები, კოსმიური სივრცეების დაპყრობას ვაგრძელებთ, მიწაზე ვერდატეულები ახლა იქ ვაპირებთ გადასახლებას.

ძალაუფლებისა და ყოვლისშემძლეო-

ბის გამოგნებლად ილუზორული კადრი ისე არავის ჩაუტოვებია ჩვენს ხსოვნაში, როგორც ეს ჩაპლინმა მოახერხა, როცა XX საუკუნის აბსურდული სიცარიელის ტრაგიკული სიმსუბუქე დახატა „დიდ დიქტატორში“ ჰიტლერის სახით, უკანალზე (გავაზე) ბუშტივით დასმული დედამინის მაკეტ-გლობუსით რომ თამაშობდა და ერთობოდა.

ეს მეტაფორა ყველაზე მძიმე და ყველაზე მჩატე მეტაფორაა უღმერთობით გონწამილ რეალობაში.

ხელოვნების ამ ირონიულმა კადრმა, შესაძლოა, გაცილებით მეტი თქვა, ვიდრე ოსვენციმისა და ბუჰენვალდის საკონცენტრაციო ბანაკებში გაზით დახოცილი ადამიანების შიშველმა სხეულებმა, ისტორიული ქრონიკების სულისშემძვრელმა, დოკუმენტურმა ფირებმა.

აი ამ თამაშის, ამ მწარე სიმსუბუქის კვალი ატყვია დოჩანაშვილის გმირებს, განსაკუთრებით კი იმ ირონიულ-პაროდულ ინტონაციასა და სტილისტიკას, რემარკების, ხუმრობებისა და იუმორის კასკადს, სიმწუხარისა თუ სიხალისის იმ მჩქეფარე შადრევნებს, რითაც ცივილიზაციის ტყვეობაში, კულტურის გარეშე დარჩენილი ადამიანები გამოიხატებიან.



ადამიანის, ხელოვანის ბედი თანამედროვე სამყაროში უჩვეულო სიმძაფრით წარმოჩინდა გურამ დოჩანაშვილის საიდუმლოებით მოცულ მოთხრობაში, „თავფარავნელი ჭაბუკი“.

ეს მრავალგანზომილებიანი, მრავალშრიანი მხატვრული ტექსტი, ერთი მხრივ, თუ სულისშემძვრელი დრამატიზმით აღწერს ამსოფლიურ სიამეთა წყაროს დაწაფებული ადამიანების მხიარულებასა და დროსტარებას, წუთისოფლის სწრაფმავალ დინებაში „მეტი რა შეგვრჩება“-ს პრინციპით გამართლებულ თავანყვეტილ ლხინსა და ხალისიანობას, პარალელურად, რალაც აუხსნელი, თითქმის გამოუთქმელი სევდი-თა და სიღრმით გვიჩვენებს საბედისწერო

ლტოლვას სიტყვის მაგიისადმი, პოეტური ტალანტის მქონე ინდივიდის სრულიად არამინიერ ლტოლვას თავისუფლებისაკენ, პოეზიისაკენ, სიტყვადქმნალობისაკენ, ენისაკენ, სიყვარულისაკენ...

ეს ისეთი ბინდითმოცული იდუმალებით ხორციელდება, თითქოს ცნობიერება არაფერ შუაშია, თითქოს პერსონაჟს რალაც უხილავი ძალა უბიძგებს ზღვის გადაცურვისაკენ – ეს ძალა კარნახობს არჩეული გზის სისწორეს.

„სწორი არჩევანი“ მარტოობისთვისაა განწირული.

მარტოობა კი რჩეულთა ხვედრია.

ადამიანთა მწვანედ მოხასხასე სამფლობელოში ერთადერთი გიგა პაპა იყო ნამგლით სიტყვების მომმკელი, დანარჩენები ბალახს თიბავდნენ, სამაგიეროდ, გენიოსის ლექსები თავისად მიაჩნდათ, ჭირსა თუ ლხინში ერთნაირი გატაცებით მღეროდნენ.

სწორედ ამიტომაც ყველაზე უკეთ გიგა პაპას ესმოდა ღვთისაგან ბოძებული ნიჭიერების ფასი – დარაჯად ედგა თავფარავნელის ცდუნებებით სავსე ახალგაზრდულ გატაცებებს. თავად იმდენი წელი და დრო ჰქონდა სიტყვის ოსტატს ამსოფლიურ ამოებაში გაფლანგული, რომ შეგირდს წამდაუნუმ აფრთხილებდა – დრო ოხერია, ისე სწრაფად გარბის, თვალის დახამხამებას ვერ მოასწრებო. ამუნათებდა: „საცა სოფელში მიხვიდე, სუყველგან ორი გზა არი“-ო.

თითქოს ბიბლიურ იგავს ახსენებდა – ტალანტი მინაში არ დაფლა, ეგ განძი ლექსებად უნდა ამრავლოო. ერთადერთი პოეზია და სიყვარული უძლებს დროს, სხვა ყველაფერი წარმავალი და დავინყებისათვის განწირულიაო.

დროის პრობლემა, ადამიანებთან დარჩენისა თუ მარტო ყოფნის დილემა ერთერთი უმტკივნეულესი საკითხია შემოქმედის ცხოვრებაში, რომლის ერთგვარი პარადოქსულობაც დიდი ტკივილითა და სიმართლით გამოხატა ტენესი უილიამსმა:

„ჩვენ ყველანი საკუთარი მე-ს საკნის ტუსალები ვართ.

სამწერლო შემოქმედება ანტისოციალურია, რადგან თავისუფლად ლაპარაკი მწერალს მხოლოდ მარტოობაში ჩაკეტილს – საკუთარ თავთან განმარტობულს შეუძლია.

თანამედროვეებთან კონტაქტის დასამყარებლად მათთან ყოველგვარი კავშირი უნდა განწყვიტოს და ამაში ყოველთვის არის რალაც შეშლილობის მსგავსი“.



ვიხსენებ დოჩანაშვილის მიერ დახატულ აბსოლუტურად განსხვავებულ ქალთა სახეებს. მუსიკაზე ჯვარდანიერულ, არაამქვეყნიურ ანა-მარიასა და ლამაზ ქვრივ ტერეზას („სამოსელი პირველი“); დედას – რკინის ქალს, ოთარაანთ ქვრივივით ძლიერს, მშობლიურსა და უთქმელს („თავფარავნელი ჭაბუკი“); გულუბრყვილო დელფინას, ზღვითა და გრიშითი ერთნაირად აღფრთოვანებულს („იგი სიყვარულისთვის იყო გაჩენილი, ანუ გრიშა და მთავარი“); წყაროზე მიმავალ თებრონეს, უკომპლექსო კოჭლ ეფემიას; აღმოსავლურად დათაფლული ენისა და მზაკვრული გონების მქონე „ნესვივით ქალს“ – სორეია ხანუმს, („მხიარული ბორცვი“); ალექსანდრეთი მოხიბლულ თბილისელ თამუნას, მეოცნებეობა დამლუპველად გადამდები რომ ჰგონია ახალგაზრდობისათვის („მიხეილი და ალექსანდრე“); ციკოს, პოტენციურ შინაბერას, ასე რომ აუფათქუნა დარდიანი გული მთხრელის უხეირო ქათინაურმა („აჩხოტელების ბატონი“); გასათხოვრად მომწიფებული ელენე და მისი მამიდა ნუცა, გამაოგნებელი ვირტუოზულობით რომ გამოიყენებს იოჰან სებასტიან ბახის ღვთაებრივ მუსიკას, მეცნიერული სიზუსტით, პრაგმატულად რომ გათვლის მარტოდ დარჩენის პერსპექტივას, მოახლოებული სიბერის მთელს უმწეობას და მანიპულატორის ბრწყინვალე ტექნიკითა და ბახის გენიის თავზარდამცემი ძალის წყალობით მონუსხულ სამხედრო-პოდაპოლკოვნიკს ელენეს ცოლად მოყვანას გადააფიქრებინებს („იოჰან სებასტიან ბახი“);

დაუვიწყარია დიდმუცელა დედაბრის ჯადოქრული სახე, დაკრუნჩხულ ხელზე მიმინოსავით განვრთნილ ლეშიჭამია ორბს რომ დაისვამს ხოლმე და გაბოროტებული ეალერსება:

„ლესო, ლესო, ქარი ქრისო – ლისამ დალალო,

ჩემი ორბი ფრთებსა შლისო – ლისამ დალალო,

ხორცი არ გინდა, ორბო ხორცი?...“

(„თავფარავნელი ჭაბუკი“)

როგორი კოლორიტულია ლარისა ცერცვაძე, უდროოდ გარდაცვლილ ვანიკოს „ძმაჩინას“ რომ ეძახდა („ძმისავ“); უერთგულესი მამიდა კაკალა („ჩემი ბიჭუტა, ჩვენი ტერეზა“); თავისუფლების სიმბოლოსავით აფრიალებული კარმენსიტა – ვნებანი და დაუმორჩილებელი; ანდა „სიზმრისა“ და „თანაგრძნობის“ რამონა... რომელი ერთი უნდა ჩამოთვალო... მაინც სულ სხვაა უბინობის ძალა, ამდენ მზერაში მზესავით რომ ამონათებს იესოს დედა „სენიორა-მარიამი“ („ვატერ(პო)ლოო...“) დოჩანაშვილის მიერ დახატულ ქალთა გალერეაში.



ვიყავი ახალგაზრდა და ყვავილივით ჩემშიც ხარობდა რამონას ნაირნაირი სახეობა: „სიზმრის რამონა“, „ჭალის რამონა“, „თანაგრძნობის რამონა“, „ციცკრის რამონა“, „ოცნების რამონა“, „ცხადის რამონა“... მათი ფურცლები იმისდა მიხედვით იშლებოდა და იხურებოდა, რა სიღრმისეული ხარისხითაც ვლინდებოდა ჩემი ემოციური დამოკიდებულება ლიტერატურაში ახალაღმოჩენილი გმირის მიმართ.

დომენიკო რომ გამოჩნდა გზაზე, რამონას ჯერ არ ვიცნობდი იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ჯერ „სამოსელი პირველი“ დაინერა (1966-1978 წ.) და მოგვიანებით „ვატერ(პო)ლოო, ანუ აღდგენითი სამუშაოები...“ (1980-1982 წწ.)

სამოცდაათიანი წლების „ლიტერატურულ საქართველოში“ მოთხრობა მივიტანე,

შემოდის ჩემი უსაყვარლესი რედაქტორი, ბატონი ვახტანგ ჭელიძე, რომელიც მთელი ცხოვრება ისე მანებივრებდა, მასალა მიტანილი არ მქონდა, რომ იმავე კვირაში ხელუხლებლად იბეჭდებოდა. საკუთარი შესაძლებლობებისადმი ახალგაზრდობისდროინდელი ყველა ეჭვი და კომპლექსი სწორედ მან მომიხსნა ნოდარ ტაბიძესთან, აკაკი განერელიასთან, ოტია პაჭკორიასა და გურამ ბენაშვილთან ერთად.

– „სამოსელი პირველის“ წაკითხვა თუ მოასწარი, მაკა?! – მოულოდნელად მეკითხება ბ-ნი ვახტანგი და ჩემში ჩაძირული ყველა რამონა კი არ გაიშალა, ერთბაშად გადაბრდვლიდა. პირველივე ფრაზა, რაც დაბეჭდისთანავე გახმაურებული ამ რომანიდან გამახსენდა, ედმონდის სიტყვები იყო – „მოდი ვიამხანაგოთ“ – და მე მარტო ედმონდის კი არა, ყველა პერსონაჟის ამხანაგი, მეგობარი და გულშემატკივარი, აღფრთოვანებულ საუბარს ვინცებ ლამაზ-ქალაქზე, ამ ქალაქის თითოეულ მკვიდრზე. ისინი თითქოს იმიტომ კი არ გვეცნობიან, საკუთარი კეთილშობილება და ორიგინალობა გვიჩვენონ, არამედ იმიტომ, რომ მეორე ადამიანი აღმოგვაჩინონ, მისი ინდივიდუალობა დაგვანახონ. ეს ხალხი, იშვიათი გამონაკლისის გარდა, თითქმის ყოველთვის და თითქმის ყველგან ერთადაა, – ქალაქგარეთ გასეირნება იქნება ეს, ზამთრის თამაშებში მონაწილეობის მიღება თუ კარასკოების არისტოკრატიულ ოჯახში გამართულ წვეულებებზე მოხვედრა. ამას ხელს უწყობს თხრობის მანერაც, რომელსაც პირობითად შეიძლება პოლიფონიურობა ეწოდოს. ერთდროულად, პარალელურად ვეცნობით ორ, სამ, ოთხ, ზოგჯერ უფრო მეტ სიტუაციას. ამ მუსიკალურ პარტიტურაში თითოეული თავისი თემით, თავისი მელოდიით შემოდის. არსად, არც ერთ თავში არ იწყება და არ მთავრდება ამბავი ერთი პერსონაჟისა, – ისინი ყოველთვის ერთმანეთში გადადიან მუსიკის ახალ-ახალი ტალღებით. ქალაქს თითქოს არ სცალია ერთი კაცისათვის. ძალიან ძლიერი უნდა იყო, მარტოობას რომ

გაუძლო. ამ მარტოობას არიდებენ ლამაზ-ქალაქელებიც თავს და ერთადაც იმიტომ არიან, რომ როგორმე დროზე დაღამდეს...

„მარტოობა საშიშია. ცუდია, როცა მარტოა კაცი, რადგან მარტოობას ღმერთთან თუ არა, მაშინ ეშმაკთან მიჰყავხარ, საკუთარ თავთან მიჰყავხარ და ადამიანი იწყებ ზედმეტ ფიქრს“, – ეუბნება სასულიერო პირი მეგობრის ცოლს ერთი ინგლისელი მწერლის მოთხრობაში.

ეს ფიქრიანობა ნაკლებ ახასიათებთ „სამოსელი პირველის“ გმირებს. ეს არაა რომანი-მონოლოგი, ფიქრის აღწერა, სულის უფაქიზესი ნიუანსების გადმოცემა. მასში მოქმედება ჭარბობს, თუმცა, ზოგჯერ მდორე თხრობა მოულოდნელად იცვლება, იწყება ალეგრო, რომელსაც საცალფეხო ბილიკზე მოხტუნავე ბიჭივით სკერცო ენაცვლება თავისი ხუმრობებით. სწორედ მოქმედება, საქციელი და ნაბიჯი, განსაზღვრავს გმირთა შინაგან სამყაროს, გვიხსნის ხასიათებს, მათ ბუნებას...

ქალაქს ჰყავს თავისი ლამაზი ქვრივი, „ნამდვილი ქალი“ ტერეზა. სოფლიდან ჩამოსული ბიჭის პირველი სიყვარული. სიყვარული თუ გატაცება? ურთიერთობა ზუსტად ახსნა ქალმა, როცა დომენიკომ ცოლობა შესთავაზა:

„გაგიჟდი ბიჭო? ძალიან გინდა, ერთმანეთი დავკარგოთ?“

...და ქალაქი რის ქალაქია, თუ ერთი-ორი გიჟიც არ გამოერია, ნამდვილი და ტყუილი გიჟი.

ალექსანდრო სიკეთის მსახური, ოლონდ იმდენად თვალსაჩინო და აღიარებული მსახური, რომ გიჟად მონათლეს. მან წყენა არ იცის, შეიფერა შემლილის სახელი და ასე უბოროტოდ დღედაღამ იმის ცდაშია, როგორმე სიყვარულის კაკტუსი გაახაროს ქალაქის მკვიდრთა უდაბნო სულში.

ნამდვილი გიჟი – უგო ახალგაზრდაა, თითქმის ბავშვია. ენაზე მუდამ კამორული დანა აკერია და ყელის გამოჭრით ემუქრება ლამაზქალაქელებს. მას ისე სწყურია სისხლი, რომ პირველი თოვლის ნაზ სიჩუმესაც და გაზაფხულის ულამაზეს დღესაც

წყევლით და მუქარით ხვდება. მიეჩვივნენ გიჟის ყბედობას ქალაქელები, ოღონდ ესაა – ყველას უკვირს, რატომ გაურბის გიჟი-უგო დომენიკოს.

ქალაქში კიდევ ნორჩი ჯანჯაკომოა, განსაცდელში მყოფი ყოველ ჯერზე მამამისს ასე მლიქვნელურად რომ მიმართავს: „მარჩენალო მამა“, კიდევ – მარადმწვანე მამიდა არიადნა, კუმეოს სიძეობა რომ დაიტირა ქორწინების პირველ ღამეს: „ჰოიი განგებავ! ეს უპირუტყვესთაგანი თვით დიდი ბენჯამენო კარრასკოს სარეცელზე!..“ კიდევ – პატივმოყვარე ტულიო, ამპარტავანი ვინსენტე, ლექსიკას იმის მიხედვით რომ იცვლის, გახსნილი აქვს თუ შეკრული პერანგის ზედა ლილი... კიდევ? კიდევ სხვებიც არიან. არ მახსენდება, ქალაქი რის ქალაქია, თუ ყველა გაგახსენდა...

ბატონი ვახტანგის ყურადღებიანი ღიმილი მაჯერებს, რომ კარგად ვყვები. ნაქეზებული ვაგრძელებ – კამორაზეც მინდა ორიოდე სიტყვა ვთქვა, ბოროტმოქმედთა ქალაქზე. ყველა და ყველაფერი შავადაა შენიღბული ახალ ქალაქში. მფარველი აქაც გამოჩნდა. ამ სიმართლის დროსაც გამუდმებით ახსოვს დომენიკოს, რომ „ვილაცას“ უყვარდა. ეს ვილაც მისი მამაა, ექვსი ათასი დრაჰკანი რომ გამოატანა ვაჟიშვილს და ასე ცივად თითქოს იმისთვის გამოისტუმრა, რომ ჭკმარტყვას მიაკვლევინოს. იქნებ მიაკვლიოს კიდევ, ვინ იცის. ჯერ ხომ დომენიკო, ავტორის სიტყვებით რომ ვთქვათ „ცომია, ცომი“...

ჯამბაზივით მხარზე შეუსვამს მწერალს მკითხველი და ქუჩაში დაატარებს, შუალამისას ფანჯრებშიც ახედებს და ათასი საიდუმლოს, ათასგვარი პროზის მომსწრეს ხდის. მერე პოეტურად, მელოდიურად ღიღინებს, მუსიკალურად ყვება ამ პროზის შესახებ გურამ დოჩანაშვილი, ალბათ, იმიტომ, რომ თვალებით „ყინული და წებო კი არა, ნალვლიანი საიდუმლო“ დააქვს...

ვახტანგ ჭელიძე, მთელი ჩემი საკმაოდ გრძელი მონოლოგის განმავლობაში, ასეთი გულისყურისანი ღიმილით რომ მისმენდა და არ მანყვეტივინებდა, მოულოდნელად საქმი-

ან დავალებაზე გადადის:

– ყველაფერი, რაზეც ახლა ილაპარაკე, დღესვე დაწერე, არ გადადო, არ გააცივო, იცოდე!

– რა ვიცი... თუ გამომივიდა...

– გამოგივა, დარწმუნებული ვარ... აი, შეხედე, ვინიშნავ... უახლოეს ნომერში შენი წერილი უნდა დაიბეჭდოს გურამ დოჩანაშვილზე.

ასე დაიბეჭდა ჩემი ესეი „გზა მშვიდობისა, დომენიკო!“ „სამოსელ პირველზე“, რომელშიც, როგორც შემდგომ აღნიშნავენ, პირველად შეფასდა რომანის სტილისტური თავისებურება, მისი ჰარმონიული სტრუქტურა და მუსიკალური საწყისი.

შემდგომ წლებში როსტომ ჩხეიძე მონოგრაფიაში – „აღსარება გურამ დოჩანაშვილისა“ (რომელიც, პირადად ჩემთვის, სანიმუშო მაგალითია, თუ როგორ უნდა გიყვარდეს, გესმოდეს და ერთგულედ მწერლის შემოქმედებას, რომლის ბედმაც სიყრმიდანვე აგიყოლია) შემდეგ ფრაგმენტსაც გაიხსენებს გურამ დოჩანაშვილის ინტერვიუდან: „რომანზე მუშაობისას, ამბებისა და წინადადებების აგებისას, ყველა მწერალზე მეტად რამდენიმე კომპოზიტორი, განსაკუთრებით კი ბახი, წამდაუნემ მახსენდებოდა, და პირველი ორი ნაწილის გამოქვეყნების შემდეგ ძალიან გამახარა მაკა ჯოხაძის წერილმა, რომელშიც ავტორმა ჩემი წერის მანერას პოლიფონიური სტილით თხრობა უწოდა“-ო.

თითქოს ცხოვრებაში არცერთი სიტყვა არ დამეწეროს, მეც ისე გამახარა ამ სიტყვების ნაკითხვამ. აღარ მახსოვს „ვატერ (პო) ლოოში...“ თუ ჩანს სადმე ამ სახეობის რამონა, ჩემში კი იმ დღეს, „ბედნიერების რამონა“ ყვაოდა.

თანამედროვე ქართული ლიტმცოდნეობითი სამყარო მდიდარია გურამ დოჩანაშვილის შემოქმედების, მაღალპროფესიული, კვალიფიციური შეფასებებით, ბრწყინვალე წერილებით, ესეებით, გამოკვლევებით.

გარდა ამ საყოველთაო აღფრთოვანებისა, იყო კრიტიკული დამოკიდებულებაც, კერძოდ, ენისადმი...

დიდი ამბავი! – გაიფიქრებს მავანი და მავანი და მაშინვე აკაკის მიერ ვაჟასთვის ენის დაწუნებას გაიხსენებს. არადა, რა ვქნა, აკაკი სხვა იყო, თავისი ლექსებით გამჭვირვალე და ახლობელი, შეცდომებშიც გულწრფელი და ალაღმართალი...

მოგეხსენებათ, მრავალი ცნობილი მწერლის ენა ხშირად საყოველთაო სალიტერატურო ენის ნორმებსა და წესებს ყოველთვის არ შეესატყვისებოდა. „გერცენის ენას, სიგიჟემდე არასწორს, აღტაცებასა და განცვიფრებაში მოყვავარო“, – წერდა ტურგენევი.

როგორც აღნიშნავდნენ, რომ ეს „თავნება“, „ჯიუტი“, „ურჩი“ მწერლები კრიტიკოსთა, ლიტმცოდნეთა თუ გრამატიკოსთა მრავალგზისი შეტევებისა და თავდასხმების, განქიქებისა თუ დაცინვების, რჩევებისა თუ რეკომენდაციების მიუხედავად, არასოდეს არ ავლენდნენ სურვილს, ყურადღოთ მათი რჩევები და მონურად დამორჩილებოდნენ სალიტერატურო ენის ყველა ნორმას, სასკოლო გრამატიკის ყველა წესსა და კანონს. ასეთი მიდგომის შესახებ ფოსლერი გამოკვლევაში „გრამატიკული და ფსიქოლოგიური ფორმები ენაში“ წერდა: „ის, რაც შეცდომაა საყოველთაო ენის თვალსაზრისით, შესაძლოა, მხატვრული ღირებულებისა აღმოჩნდეს, თუ იგი თვითმყოფადი პიროვნებიდან მოდის. ხელოვნებაში ბატონობს პიროვნების უფლება, გრამატიკაში კოლექტივის“.

გურამ დოჩანაშვილის ენობრივი სამყარო და სტილი ხელოვნებაში პიროვნების გაბატონების კლასიკური მაგალითია და მაინც მეჩითირება სიტყვა „გაბატონება“, რალაცნაირად არ უხდება, ზუსტად ვერ გამოხატავს ამ მწერლის ხედვისა და ენის არსებით ხიბლს.

ეს გაბატონება კი არა, უფრო მწერლის მიერ მოწყობილი ზეიმია, რომელზეც მკითხველია მიპატიჟებული. გურამ დოჩანაშვილი, არა მხოლოდ სახელმწიფოში, არამედ სუფრაზეც კი არ ცნობდა, ვერ ეგუებოდა თამადის დიქტატურას. ნებისმიერი მონვეული სტუმარი ამ სუფრასთან, ისევე

როგორც მისი გმირები და პერსონაჟები, თავისუფლები არიან, საკუთარი სიტყვის თამადები და ბატონ-პატრონები. დიდი ხელოვნების (ხელოვანის) შემთხვევაში ამ მოსაზრებას ისევე სჭირდება ანგარიშგანევა და თვალის გასწორება, როგორც იმას, რომ ნამდვილი ლიტერატურა ღვთისმადიებული ლიტერატურაა. ნიკოლოზ სერბი ლიტერატურას ჭეშმარიტებისაკენ მიმავალ გზას უწოდებს და მიიჩნევს, რომ პოეზია ამ გზაზე მზის სხივის ანარეკლია ზღვის ტალღებზე. და მართლაც, უნიკალურ შემთხვევებში, ანარეკლს ისეთი სიღრმისეული გამოსხივება აქვს, რომ მისთვის თვალის გასწორებაც კი ჭირს, რალა უნდა ითქვას მზეზე, (თვით ღმერთზე), რომელსაც კაცი ვერასოდეს ჩახედავს თვალეში.

ქართული ენის უსასრულო შესაძლებლობების, ასე მგონია, ისე არავის სწამდა და აინტერესებდა, როგორც გურამ დოჩანაშვილს, ამიტომაც ამდენი ენობრივი ექსპერიმენტი, სიტყვადქმნადობის თავბრუდამხვევი მონაცვლეობა, ინტონაციით სიტყვის შინაარსის ამდენჯერადი ცვლა თუ განვითარება, ტექსტის ტემპო-რიტმის ასეთი უკიდურესი გრადაციები სხვებთან იშვიათად, ან საერთოდ არ გვხვდება. დინამიურობა, მოძრაობა, ექსპრესია... ესაა მისი ენის, მეტაფორების, ტროპების, სიტყვების გამუდმებული ხეტიალი მთელს სამყაროში, ათასნაირ გარემოში, რეალურში, ირეალურში, არსებულში, არარსებულში, შორეულში, ნაცნობში, მშობლიურში... და მაინც, რამდენიც არ უნდა იწრიალოს, დროისა და სივრცის რა პერიმეტრებიც არ უნდა მოხაზოს, რა საზღვარიც არ უნდა გადალახოს, რასაც არ უნდა მიაღწიოს და რომელ მწვერვალზეც არ უნდა ავიდეს მწერალი, დაშვება მხოლოდ იმიტომ ეიოლება, რომ სიზიფესავით ისევე თავიდან შეუყვეს ენის აღმართებს, იაროს და ისევე თავიდან აღმოაჩინოს აღმოუჩენელი, მხოლოდ მისი თვალთ დანახული და მისი ენით გამოთქმული...

ინტერესებისა თუ მოწოდების შესაბამისად პროფესიებიც რამდენჯერმე შეიც-

ვალა გურამ დოჩანაშვილი. ჭაბუკობაში მის ხელში მოქცეული სიმბიანი საკრავი — ჩელო თუ ვიოლინო — კეთილი კაცივით გუგუნებდა და უსაყვარლეს ბებიასთან ერთად კონსერვატორიაში შესვლას ურჩევდა („პირველი კონცერტი“). არჩევანი მაინც ისტორიკოსობაზე შეაჩერა, როცა „ქართლის ცხოვრებას“ გაუგო გემო და მისი ლაბირინთები კუთხე-კუნჭულ შემოიარა, მერე, როგორც არქეოლოგმა, მნიშვნელოვან გათხრებში მიიღო მონაწილეობა. წარმომადგენია ყოველი სამკაულისა თუ სუროს მოტეხილი თეძოს აღმოჩენისას როგორ უცემდა გული. მანამდე, მონაფეობის წლებში, დისიდენტური სამყაროს წევრობაც მოასწრო და მასზე განხორციელებული წნეხიც იწვნია. მერე ისე ღრმად შეაღწია რელიგიის წიაღშიც, რომ, პირადად მე, ბერად დაყუდებული გურამ დოჩანაშვილის წარმოდგენა კაცხის მონასტერში ძალიანაც მეიოლება, მეზუნებრივება, სენაკიდან რომ გაჰყურებს დროის უღმობელ დინებას და უძლები შვილივით ისევ სანუკვარი, ისევ ძვირფასი მშობლიური ენის წიაღში დაბრუნებას ცდილობს. დაბრუნდა კიდეც, რადგან სწორედ ქართულ ენაში აღმოაჩინა მისი თვითგამოხატვის ყველაზე მძლავრი საშუალება, ყველაზე ერთგული თავშესაფარი.

ხელოვნება, ისევე როგორც ყველაფერი ამ ქვეყნად, უფლის საჩუქარია. მით უფრო ითქმის ეს ხელოვნების იმ დარგზე, რომელსაც მწერლობა ემსახურება. მწერალს უშუალოდ სიტყვასთან აქვს საქმე და, ასე მგონია, მოქანდაკესთან ერთად, პირდაპირ

უფლის დავალებას ასრულებს, ყოველ შემთხვევაში, უნდა ასრულებდეს. ერთს თიხა უჭირავს ხელში, რომლითაც მოიზილა ჩვენი სხეული, მეორემ თიხას სული შთაბერა. სული სიტყვაა.

სიტყვა კლავს და სიტყვა აცოცხლებს... რა უშეღავათო ფორმულაა... როგორ გვაშფოთებენ მომაკვდინებელი სიტყვები...

ჩვენ ყველას გვიყვარს და ყველამ ვიცით გამოთქმა — „პირველითგან იყო სიტყვა“, იმდენად ყველამ, რომ რალაცნაირად მექანიკურად ვიმეორებთ, არც კი ვუკვირდებით, რაზეა საუბარი...

იესო ქრისტეს ერთ-ერთი სახელია სიტყვა.

როგორც აზრი დამალულია მანამ, სანამ სიტყვით არ გამოითქმება, ასევე ღმერთიც დიდხანს მალავდა აზრს თავისას, — ამ ქვეყნად კაცად ყოფნის აზრს და ეს აზრი სიტყვით, თავისი ძის მოვლინებით გააცხადა. იესოთი, ამ უდიდესი სიტყვით უჩვენა სამყაროს ადამიანად (კაცად) ყოფნის არსი, მიზანი, დანიშნულება. ამის შესახებ დაგვიწერა და მოგვცა მოძღვრება.

გურამ დოჩანაშვილი თავისი ადამიანური სულისკვეთება ამ მოძღვრებისადმი საოცარი ერთგულებით გამოხატა, როცა მუსიკალური ფერადოვნებით, ათასნაირი მწერლური ხერხითა და საშუალებით მიანოდა იგი მკითხველს. ამ თვალსაზრისით, თავს უფლებას ვაძლევ მისი შემოქმედებითი ეჭვი — „დიადი ვერასდროს“ — გავაქარწყლო და განხორციელებულად გამოვაცხადო.

ნინო დარბაისელი- სტრონი



ჰინ არის აღრეხატი იოსებ გრიშაშვილის ლექსისა „ქალს უღვაშებით, ააჰით და ჯოხით“

ამა წლის 24 ივნისს გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნდა პაატა ნაცვლიშვილის „ლიბროკუბიკულარისტის შთანაწერები“, რომელიც პაოლო იაშვილის ლიტერატურულ მისტიფიკაციას შეეხება.

ამ ჩანაწერში ჩამოყალიბებული კონცეფცია ძალზე საყურადღებოა და კიდევ ერთ მყარ დასაყრდენს ქმნის ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში დამკვიდრებული აზრისათვის, რომელსაც სავსებით ვემხრობი და რომელიც მოკლედ ასე გამოითქმის:

ავტორი დარიანული ციკლისა არის პაოლო იაშვილი.

პაატა ნაცვლიშვილი ჩანაწერში იხსენებს ერთ ისტორიასაც.

თამარ ბარბაქაძეს 2017 წელს, პირველს ჩვენს ლიტერატურათმცოდნეთაგან, მიუქცევია ყურადღება და ლექსმცოდნეობითი ასპექტით განუხილავს იოსებ გრიშაშვილის ლექსი „ქალს უღვაშებით, კეპით და ჯოხით“. ამ მოხსენების განხილვისას პაატა ნაცვლიშვილს გამოუთქვამს აზრი, „ეს ლექსი კოდირებული ტექსტია და სათაურიდანვე ჩანს, რომ იგი პაოლო იაშვილს

ეძღვნება“, კაცს, რომელმაც ლიტერატურულ მისტიფიკაციას მიმართა და ქალად-ელენე დარიანად შეინიღბა.

ვიდრე ჩემს სათქმელს ვიტყოდე, ვნახოთ ლექსი:

„მე რომ მიწოდონ ფადიშახი,
დიდი თამაზი,
ძველ მინარეთში, სადაც
ჩემთვის სუფევს ნამაზი,
პოეზიისთვის შენი სახე
გაიმეფება.

ჩვენს სიახლეზე კვლავ
დაიწყებს მტერი მასლაათს,
ტერცინებისთვის
გამოვინვევ ჰაფიზს და საადს
და ჩემი ლექსიც მხოლოდ
შენთვის დაიყვება.

გიყვარს ოპერა. და ბიჭურად
როცა ირთვები:

მკერდის დარაბით გეხურება
ვერცხლის ბირთვები,
შენში დავლეკე ჩემი ლექსი –
გრძნობის ნაჟური.

მაღელვებს შენი – არა,
უნდა დავასახელო –
ულვაში. ქუდი. ლურჯი კაშნე.

რბილი საყელო
და გამოხედვა ვნებიანი,
ცელქი,
ვაჟური.
ტფილისელი ვარ!
არ გამკიცხავ, ვიცი, ამაზე,
რომ შენი სტილი დღეს
ამ ლექსით ავალამაზე –
ხარ უსათუოდ პოეტური,



კობტა, ფარეზი.
მსურს შენ – უცხოელს –
აზიელზე დაგნერო ჯვარი.
მსურს, უცხოთათვის
საქართველოს მიჯნა და
ზღვარი
იყოს ტფილისი – ეს ირაკლის
ძველი ზღაპარი“.

ლექსის ტექსტის გულმოდგინედ ნაკითხვამ მიმიყვანა დასკვნამდე, რომ

მისი ადრესატია ელენე ახვლედიანი. გარდა უმნიშვნელოვანესი მომენტისა – ელენე ახვლედიანის გათხოვებისა და ამ ლექსის გამოქვეყნების თარიღის იგივეობისა (1922 წ.) – ლექსში იკვეთება სამი რეალია, ასე ვთქვათ, რეალიათა სამკუთხედი – „ფრემი“:

1. პარიზი, როგორც თბილისში გათხოვების ალტერნატივა.

2. ოპერის

სიყვარული.

3. ქალის ჩაცმა

კაცურად

(ტრავესტი).

1. ოციანი წლების დასაწყისში ელენე ახვლედიანი, ახალგაზრდა ასაკის მიუხედავად, უკვე წარმატებული იყო. 18 ნამუშევარი ჰქონდა გამოფენილი ცნობილ მხატვართა გამოფენაზე და როგორც მაშინდელი ნიჭიერი ახალგაზრდა მხატვრების უმრავლესობა, ეძებდა გზებს პარიზში გასაღწევად. 1922 წელს ჟურნალ „ილიონის“ პირველ ნომერში გამოქვეყნებული ეს ლექსი სწორედ ამ პერიოდს ასახავს. იგი შექმნილი ჩანს ელენეს გათხოვებამდე აგრონომ

კაკაბაძეზე. როგორც გადმოგვცემენ, გრანდიოზული ქორწილი გადაუხდიათ, რომელსაც გრიშაშვილიც ესწრებოდა. ამბობენ, გრიშაშვილმა სახუმარო ეპიგრამაც დაუწერაო პატარძალს:

„სიყვარულის საკითხებში
შენ გრიშაშვილს ვერ ნაბაძე
და ამიტომ მე არ მომნონს
შენი ქმარი კაკაბაძე“.

ახლადმეუღლეობული წყვილი ჯერ იტალიაში მიდის და იქიდან, ერთ წე-

ლინადში ქმარს გამოჩენილი ელენე ახვლედიანი მარტო მიემგზავრება პარიზს, სადაც 1927 წლამდე რჩება, დედის ავადმყოფობის გამო სამშობლოში დაბრუნებამდე.

2. ოპერის სიყვარული ლექსში შემთხვევით არ არის ნახსენები. (ოპერაში სიარულის სიყვარული სხვა რამაა, ბევრიც დადიოდა).

მხატვრის ახლო მეგობრის, თეატრმცოდნე ნათელა ურუშაძის მოგონებიდან ცნობილია, რომ სწორედ იმ პერიოდში სამხატვრო აკადემიის სტუდენტი ელენე ახვლედიანი ოპერაში სტაჟიორად იყო; მხატვრის ბიოგრაფიიდან ისიც ცნობილია, რომ ელენე ახვლედიანი ბავშვობიდან მუსიკოსის კარიერისთვის ემზადებოდა. ამ მხრივ მისი ბედი გადანყვიტა ცნობილი მხატვრისა და პედაგოგის, ქართველ მხატვართა მთელი პლეადის აღმზრდელის, ნიკოლაი სკლიფასოვსკის სიტყვებმა მამამისისადმი: „არ ვიცი, როგორი მუსიკოსი დადგება, მაგრამ როგორც მხატვარს კი დიდი მომავალი გარანტირებული აქვს“.

პარიზიდან დაბრუნებული ელენე ახვლედიანი, როგორც თეატრალური მხატვარი, თანამშრომლობდა კოტე მარჯანიშვილთან. ამავე დროს, არაერთი ოპერაც აქვს მხატვრულად გაფორმებული. მუშაობისას გამუდმებით კლასიკას უსმენდა და ბოლომდე განიცდიდა, რომ მუსიკას არ გაჰყვა.

3. ელენე ახვლედიანის ჩაცმა კაცურად (ტრავესტი) 20-იან წლებში აოცებდა ხალხს, თორემ დღეს მამაკაცურად ჩაცმა ქალისა აღარავის უკვირს, მაშინ კი ჰალსტუხიანი და მამაკაცის პიჯაკიანი ელენე დიდი უცნაურობა იყო. გრიშაშვილის ლექსში მაინც არის მინიშნება მის ქალურობაზე. ამ მხრივ შესაძლოა ნაკლებრელევანტური იყოს, მაგრამ მაინც აღსანიშნავია მამაკაცის ნიშნისმოგებითი, ირონიულად შეფერილი, ამავე დროს ეროტიული გამო-

ნათქვამი – „მკერდის დარაბით დახურულ ვერცხლის ბირთვებზე“.

ჩემი ფიქრით, ულვაშები, კეპი და ჯოხი – პოეტური უტრირებაა, თავისებური გროტესკია. ლექსში საუბარია „სტილზე“ – ევროპულზე, რომელსაც „აზიურად“ ამკობს გრიშაშვილი.



P.S. წინამდებარე პუბლიკაციას ვურთავ ელენე ახვლედიანის ავტოშარჟს, რომელზეც ახალგაზრდა ელენემ საკუთარი თავი გამოსახა „კეპით“ და ხელჯოხით. (ელენე ახვლედიანის მეგობრის, მომღერალ ანა ვარდიანის პირადი არქივიდან).



ნინა სამხარაძე

●
შენამდე

საკითხავი არაფერი მაქვს,
არც – სანერი...

ღმერთი
ჩემს სულს ვერ ხედავს,
წვიმის დროს გამჭვირვალე მაისურით
ვწვები შუა ქუჩაში,
იქნებ ასე მაინც შემნიშნოს.
(კაცები ხომ პირველად ამას ხედავენ...)
მინდა ვკითხო, სად იყო, როცა
„პასკა პასკა გამოცხვის“ ვამბობდი,
მინიან ხელებს ლოყაზე ვისვამდი
და ვუცდიდი როდის მოვიდოდა
ღმერთივით კაცი – მამაჩემი,
ჩემს საკოცნელად.
არც ის მენახა, მაგრამ მჯეროდა
არსებობისა.
ჩემი პასკა არასდროს ცხვებოდა.

დარში
წყალს ვისხამ სახეზე და
შუაგულ მზეზე ვწვები,
სანამ ჩემი სახე
შემწვარ პომიდორს არ დაემსგავსება...
იქნებ ასე მაინც დამინახოს.
ვკითხავ, სად იყო,
როცა ნატკენ მუხლებს

საკუთარი ნერწყვით ვირჩენდი.
ქარში
არაფერს ვაკეთებ,
რადგან ქარი მშლის,
ქარი მიყვარს და
ღმერთისთვის დრო არ მაქვს.

შენ შემდეგ

ღმერთი მაპატიებს, რომ
დღეს მასზე მეტი შენ ხარ ჩემში.
ღმერთი ხომ სიტბო და სიყვარულია.
შენ ხარ ჩემი სიტბო და ჩემი სიყვარული,
რადგან წვიმის დროს ჩაცმულს მამჩნევ,
და ქარში,
ქარში ყველაზე მეტად მიყვარხარ
გაფანტვის ნაცვლად ერთად ვგროვდები
შენს ფერმკრთალ ხელებთან.

ჩემი ღმერთი ლურჯთვალეაა
და როცა მზეა ჩემი სახე იასამანს ჰგავს.



პურის ნახევარს ქუჩის ძაღლი
მაღავს მინაში,
(უნდა შემხედოს მისი ნერწყვით
ხელებდაბანილს,
მადლიერების თუ ჯერ კიდევ
არა სწამს ვინმეს)
ადრე დავწერდი, რომ მეც შიშებს
ასე ვმაღავდი,
ახლა არ ვმაღავ, მე მათ
პეპლის საჭერით ვიჭერ.
დილის შვიდია, რაც ნიშნავს, რომ
უკვე დასრულდა
ლამპიონების ჩაქრობიდან
გათენებამდე მოპარული დრო.



არ მომწონს, როცა ვერშემდგარ მამებს
ლექსებს უწერენ,
ისინი არც ომში დაიხოცნენ არც ბავშვის
გადარჩენისას,
უსაძირკვლო სახლებივით მაშინ
დაინგრნენ,
როცა მუხლნატკენს ნაჭრის კატით
ხელში გეძინა

და, როგორც იქნა, თუ ფრჩხილების
ჭამას მოეშვი,
სასაყვედურო წერილები ისეთივე
უადგილოა,
როგორც სიტყვა „მამიკო“...



არ ვიცი, როდის დაინყო ამ ხმამ
საუბარი,
არ ვიცი, როდის დავინყე ამ ხმის
მოსმენა,
მაგრამ ის ყოველნუთს უფრო მკაფიო
ხდება,
ზოგჯერ განგაშის ზარივით, ზოგჯერ
სამრეკლოს...

ის გამუდმებით ამბობს „დროა“ –
რისი დრო...
იქნებ, სიკვდილის, იქნებ
ცვლილებების
ან იქნებ გამხმარ იასამანს უნდა
წყლის გამოცვლა.
მახსენდება შენი ფერმკრთალი
ხელები,
იქნებ დროა, რომ კლანჭები გავუშვა,
ისე შევბოჭე ველარ უკრავს.
ან იქნებ ყავის დროა, რომლის
დალევაც არ შემიძლია.

მაინც დედასთან მიდის ყველა ქარი
და წყალდიდობა,
ახლა რომ ვუთხრა, მე ვკვდები,
რადგან ასე გამზარდე,
ცუდს ვერაფერს ვაკეთებ და ეს მკლავს!
რადგან ცუდ ქმედებებში ზოგჯერ ხსნაა...

და მაინც რას ნიშნავს „დროა!“
იქნებ თვალები უნდა დავხუჭო,
წარმოვიდგინო ლურჯი ჩიტები
შენი სიცილის ხმა ჩემს სულელურ
იუმორზე,
სიბერეში დანული კალათები და
ისევ ხმა,
შენი ხმა, ლურჯი ჩიტებით სავსე...

დროა, რომ გაიღვიძო ნინეა!
თვალგახელილს შავგრემანი ბიჭი

მხვდება,
 სულ არ ჰგავს მას, ვინც ეზოს ჩიტებით
 აავსებს,
 „ბრონეულებიანმა გოგომ გაიღვიძა“ –
 ხელში ოპერაციის დროს მოხსნილი
 ჯვარი ჩამიდო.

დროა.



როცა ვამბობ, რომ
 „ნიგნთან მაქვს პაემანი“,
 ვზივარ სანთლის შუქზე,
 იასანმის სურნელით,
 ერთადერთი ნიგნით ხელში, რომელზეც
 შენი სახელი თანაბარი ზომის ასოებით
 წერია და ეს უხდება,
 სხვა დროს ეს მაშინებს,
 ნარმოიდგინე,
 ყველა სურვილი, რაც გაგვაჩნია,
 თანაბარი სიმძაფრის რომ იყოს,
 ყველა შენობა ერთი სიმაღლის და
 ჩვენი ყველა თითი ერთი სიგრძის...
 თეთრი და შავი კლავიშები
 ერთმანეთის ტოლი,
 ის მელოდიაც არ მექნებოდა,
 შენს ფერმკრთალ თითებს რომ
 ისე უხდება,
 როგორც დილას ნამი.

ყოველთვის, როცა მენატრები
 ასე იწყება ჩვენი შეხვედრა.
 ყოველ გვერდს საკუთარი ემოცია აქვს,
 ზოგი მატირებს, ზოგი მაცინებს,
 ზოგი მასევედიანებს...
 როგორც ნამდვილ პაემანზე.

ზოგჯერ ძილის წინ, ერთი წამით,
 ვფიქრობ,
 სხვასაც ხო არ უყვარს ჩემსავით...
 შემდეგ ვმშვიდდები,
 ვერავინ ივლის პაემანებზე წიგნთან,
 როცა მისი ავტორი
 სხვა ადამიანების სევდას
 ლურჯი ღმერთივით ატარებს ზურგით.



თამარ მამისეიშვილი

●
ვერ ხვდებოდა ბებერი ცაცხვი,
წითელპურანგა მწყემი ბიჭის გამოჩენისას
რად უტყდებოდა თრთოლვა-ცახცახი...
მისი ტანისგან გამოთლილი სალამური ედო
მწყემს ბიჭს უბეში.

●
დანდობილად რომ მიჰყვებოდა
ბებერი ძალღი
სანადიროდ მიმავალ პატრონს,
ასეთ მუხთლობას
აბა როგორ წარმოიდგენდა?
ბოლო ტყვია რომ
მისთვის ჰქონდათ შემონახული.

●
ხელში მიჭირავს ჩიტის კვერცხი,
დაჭორფლილი და გაბზარული,
ბუდიდან დაბლა ჩამოვარდნილი.
ცაცხვის ტოტებში დედა ჩიტის
გოდება მესმის.
ვდგავარ და ვფიქრობ,
კიდევ ერთი სიცოცხლე რომ დააკლდა ამ ტყეს,
ჩიტების ორკესტრს გამოაკლდა ჭიკჭიკა ხმები.

●
მინაზე გართხმულ გვირილებს ვუცქერ,
თურმე კვდებიან ყვავილებიც
ლალატის შხამით.

●
მესიზმრა წუხელ
ედემის ბაღში,
როგორ ძერწავდა უფალი ევას
და გაღვიძებულს ყრუდ ამტკივდა სუყველა ნეკნი.

●
ამქვეყნად ყველა სილამაზე, მარიტას მსგავსად,
ბროწეულის ყვავილებად რომ გადაიქცეს,
სხვა ხეებისთვის არ დარჩებოდა ამ მინაზე ადგილი, ალბათ.

●
რამდენი რამის თქმა უნდოდა
სხვა ქვეყნიდან დაბრუნებულ, დაქანცულ მერცხალს,
ნაცნობ ეზოში რომ მოუსწრო უცებ ბრმა ტყვიამ.

●
სხვისი რა გითხრა,
მე კი მთელი დღის სიხარულად მეყოფა, ღმერთო,
ცაცხვის რტოებში ისევ რომ დამხვდა,
წუხანდელ ქარს გადარჩენილი ბუდე ჩიტების.

●
როგორც დაჭერილ
და მერე ისევ მდინარეში გაშვებულ თევზებს,
ისე შევყურებ ჩემს სურვილებს
და ყოველ ღამე მესიზმრება წყალქვეშა მღვიმე,
რომელშიც შესვლას ვერაფრით ვბედავ.

●
ისე მსუბუქად გაირბინა მინდორი წვიმამ,
როგორაც გუშინ მეზობლის გოგომ,
დალალჩამოშლილს და დაბნეულს
ცარიელი რომ მოჰქონდა წყაროდან სურა.

●
როგორც ორი მზე,
ისე აფრინდა და აელვარდა
ლელიანის მწვანე ტევრიდან,
ერთმანეთთან შესაყრელად წყვილი ხოხობი.
საოცარია,
როგორ უნდა გამოჰკრა ხელი ამ დროს ჩახმახზე?

ეს ლოდი, კლდეს რომ მოსწყდა
 დიდი ხნის წინათ,
 უსახური და უფერული,
 ვაზის ჩუქურთმად გადმომყურებს
 ტაძრის კედლიდან.
 ვუცქერ და ვფიქრობ,
 რად არ მეორდება ასე ჩვენი ცხოვრებაც?!

ამ ქალს, ასე მშვენიერს,
 ქუჩაში რომ აცილებს ათასი თვალი,
 არ უყვარს თურმე მზესუმზირები.
 არც უდაბნოს ქვიშისფერ თმებში არ ჩაუნწავს თეთრი გვირ-
 ილა.
 არც მის თლილ თითებს გაუთბიათ
 ზამთრის სუსხით გათოშილი, ციციქნა ბელურა.
 ამ ქალს, ასე მშვენიერს,
 ქუჩაში რომ აცილებს ათასი თვალი,
 არ უყვარს თურმე მზესუმზირები.
 მე კი რა გითხრათ,
 არასოდეს მეყვარება ასეთი ქალი.

ჰერ ჰედავ

ვერ ვბედავ შევხსნა შენს წამნამების,
 ჩამოცვარული, სველი ჩარდახი,
 ისე მისხლტები, ქალავ, ხელიდან,
 როგორც არაგვის ჩქერში კალმახი.
 მატულობს მნუხრი, ლეგა ღრუბლები
 დანისლულ ჭალას ჩრდილებს მიაფენს
 და ჭიუხებში სასიარულოდ
 მთვარე ჩაიცვამს ფეხზე წრიაპებს.
 ხევში შენსავით მორცხვი გვირილა,
 თრთის და ვნებიან მზერას ირიდებს,
 მატულობს მნუხრი და კალმახები
 ახლა არაგვში ყრიან ქვირითებს.

ლუკა ხატიაშვილი



პროექტი „იმედი“

ახალი მეთოდი ყოფილა;
ინოვაციური;

რამდენიმე დღის წინ მე და გაბრიელი დავიბარეს. მკაცრად გაგვაფრთხილეს – შეხვედრა საიდუმლოდ შეგვენახა. ლაბორანტებმა კვლევების აღწერა გადმოგვცეს და ძირითადი მონაცემების გაცნობას მოჰყვნენ. ბოლოს, სიამაყით დაამატეს: ცდები გოჭებზე ჩავატარეთ და შედეგები დამაიმედებელიაო. გაბრიელს გაეცინა და ჩაიჩურჩულა: „აბა, თუ გოჭებზე ჩავატარეთ, მე ვინღა ვარ რომ ეჭვი შევიტანო?“

რამდენიმე წუთში მისი უდიდებულესობა იმპლანტიც შეგვათვალისწინებს. მაინც ვერ გამიგია ამ მონეტისხელა მონყობილობამ ჩვენი მომავალი როგორ უნდა შეცვალოს. ლამისაა დაიფიცონ, ტვინისა და ხერხემლის არეში სამედიცინო პრობლემების მქონე ადამიანებს ვუშველითო. ჩვენც სხვა რა გზა დაგვრჩენოდა? დავიჯერეთ. ასე დაიწყო პროექტი „იმედი“.

ამბავი მალე გავრცელდა. რამდენიმე დღეში პირველი იმპლანტაცია ჩავატარე. ვერ ვიტყვი, რომ არ ველავდი. დედაჩემი სულ მიმეორებდა – ექიმად

ვერ ივარგებ, ზედმეტად გულჩვილი ხარო. მაშინ, ხისტი ვიყავი, მაგრამ დროთა განმავლობაში, როდესაც პაციენტებთან ხანგრძლივი ურთიერთობის შემდეგ, ვაცნობიერებდი, რომ მათზე ველავდი, მის სიმართლეში ვრწუნდებოდი და საკუთარ თავზე ვბრაზობდი.

იმპლანტი აუცილებლად თავის ქალაში უნდა მოთავსდეს. ისე, რომ მავთული რამდენიმე მილიმეტრით ტვინის ზედაპირს შეესოს. აი, ეს მავთულია ყველაფრის თავი და ბოლო. წვრილი კია, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ, ერთდროულად ნერვული იმპულსების გასროლის „ნაკითხვასა“ და „დანერას“ ახერხებს. შთამბეჭდავია, არა?

გუშინდელივით მახსოვს!

საოპერაციო ოთახში მშვიდად ეძინა. სანყალს სარა ერქვა: ელჩის ქალიშვილი, ოცდაშვიდი წლის, მძიმე ავტოსაგზაო შემთხვევის შემდეგ ქვედა კიდურები პარალიზებული და ყველაზე მთავარი – ხუთი თვის ორსული.

სარას დაყოლიება არ გაგვჭირვებია. ნარმატების შემთხვევაში ყველა იმ შესაძლო გართულებას ავიცილებდით თავიდან, რომელიც მის ორსულობას

მოწყვებოდა. განსაკუთრებით ალტაცებული მამამისი ჩანდა. არც თანხა დაენანა და დიდება-პატივისცემასაც დაგვპირდა. მე არაერთხელ გავიმეორე, რომ შედეგზე პასუხისმგებლები ვერ ვიქნებოდით, მაგრამ ხომ იცით, კაცს პატარა იმედი მიეცი და მეტი აღარ უნდა რა. ჰოდა, ამ იმედის პირველი მსხვერპლი გახდა სარა.

ე, არადა, ერთი შეხედვით, თავიდან მდგომარეობა დამაკმაყოფილებელი იყო. ყველა იმპლანტის მომავალ პოტენციალზე ალაპარაკდა. გაიძახოდნენ: „ბოლოს და ბოლოს, ადამიანის ტვინსა და კომპიუტერს დავაკავშირებთო“. აბა, ვისლა გაუკვირდება, რომ ამ დიადი მიზნების დევნაში სულ პატარა სისხლდენა გაგვეპარა, რომელსაც სარა შეენირა?

უფრო სწორად, სარა და დოროთი.

დასუსტებული ერთსა და იმავე ამბავს კითხულობდა – „ოზის ჯადოქარი“. ერთხელ კი გამომიტყდა მამაჩემი – მეჩალიჩება, ბავშვს ბებუის სახელი დავარქვა, თორემ მე დოროთი მომწონსო. აბა, მკვდარს ვინლა შეენინაალმდებოდა? ასე დაერქვა პატარა დაკარგულ გოგონას დოროთი.

ჯანდაბა!

არა, საკუთარ თავზე მეცინება. რატომ ვიხსენებ ამ წარუმატებელ შემთხვევას ახლა, როდესაც რამდენიმე წუთში გაბრიელი ჩემს თავის ქალას გაჭრის და იმპლანტს ჩამისვამს?

ასეთ დღეში არ უნდა აღმოვჩენილიყავით, მაგრამ სხვა გზა აღარ დავგონა. პროექტის გადასარჩენად ან მე უნდა გამომეჩინა ინიციატივა, ან გაბრიელს და, რადგანაც ვაჟბატონი, ასაკის მიუხედავად, ჩემზე გამოცდილია, გადავწყვიტეთ, რომ მისი დაკარგვა უფრო არ გვანყობდა.

ანესთეზია მოქმედებას იწყებს;

ვიძირები.

არ მეშინია;

გინდ ყველაფერი სავალალოდ დას-

რულდეს!

ასეა საჭირო;

„იმედისათვის“!

●

ბატონი ექიმის თქმით, ოპერაცია წარმატებით დასრულდა.

ნელ-ნელა აზრზე მოვდივარ.

ექთნის მოკითხვა მესმის, რომელსაც გაბრიელი ჩემ მაგივრად პასუხობს: „კარგად იქნება. ბოლოს და ბოლოს, თავის ტკივილით ცხოვრებას ისედაც შეჩვეულიაო“. ამით არა მარტო იმას გულისხმობს, რომ საშინელი თავის ტკივილი შემანუხებს, არამედ იმასაც, რომ ყველაფრის გამო თავის ატკივება მჩვევია.

ამ უკანასკნელზე სულ მეხუმრება.

ვცდილობ პასუხად გავუღიმო, მაგრამ ვერ ვახერხებ.

ჩემი სხეული ვერ იტანს ნარკოზს. რამდენიმე დღე დარეტიანებული ვივლი. ასეც რომ არ იყოს, რალაც დავინახე. არ ვიცი, რა დავუძახო – სიზმარი, ხილვა თუ მოჩვენება, მაგრამ მოდი, სიზმარი იყოს.

ესე იგი სიზმარი ასეთი იყო:

ოთახი – ცარიელი, ფანჯრები – ღია, კედლები – თეთრი, სიცივე – სულისშემძვრელი. ეტყობა, სარას ზმანება ძილშიც გამყვა. იატაკზე ეგდო. მუცლიდან სისხლი სდიოდა. ღრიალებდა. მეც პირი გავაღე, ღრმად ჩავისუნთქე, მაგრამ ხმა ვერ ამოვუშვი.

ჩემი სხეული სავსეა სიჩუმედ ქცეული ტკივილით, რომელსაც სულ თან ვატარებ და ნეტავ რამ მაფიქრებინა, რომ სიზმარში მაინც შევძლებდი მასთან შელევას? როგორ ამბობენ? შეჩვეულს ნუ გადააჩვევ, შეუჩვეველს ნუ დააჩვევო.

სარა საკუთარი ქალიშვილისათვის სიცოცხლეს ითხოვდა. მე კი ძალიან მინდოდა მიმეცა, მაგრამ არ მივეცი. ბოდიში მოვუხადე და თავი იმით დავიმშვიდე, რომ მომავალს შევცვლიდი.

არაფერი შეგეშალოთ! ეს არც ჩემი პირველი კომპარია და, დარწმუნებული ვარ, არც უკანასკნელი. რაც პროექტი დაიწყო, უძილოდ მრავალი ღამე გავატარე, მაგრამ ეს სულ სხვა ამბავია.

●
თუ გახსენებაა, ისიც უნდა ითქვას, რომ სარას სიკვდილით არაფერი დასრულებულა. არა, ბატონო! ასე დაიწყო, რაც დაიწყო.

პრესა შემოგვესია. ვის გამოეპარებოდა ყველასაგან პატივცემული ელჩის ქალიშვილის სიკვდილი? სახელი გაგვიტყდა. მკვლელებს გვეძახდნენ. მაშინ ჟურნალისტების დამოკიდებულებამ ძალიან გამანანყენა და საკუთარ თავსა და გაბრიელს პირობა მივეცი, რომ „იმედი“ წარმატებას აუცილებლად მივალწევდა და ჩვენც დაკარგულ ღირსებას დავიბრუნებდით. როგორ ამაღელვებლად ჟღერს, არა?

უბედურება ის იყო, რომ მსურველები აღარ გვეყავდნენ. ლამის იყო, პროექტი ჩაგვივარდა. ჩვენ სასწაულმოქმედებაზე ღალადით ველარავის ვითანხმებდით. ხანდახან იმედზე ძლიერი სიკვდილის შიშია. რა გვექნა? ძალით ხომ არ მივვარდებოდით და პაციენტებს თავებს გავუკვეთდით?

ლაბორანტები საგონებელში ჩაცვივდნენ. იფიქრეს, იფიქრეს და გადანივტიეს, რომ არაფრის ფასად არ უნდა გავჩერებულიყავით. ამჯერად დაინტერესებულ პირებს არა მხოლოდ იმპლანტაციის უსასყიდლოდ ჩატარებას, არამედ საკმაოდ სოლიდურ თანხასაც ვთავაზობდით. იდეის ინსპირაცია ერთ-ერთი ლაბორანტი აღმოჩნდა, რომელმაც გამოაცხადა, სტუდენტობის დროს ქირის ფულის საშოვნელად სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებებში სპერმას ვაბარებდით.

ზუსტად ვერ ვიხსენებ, რა თანხაზე იყო საუბარი. არადა, საინტერესოა, რამდენის გადახდაზეა წამსვლელი მა-

ვანი იმედისათვის.

ირონიული კია, მაგრამ გეგმამ გაამართლა;

თვის ბოლოს ახალი ოპერაცია დამინიშნეს;

თოთხმეტი წლის ბიჭი, სახელად ნიკო: მუქი შავი თმა, თაფლისფერი სავსე თვალები, დაქვეითებული სმენა.

სახტად დავრჩი. ზრდასრული ორგანიზმისათვისაც კი რთულია იმპლანტთან ადაპტაცია. სხეულისთვის კი, რომელსაც ჩამოყალიბება ახალი დაწყებული აქვს, წარმოუდგენელი ამბავია.

მშობლებთან გასაუბრება მოვიტხოვე და პირდაპირ მივახალე, რომ ლეტალური შედეგი დადგებოდა. ასე გავარკვიე, რომ ნიკოს სმენის აღდგენა სულაც არ ყოფილა პრიორიტეტი. გამოსირებულები! ფული სჭირდებოდათ და შვილის თავის გაჭრაზე უკეთესი გზა ვერ მონახეს.

პირველად იყო, რომ ვუყურებდი სკალპელს და ხელი მიკანკალებდა. ასეთ პატარასთან შეხება არასდროს მქონია. სარა ზრდასრული ქალი იყო. ჩემზე უმცროსი, მაგრამ ცხოვრება ნანახი მაინც ჰქონდა. ნიკოს კი ჯერ არც ეცხოვრა.

ვერ გადაიტანა.

ოპერაციის დასრულებამდე დავკარგეთ;

ხელში ჩაგვაკვდა.

– გაბრიელ გახსოვს... – მინდა სიტყვა ნიკოზე ჩამოვუგდო, მაგრამ ამის მაგივრად ვეკითხები – ჩვენი პირველი ხელმძღვანელი ?

– რა დამავინწყდებს?

– ფიცის დადების დღეს რა გითხრა?

– გვერდით გამიხმო, – ხმას იბოხებს, წელში იხრება, აჯავრებს. – ჩემო ბიჭო, შენი უბედურება ისაა, რომ შენ ისევე გწამს ადამიანების, როგორც ემას სწამს ღმერთის.

– არც ისე ცუდად გამოგდის.

– ე, უჟმური მოხუცი. როგორ მაღიზიანებდა. ჯოჯოხეთი თუ არსებობს,

უეჭველად ცეცხლში იწვის. ისე, რისი თქმა უნდოდა, მაინც ვერ დავადგინე.

– არ ვიცი და არც ის ვიცი – ან რისი მწამს მე, ან რისი გწამს შენ, მაგრამ ის კი ვიცი, რომ რალაცის ორივეს გწამს და ესლა გვანუგეშებს.



მდგომარეობა დამაიმედებელია.

ჯერჯერობით გართულებებზე ფიქრის საფუძველი არ გვაქვს. გაბრიელი თავს დამტრიალებს – ეშინია. ჩვენ ხომ მაინც ვიცით, რომ წარმატების კოეფიციენტი არც ისე მაღალია.

რამდენჯერაც ვფიქრობ იმაზე, თუ რამდენი სისცოცხლე შეეწირა ჩვენს პროექტს, იმდენჯერ თვალებს ვხუჭავ და წარმოვიდგენ ჩვენი სურათებით აჭრელებულ სტატიებს სათაურებით: „მედიკოსები, რომლებმაც ადამიანის ტვინს სძლიეს!“ – „ვინ არიან გმირები, რომლებმაც ნევროლოგიურ დარღვევებს წერტილი დაუსვეს?“

კაი, ხუმრობა და პათეტიკა იქით იყოს და, მართლა უამრავი ადამიანის გაბედნიერება შეგვიძლია: ზოგს მხედველობას დავუბრუნებთ, ზოგს – სმენას, ბოლოს და ბოლოს, დამბლას, ალცჰაიმერს და კიდევ მრავალ დეგენერაციულ დაავადებას განვკურნავთ. ეს დღეც დადგება და შემდეგ გარდაცვლილებს აღარავინ დაგვითვლის. კი, არც ისეთი სამართლიანია, მაგრამ რაც არ უნდა იყოს, მკვდარს მაინც ცოხალი სჯობს – ეს ასეა.

ერთი სიტყვით, წვალებად ღირს! ასე ვირწმუნებ თავს ყოველდღე და დღისით გამომდის კიდევ, მაგრამ ღამით სიზმრებს ვერაფერს ვუხერხებ:

ხშირად ვხედავ ჩვენს კლინიკასთან აღმართულ ბანერებს: ზოგი გვაგინებს, ზოგიც გვემუქრება. მრავალფეროვნებას არ უჩივიან. როგორც ხდება ხოლმე, რა. მე და მედპერსონალი ფანჯრიდან ვუყურებთ შესასვლელ კართან შეკრებილ ბრბოს, რომელიც დაკვირვე-

ბისა და ჩემს პირად თერაპევტთან საუბრის შემდეგ რამდენიმე კატეგორიად დავყავი:

ერთნი ღრიალებენ, რომ ტექნოლოგიის განვითარება კაცობრიობას დალუპავს. ესენი უეჭველად სამეცნიერო ფანტასტიკის ფანები არიან და მერე რა რომ საპირისპიროს ამტკიცებენ, გულის სიღრმეში ძალიანაც უნდათ აპოკალიფსს მოესწრონ.

შემდეგ მოდის რელიგიური საზოგადოება, რომელსაც თავისი გასჭირვება – ეშინიათ. ღვთის რისხვას დავგატეხთ თავსო. ხმამაღლა ლოცულებენ და ჩვენი ცოდვებისათვის შენდობას ითხოვენ. სიმართლე ითქვას, მათ ვერ გავამტყუნებ. შეიძლება ძალიან ბევრი წლის წინ მეც მათი მხარი დამეჭირა, მაგრამ, როდესაც არჩევნის წინაშე დავდექი, რწმენას, უკეთესი მომავალის იმედი ვარჩიე.

რა თქმა უნდა, არც უპოლიტიკოსობაა. როგორ ვერ დამიდგენია, მაგრამ, ჩემდა გასაოცრად, რალაცნიარად ახერხებენ მთელი ეს ამბავი თავიანთი კამპანიისათვის გამოიყენონ. ძირითადად კონსერვატები, რომლებიც ეშმაკის მოციქულებად გვრაცხავენ და რალაცას უბერავენ.

და ბოლოს, გარდაცვლილთა ახლობლები. მათი გამორჩევა ყოველთვის მარტივია. ხშირ შემთხვევაში, შავი აცვიათ და საკუთარი შვილების, შვილიშვილების ან უბრალოდ ნაცნობების სურათებით დადიან. ჰყვებიან მათ ამბებზე, იღებენ თანაგრძნობას და ასე იქარვებენ სევდას.

მოკლედ, სრული ქაოსი. შენობაში შემოვარდნას ცდილობენ. დაცვა მობილიზებულია. მერე იწყება: ნავიდა წინ, აღმართა იარაღი, დაიხია უკან, ერთმა შეაფურთხა, მეორემ დაუღრინა. კივილი-წივილი. ერთი ორი ფანჯრის დამსხვერვა. ასე გრძელდება დაუსრულებლად.

ამ სიუჟეტის კიდევ მრავალი სხვადასხვა განვითარება მინახავს. ისე, ერ-

თი კაი ფილმი კი გამოვიდოდა.

საინტერესო ისაა, რომ, როგორც არ უნდა წარიმართოს მოვლენები, დასასრული ყოველთვის ერთია – უეცრად მთელი მედპერსონალი ცეცხლში ვეხვევით, გეგონება, სადღაც კოცონი აენთოთ. თავიდან გაბრძოლებას ვცდილობთ, მაგრამ კვამლი სქელი ქსოვილივით გვეხვევა გარშემო და ველარაფერს ვხედავთ.

შემდეგ ვიღვიძებ და ვფიქრობ.

საკუთარ იმედებსა და მიზნებზე ძალიან ბევრს ვფიქრობ.

●

გულის რევის შეგრძნება არ მასვენებს;

ლამეს ტუალეტში ვათენებ. აი, ფილმებში როგორცაა, ზუსტად ისე – ვარ უნიტაზთან ჩაცუცქული და შემდეგ სპაზმს ველი.

არა, ამ მონეტისხელა სირობამ როგორ უნდა მაჯობოს?!

ამუშავდა. გუშინ პირველი გამოსახულებაც მივიღეთ. იმპლანტი ნეირონების გალიზიანებასა და იმპულსების გასროლას საოცარი სიზუსტით „ინერს“. ჯერი მათ „დანერაზეც“ დადგა და დაიწყო, როგორც გაბრიელი იტყოდა, ჩემი თავის ტკივილით ცხოვრება.

პატარა განმარტებას გავაკეთებ:

ყოველი ნერვული იმპულსი ინფორ-

მაციის მატარებელია. დენდრიტების საშუალებით შედის ნეირონის სხეულში, სადაც მიწოდებულ ინფორმაციაზე შესაბამისი პასუხის ფორმირება ხდება. მავთულს შეუძლია გააღიზიანოს ნეირონი და ხელოვნურად გამოიწვიოს იმპულსის გასროლა, მაგრამ ამ ჩვენს ტვინს ხომ ვერაფერს გამოაპარებ? აქაოდა, შენ ჩემი დამორჩილება გადაგინყვეტია, ვერ მოგართვითო. წინააღმდეგობებს გიქმნის, რომლის საბოლოო შედეგიც ისაა, რომ ნერვული უჯრედები ზიანდებიან. ჰოდა, ეს გახლავთ ჩემი თავის ტკივილის მიზეზი, რომელიც...

არა, რაღა უდგას წინ აღიარებას. პატარა, გულუბრყვილო გოგო ხომ აღარ ვარ?

მე ამ ლამეს ვერ გადავიტან. ხვალ მკვდარს მიპოვიან.

ე, ჩემსას არა ვჩივი – გაბრიელზე ვნერვიულობ. ჩემ შემდეგ მას მიადგებიან და ასე გაგრძელდება იმედის იმპლანტაცია მავანთა თავებში.

როგორ მინდა, საბოლოოდ ყველაფერი ჩანაფიქრისამებრს დასრულდეს.

ასე ხომ ჩემი სიკვდილი უსაფუძვლო არ იქნება,

არც დოროთისა და სარასი,

და არც ნიკოსი.

ისე, რა უცნაურია – ადამიანი თავს იმედს აკვლევინებდეს?

ასეთი არაფერი გამიგია.



ამირან გომართელი

ექსპროზის დიდოსტაბი

პაოლი იაშვილის დაბადებიდან 130 წელი შესრულდა. ქართული მოდერნიზმის ფუძემდებელსა და პოეზიის რეფორმატორს ექსპროზის დიდოსტაბად მოიხსენიებენ თანამედროვენი. მშობლიურის გარდა, რუსულ ენაზეც წარმატებით შეეძლო ექსპროზის შეთხზვა. მეტიც, ზოგჯერ ის სახელდახელო, საუცბისო (ასეთია ექსპროზი) ლექსისთვის რუსულ ენას ირჩევდა.

20-იან წლებში საკმაოდ ცნობილი იყო პაოლოს ერთი რუსული ექსპროზი, რომლითაც მან მედიდურ ქალბატონს, ქიათურის კონცესიონერის მეუღლეს მიმართა.

**Ангорской кошки дикий взгляд,
и образ Иверской мадонны
а все манеры говорят
что вы, мадам, из Зестафони**

მნიშვნელობა ექსპროზისა, რომელზეც ახლა უნდა ვისაუბროთ, აშკარად სცილდება სუფრული ხუმრობის ვიწრო არეალს და კულტურული მნიშვნელობის ფაქტს წარმოადგენს.

„ჩუკოკალა“ – ასე ჰქვია ხელნაწერ ალმანახს, რომლის შექმნის იდეა ცნობილ რუს კრიტიკოსს, ლიტერატურათმცოდნესა და საბავშვო მწერალს კორნეი ჩუკოვსკის ეკუთვნის. ფაქტობრივად, ესაა ალბომი, სადაც მეოცე საუკუნის არაერთი გამოჩენილი მწერლისა თუ ხე-

ლოვანის ჩანაწერი და ჩანახატია. როცა ალმანახს ეცნობი ასეთი კითხვა გიჩნდება: დარჩა კი 1914 წლიდან 1969 წლის ჩათვლით (კორნელი ჩუკოვსკის გარდაცვალებამდე) რუსეთში ისეთი მნიშვნელოვანი პიროვნება, რომელიც აქ არ არის წარმოდგენილი?! ყველას ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. ნაწილს დავასახელებ: ბლოკი, ბელი, პასტერნაკი, მაიაკოვსკი, მანდელშტამი, ბუნინი, გუმილიოვი, ვოლოშინი, ახმატოვა, გიპიუსი, გორკი, შალიაპინი, მეიერხოლდი, ნაბოკოვი, სოლჟენიცინი...


სახელწოდება ალმანახს ილია რეპინმა მისცა. იმ ილია რეპინმა, ვისი ხელშეწყობითაც შეიძინა კორნელი ჩუკოვსკიმ სახლი ფინურ სოფელ კუოკკალაში - მერე რუსებმა რომ დაინარჩუნეს და რეპინო დაარქვეს, ფინური სოფლის არსებობა კი მხოლოდ ლიტერატურის ისტორიასლა შემორჩა – ისიც ამ ალმანახის წყალობით. რეპინმა თხელ, სააღბომოდ გამიზნულ რვეულში საკუთარ ნახატს წაანერა – „ჩუკოკალა“. ეს სიტყვა მან ჩუკოვსკის გვარის პირველი ორი ასოსა და ფინური ტოპონიმის შერწყმით შეადგინა. ასე გაჩნდა ალბომის სახელწოდება, რომელიც დღეისათვის რამდენჯერმეა გამოცემული და ყველა ლიტერატურულ ალმანახს უწოდებს, იმდენი ღრმაშინაარსიანი ჩანაწერი თუ

ჩანახატია მასში. თავდაპირველ თხელ რვეულს მერე არაერთი ფურცელი დაემატა. კორნელი ჩუკოვსკი არა მარტო თავის სტუმრებს, არამედ სადმე, სხვაგან შეხვედრილ გამოჩენილ პიროვნებებსაც აძლევდა სუფთა ფურცელს და სთხოვდა, რაიმე დაენერათ. ასე გაივსო „ჩუკოკალა“ ეპიგრამებით, შარუებით, პაროდებით, ექსპრომტებით – ჩანანერთა და ჩანახატით.

ჩუკოვსკის აღმანახი იმიტაც არის საინტერესო, რომ აქ შეხვდებით მომღერალ შალიაპინის ნახატს, ლინგვისტ რომან იაკობსონის ლექსს, პროზაიკოსი კუპრინი კი პოეტად წარმოგვიდგება; ფაქიზი და დრამატული ტონალობის მეფე-პოეტი (როგორც გალაკტიონმა უწოდა) ალექსანდრ ბლოკი წერს კომედიურ ტექსტს და ა.შ.

ერთი სიტყვით, „ჩუკოკალა“ – ეს უჩვეულო ალბომი-აღმანახი, იქცა უნიკალურ მოვლენად, მეოცე საუკუნის რუსული ლიტერატურისა და ხელოვნების „ინტიმურ ისტორიად“, რომელიც აინტერესებს ყველას და არა მხოლოდ რუსეთში. ყველა თანხმდება, რომ არ არსებობს მეორე წიგნი, სადაც ამდენი მნიშვნელოვანი სახელი და გვარი იყოს წარმოდგენილი. „არც ასეთი მრავლაფეროვნებაა სადმე და „არც დროის ასეთი ხანგრძლივი პერიოდი. ხუმრობა საქმეა – ნახევარი საუკუნე“. ეს უკანასკნელი ფრაზა ირაკლი ანდრონიკოვს ეკუთვნის, რომელიც მან „ჩუკოკალას“ 1965 წლის გამოცემისთვის დაწერა, მაგრამ გამზადებული წიგნი „იდეოლოგიური მოსაზრების გამო“ გაა-

ჩერეს, აღარ გამოსცეს. პირველი, 1979 წლის გამოცემაც შეკრეჭილ-შემცირებულია, ამოღებულია არაერთი ფაქტი და ხელისუფლებისათვის მიუღებელი პიროვნება. მიუხედავად ამისა, ჩვენთვის, ქართველებისათვის მნიშვნელოვანია ის პირველიც და ყველა შემდგომი გამოცემაც, რადგან იმ პირწმინდად რუსულენოვან წიგნებში, ერთადერთი უცხოენოვანი ტექსტი - ქართული ტექსტია. ეს გახლავთ პაოლო იაშვილის ექსპრომტი. იქვეა, გავბედავ და ვიტყვი, მისი კიდევ უფრო შთამბეჭდავი რუსულენოვანი ვარიანტი.



შალვა აფხაიძის წყალობით, რომელიც კორნეი ჩუკოვსკის მოგონებას ემყარება, ჩვენი მკითხველისათვის ჯერ კიდევ აღმანახის წიგნად გამოცემამდე გახდა ცნობილი. პაოლო იაშვილის რუსული ექსპრომტი, მაგრამ, რადგან ქართული

ტექსტი კორნეი ჩუკოვსკის მოგონებაში არ იყო, შალვა აფხაიძესაც ვერ მოჰყავს იგი.

თუ არ ვცდები, ჩვენი ლიტერატურათმცოდნეობაც სწორედ შალვა აფხაიძის პუბლიკაციას ემყარება და არსად შემხვედრია კორნეი ჩუკოვსკის ალბომში პაოლოს ხელით ჩანერილი ქართული ტექსტი: ასეც რომ არ იყოს, არაფერი დაშავდება თუ ორივეს, ქართულსაც და რუსულსაც მოვიხმობთ, მერე კი ჩემს მთავარ სათქმელსაც მოგახსენებთ.

„ვიქნე მეზობლად ძლიერ ვეცდები
ბლოკის, ბელლის და პასტერნაკისა
ქართულად არი ჩემი ლექსები
და ასე წერა ბედმა მაკისრა,
მაჩქარებთ... უნდა დავენერო ხელად
და ლექსს აკლია, ძალა ფესვები,
მე თქვენ არ მიცნობთ, როდესაც
ყველა

იცის მედემ თქვენი ლექსები“.

პაოლო იაშვილი

Какое чудное соседство;
здесь Белый, Влок и Пастернак,
Я рядом занимаю место,
Как очарованный простак
Переважу Вам эти строчки
На несравненный русский лад -
Поет моей любимой дочки,
А для меня-весь Ленинградь.

19 август, 1934, Москва

როგორც კორნეი ჩუკოვსკი იხსენებს, პაოლომ ჯერ ქართული ტექსტი ჩანერა და მერე სწრაფადვე – რუსული. ერთი შეხედვით, თითქოსდა რალა საჭირო იყო რუსულენოვანი მკითხველისათვის გამიზნულ ალბომში ქართული ლექსის ჩანერა?! როგორც ჩანს, ამ დროს პოეტის გონებაში ისეთივე მიზეზი ხშიანობდა, როგორც ძველ ქართულ ძეგლშია გაცხადებული – „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“. „ქებაის“ ავტორი ბიზანტიის იმპერიულ პოლიტიკას უპირისპირდება. მან ქართული ენა უნდა დაიცვას, რომელიც იმჟამად „მდაბალი და დაწუნებული, მოელის დღესა მას

მეორედ მოსვლასა უფლისასა“, განკითხვის ჟამს უფალი ქართულად იმეტყველებს.

ჭეშმარიტად თქმულა, არაფერი არ არის ახალი მზისქვეშეთში. სსრკ-დ სახელდებულ რუსეთის იმპერიაშიც რუსული ენა ბიზანტიური-ბერძნულის მსგავსად, სხვა ენებზე აღმატებულად არის გამოცხადებული. თუ ბიზანტიელი იმას გაიძახოდნენ, ბერძნული სახარების ენააო, რუსული საბჭოთა პროპაგანდაც დღე და ღამ გაჰკვივის, ისწავლეთ რუსული – ლენინის ენააო.

ასეთ ვითარებაში მნიშვნელოვანია, რომ რუსულ ალბომში ტექსტი ქართულად, ქართული ასონიშნებით ჩაიწეროს. არა აქვს მნიშვნელობა, რუსი კოლეგა რომ ვერ წაიკითხავს და ვერ გაიგებს ქართულს. მთავარი და არსებითია, წიგნიერ სივრცეში დაფიქსირდეს ქართული. ამიტომ ჩანერს პაოლო ალბომში ჯერ ქართულ-მერე კი რუსულ ტექსტს.

მარტივი ამოცანა არ იდგა ქართველი პოეტის წინაშე – მის მიერ რუსულად შექმნილ ექსპრომტს გამოჩენილი რუსი პოეტების, როგორც თვითონ ამბობს – ანდრეი ბელის, ალექსანდ ბლოკისა და ბორის პასტერნაკის გვერდით უნდა დაეკავებინა ადგილი, (სხვებს აღარ ჩამოვთვლი). აშკარაა, რომ ეს ხელეწიფებოდა პაოლო იაშვილს და დიდებულადაც განახორციელა. დასტურად კორნეი ჩუკოვსკის, ამ პირუთვნელი კაცის, მოგონებას მოვიხმობ: „ცოტამ თუ იცის, რომ ის (პაოლო იაშვილი – ა.გ.) ოსტატურად ფლობდა რუსულ ლექსს... ყურადღებით გადაათვალიერა რა ჩემი „ჩუკოკალა“, ელვისებურად, გასაოცარი სისწრაფით ჩანერა მასში ლექსი ექსპრომტი ქართულად. როცა შეამჩნია, რომ მე შეწუხებული დავყურებდი ჩემთვის გაუგებარ სტრიქონებს, პაოლომ იქვე თარგმნა ის რუსულად“.

ასეთია პაოლო იაშვილის ერთი გამორჩეული ექსპრომტის ისტორია.

ნინო დარბაისელი- სტრონი



ზაზა აზიანიძის „პაოლო იაშვილი“ ანუ ჩემი „ავღარიანული ხრიდოლი“

ამ ბოლო ხანს ელენე დარიანის ფსევდონიმის გამო საზოგადოებრივმა დაპირისპირებამ რეალურსა თუ ვირტუალურ სივრცეში ლამის ზენიტს მიაღწია. ძალიანაც რომ უკუვდგე და მიამიტი სახით განვაცხადო, ამ სკანდალში ჩემი წილი მეტისმეტად მოკრძალებულია-მეთქი, ფეისბუქელებიდან მაინც არავინ დამიჯერებს. სავსეა ჩემი პოსტებით იქაურობა.

პირადად მე პაოლო იაშვილის შემოქმედებაზე სპეციალურად არასოდეს მიმუშავია. როგორც პოეტი, ვიცნობდი ოდნავ იმაზე უკეთ, ვიდრე რიგით ლიტმცოდნეს მოეთხოვება. ახლა კი იმის წყალობით, რომ უამრავი მეგობარი-კოლეგა ოკეანის გაღმიდან უამრავჯერ შევანუხე, ეს წიგნი ნახე, ის წიგნი ნახე, ხომ იცი, ამერიკაში ქართული ბიბლიოთეკა თან არა მაქვს და, როგორც ხრიდოლის დროს, ხელშეკრული ვარ-მეთქი, ერთმა კოლეგამ, რომელსაც ძალიან გავუწყალე გული ჩემი უდროო ზარებით და რომელსაც ამჯერად ანონიმად დარჩენა ურჩევნია, ზედმეტსახელად ხრიდოლი დამარქვა და სხვებმაც აიტაცეს.

ხრიდოლურობის გამო, უნდა ვაღიარო, რომ ჩემი თვალსაწიერი მაინც შემოსაზღვრულია იმ ინფორმაციით, რომლის მოპოვებაც ინტერნეტითაა შესაძლებელი ან ფოტოების სახით აღწევს ჩემამდე. იქნებ ამიტომაც, ვიდრე რამეს ვიტყოდე, კიდევ უფრო დაკვირვებით მიხდება მასალის გაანალიზება.

ძალიან ბევრგან შემხვდა „გუგლში“ ინფორმაცია, რომ ლიტერატურათმცოდნეობითი წრეები ერთმანეთს დაუპირისპირდნენ იმის კვლევაში, თუ ვის ეკუთვნის ფსევდონიმი – „ელენე დარიანი“. ისიც კი მომეჩვენა, რომ ვიღაც-ვიღაცები მეტისმეტად არიან მონადინებულნი, რომ ეს აზრი საზოგადოებას ჩაუბეჭდონ გონებაში. თუმცა, ვიდრე საკითხში შედარებით უკეთ გავერკვეოდი, არც ის გამომირიცხავს, რომ, შესაძლოა, საქართველოში ჩემი არყოფნის მანძილზე მართლა რამე მსგავსი მომხდარიყო. მეცნიერება რისი მეცნიერებაა, თუ საკვლევი გამოელია! მეორე მხრივ კი, რა საკვლევი, თუ რაიმე წინააღმდეგობას არ შეიცავს! როცა ამა თუ იმ თემაში საკვლევი დაილევს და ყველაფერი დღესავით

ცხადია, ისლა დაგრჩება, დესკრიფციას მიმართო და თემა სუფთა სინდისით აქციო ლიტერატურის ისტორიის მყარ კუთვნილებად.

იმ ანგარიშგასანევ მკვლევართა მასალებს, რომელნიც „დარიანული დღიურების“ უპირობო ავტორად პაოლო იაშვილს მიიჩნევენ და რომელნიც ცოტანი როდი არიან, კარგად ვიცნობდი ლალი ავალიანის შრომებს, უკეთ ჩახედვა დამჭირდა ზეინაბ ლომჯარიასა თუ სხვა კოლეგების პუბლიკაციებში, ამის გათვალისწინებით, რომ ბუნებრივად დამაინტერესებდა, მაინც ვინ უნდა მოაზრებულყო ლიტერატურათმცოდნეთა საპირისპირო „წრეში“.

გიორგი ჯავახიშვილს, რომელსაც ელენე ბაქრაძე დარიანული ციკლის ავტორად მიაჩნდა და რომლის პუბლიკაციებსაც ადრევე ვიცნობდი გაზეთ „კალმასობიდან“, ჯეროვანი, მეცნიერულად დასაბუთებული პასუხი ჯერ კიდევ მაშინ გაეცა, მე რომ საქართველოში ვიყავი. ვიცნობდი ნინო ხოფერიას დოკუმენტურ ფილმს, რომელიც პრაქტიკულად, სხვანაირად ფიქრის არანაირ მოტივს აღარ ტოვებდა და ასე შემდეგ...

ამას წინათ მეგობრებმა გადმომიგდეს „იუთუბის“ ლინკი, სადაც ღვანლმოსილი მეცნიერი ზაზა აბზიანიძე იმყოფება ლიტერატურის მუზეუმში და ელენე დარიანის გამოფენის გახსნას თავისი სეფე-სიტყვით ამშვენებს.

გულწრფელად გითხრათ, რა გავიფიქრე?!

ზაზა აბზიანიძე ჩემი დიდი ხნის პატივსაცემი კოლეგა და მეგობარია. გამახსენდა ჩვენი საერთო მეგობრის, ან გარდაცვლილი გოგი გაჩეჩილაძის საყვარელი გამოთქმა – „სვადებნი გენერალი“. ეს – რუსული იდიომია და ნიშნავს ადამიანს, რომელიც უკვე თადარიგშია და რომელსაც მუნდირი-ლა აქვს შემორჩენილი ძველი, გავლენიანი სტატუსიდან და ნაცნობ-უცნობები ამ

მუნდირ-ეპოლეტებითა და ჩინ-მედლებით მორთულს ეპატიუებიან სუფრისა თუ თავყრილობის დასამშვენებლად.

ზაზა აბზიანიძე, ამ მხრივ, მართლაც დაუზარელი ადამიანია და ეს ძალიან კარგია. ახლა კი არა, წლების მანძილზე თუ ფიზიკურად შესძლებია, კარგი წამოწყებისთვის მხარდაჭერა არასოდეს დაუნანებია ახალგაზრდა ავტორების მიმართ, მისულა, სიტყვა შეუწევია, თუნდაც თავისი იქ ყოფნით გაუმხნევებია, თუმცა მასავით ვინ არ აღმოჩენილა ისეთ უხერხულ მდგომარეობაში, სადმე პრეზენტაციაზე რომ მიგინვევენ, ხარ შენთვის წყნარად, არავის არაფერს შეპირებიხარ, არც მომზადებულხარ და უცებ მასპინძელი ან ვინმე ჟურნალისტი ფაქტის წინაშე დაგაყენებს, ლამისაა, მიკროფონი ჩაგჩაროს პირში.

გუყურე იუთუბით გავრცელებულ ჩანაწერს და უფრო სიყვარულით, ვიდრე კრიტიკულად, გავიფიქრე:

– ეჰ, ზაზა, რა მიძიმე დღეში ჩავარდნილხარ, დაბნეულობისგან ლოგიკა როგორ გაგექცა, რაებს ლაპარაკობ-მეთქი და, მართალი გითხრათ, ამის მერე დიდ ყურადღება აღარც მიმიქცევია, მაგრამ აი, ახალი ლინკი გადმომიგდეს – ჟურნალ „აფინაჟის“ გვერდზე გასული წლის შვიდ ივლისს ზაზა აბზიანიძის წერილი დადებულა, სათაურით „პაოლო იაშვილი“. სავარაუდოდ, ბეჭდურად გამოქვეყნებულიც უნდა იყოს და ტირაჟირებულიც.

შევყევი კითხვას და, რალა დაგიმალოთ, ცოტა ხანში გულს შემომეყარა.

პაოლო იაშვილზე წერილში რომ დარიანული დღიურების შესახებაც მოუხდებოდა ლაპარაკი ავტორს, არ იყო ძნელი მისახვედრი. ასეც არის. ჩვეული მანერით შესავლის შემოწერის მერე იგი მკითხველს აფრთხილებს:

„ახლა მისი (პაოლო იაშვილის) ბიოგრაფიისა და შემოქმედების წიაღში ჩაღრმავება მოგვინევსო“ და მიმნდობ

მკითხველსაც რაღა დარჩენია, ჩემი არ იყოს, ისიც, რაც ძალი და ღონე აქვს, ავტორთან ერთად „ჩასალრმავებლად ემზადება“.

პირადად მე წინასწარი ინტენცია როგორი მქონდა? – ვიფიქრე, ეტყობა, ნუხს, გამოფენის გახსნაზე აბდაუბდა რომ ილაპარაკა და გადანყვიტა, ამ წერილით, როგორც თავისებური აპოლოგიით, გამოესწორებინა საქმე-მეთქი. ჯერ თვალი ზერელედ გადავკარი და რომ დავინახე, ავტორმა დაიმონმა ელენე ბაქრაძის სიტყვები „ლექსები ელენე დარიანის ფსევდონიმით ყველა ჩემიაო“ – აზრი კიდევ უფრო გამიმყარდა, ესე იგი, „დანერილობას „ელენე დარიანი“ ზაზა აბზიანიძეც, გარდა მეტსახელისა, ფსევდონიმად მიიჩნევს-მეთქი, მაგრამ დავინყე კითხვა და ღრმა საგონებელში ჩავვარდი, რომ ვნახე მისი ნათქვამი.

(აქ და სხვაგან ციტატები, რაც შეიძლება, შეუკვეცავად მომაქვს, ვინმე ოპონენტმა კონტექსტიდან ამოგლეჯა რომ არ დამნამოს – ნ.დ.ს.):

„აქ უნდა მოვიხმოთ მოგონება ელენე ბაქრაძისა, იმ „ელენე დარიანისა“, რომელიც პაოლოს ბიოგრაფიისა და შემოქმედების განუყოფელ ნაწილად იქცა და რომელმაც არაერთი თავსატეხი დაუტოვა პოეტის ბიოგრაფებს. მათგან ერთნი (ამ სტრიქონების ავტორის ჩათვლით) ინტერესით იკვლევენ ელენე ბაქრაძის კვალს პაოლოს ბიოგრაფიასა და შემოქმედებაში, მეორენი (უმრავლესობა!) „ელენე დარიანს“ მხოლოდღა პაოლო იაშვილის ფსევდონიმად მიიჩნევენ,“ – წერს ზაზა აბზიანიძე და მკითხველს რაღა დარჩენია! – მხარი უნდა დაუჭიროს მის განწირულ სულისკვეთებას, ლიტმცოდნე კოლეგათა აზრის საერთო მდინარებას რომ დაპირისპირებია, ერთეულებთან ერთად და თავადაც ამ „ერთეულის“ „ჩალრმავების“ მამაცური პროცესის თანამონაწილე გახდეს.



მე ხომ ამ ვრცელ შესავლებს ვერა და ვერ შეველიე, ამიტომ პირდაპირ იმ მომენტებზე შევაჩერებ ყურადღებას, სახტად რომ დამტოვა:

ამ სურათს ყოფითი დეტალებით ამდიდრებს სერგო კლდიაშვილი: „პაოლო მაშინ (ანუ 1920-იანი წლების ბოლომდე – ზ.ა.) უცოლო იყო“, წერს იგი და ამ ციტატაში მე ნამდვილად არაფერი შემეცვლია, ყველაფერი მისია!

მე, უბრალოდ, გავოგნდი!

არ მეგულება საქართველოში ამის წამკითხავი, სიმბოლისტთა პოეზიის მოყვარული, რომელიც ამ აღმოჩენით ჩემსავით არ გაოგნდებოდა.

რაო?

ზაზა აბზიანიძე ჩაუღრმავდა, ჩაუღრმავდა, დაპირებისამებრ და სენსაციური აღმოჩენა შემოგვთავაზა!

1920 წლის ბოლომდე პაოლო უცოლო იყო?!

კორექტურა ისეთი ვერაგი რამაა, სადაც არ ელი, გამოქვეყნებულ წიგნსა თუ სტატიაში, იქ შეიძლება დაგიხვდეს.

თუ კორექტურაა და ციფრები აირია, რა უნდა ეწეროს მაშინ? ათას ცხრაასი – ვერ იქნება, იმ დროს რვა წლისა ძლივს იქნებოდა პოეტი, (დაიბ. 1892 15 აგვისტოს). ვერც ათიანი წლები იქნება, – თვრამეტი წლისა გამოდის და ქუთაისშია, აქ კი, თარიღქვეშ, თბილისური ამბებია სურათხატოვნად „მოთხრობილი“, ოცდაათიანის ბოლომდე – ცოცხალს არ მიუღწევია, 1937-ში ტრაგიკულად დაიღუპა... არადა, ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს, „ანუ ოციანი წლების ბოლომდეო“ და, ალბათ, მკითხველს მხედველობიდან რომ არ გამოეპაროს ეს აღმოჩენა, იქვე, ფრჩხილებში, „ბეჭდად ასვამს“ საკუთარ ინიციალებსაც!

როგორც ძველი ცოდნიდან მახსოვს, იური ტინიანოვს ეწერა ერთგან, ამა თუ იმ საკითხის კვლევას მხოლოდ იქ და იმ დონემდე სჭირდება ჩალრმავება,

სადაც და სადამდეც მისი პასუხია სა-
ციებელიო“.

მაგალითად: კალმახს, თართს,
ზუთხს და ასე შემდეგ – ოკეანის სილ-
რმეში ვერა და ვერ დაიჭერ, სად რა
რაზე მოდის, მეთევზეებმა ყველაზე
უკეთ იციან ეს ამბავი;

ვერც საბადურის ტყეში გამოვა მა-
მონტებზე ნადირობა, იმ, ერთი შეხედ-
ვით, უბრალო მიზეზის გამო, რომ ისი-
ნი იქ არ ბინადრობენ.

და მაინც ძველი, ხანგრძლივი
კოლევიალური მეგობრობისა და სიყ-
ვარულის ხათრით მზად ვიყავი, ამა-
ზე თვალი დამეხუჭა, რა მოხდა, ერთი
აღელულია მღვდელსაც შეცდება-მეთქი,
რომ უარესი გაოგნება წინ მელიოდა!

გთხოვთ, ყურადღებით წაიკითხოთ
„ბიოგრაფიაში ჩარღმავების“ შედეგად
აღმოჩენილი ახალი, მე ვიტყვოდი, თა-
ვზარდამცემი ფაქტის შესახებ ეს ციტა-
ტა, რომელიც, როგორც დასაწყისშივე
აღვნიშნე, მთლიანად მომყავს, ვინმემ
რომ არ დამამუნათოს, კონტექსტიდან
ამოგლეჯილი ტექსტი მოგაქვს და ინ-
ტერპრეტაციას თვითნებურად ახდენო.

„ერთხანს, გასაბჭოების შემდეგ,
ტიციანიც და პაოლოც სწორედ ამ ხე-
ლოვნების სასახლეში ცხოვრობდნენ.
რამდენიმე ხანში პაოლო საცხოვრებ-
ლად გადავიდა ჯაფარიძის ქუჩაზე, სა-
დაც 1932 წელს მიიყვანს კიდეც თავის
„მზეთუნახავს“. ახლადშექმნილ ოჯახს
მალე შევიწროება მოუხდა...“ ამას მოს-
დევს ზაზა აბზიანიძისეული რეფლექს-
სია – ნიაღვრები ოცდაათიანი წლების
ახლადშექმნილი ოჯახის თაობაზე. მისი
თხრობით თავს აღარ შეგანწყენთ და ძი-
რითად ხაზს გაგყვით!



ფაქტობრივი სინამდვილე ასეთია:

პაოლო იაშვილი 1921 წლის 14 სე-
ქტემბერს ცოლად ირთავს თამარ სე-
რებრიაკოვას, რომელიც ქმრის გვარზე,
იაშვილად ეწერება.

სხვათა შორის ახლად შერთული
ცოლისათვის საჩუქრად. ერთ რვეულ-
ში ჩასანერად, პაოლო იაშვილი თავს
უყრის „დარიანული დღიურის“ აქა-იქ
გამოქვეყნებულ, გაფანტულ ლექსებს.
საფუძველს არ უნდა იყოს მოკლებული
ფიქრი, რომ ციკლი კრებულში სრული
სახით არ არის შემორჩენილი იმ გარე-
მოების გამო, რომ 1921-1923 წლამდე
ციკლის ოთხი ლექსი პაოლოს ჯერ შე-
ქმნილი არ ჰქონდა, როგორც გვარწმუ-
ნებს აკადემიური გამოცემის საძიებო
აპარატურა, რომელშიც მითითებულია
ამ ოთხივე ლექსის გამოქვეყნების თა-
რილი, ეს ხელნაწერი რვეული უნდა
მიეკუთვნებოდეს 1921-24 წლებს, რო-
გორც პაოლო იაშვილის შთამომავლე-
ბი ადასტურებენ, მაგალითად ლექსი,
„წერილი ანა ახმატოვას“ რომლის მხო-
ლოდ ერთი სტრიქონიცაა ჩანწერილი ამ
რვეულში, „მე მინდა გითხრა სამძიმა-
რი, რომ ბლოკი მოკვდა“, ვერაფრით
დაინერებოდა 1921 წლის აგვისტომდე,
რადგან მანამდე ალექსანდრ ბლოკი
ჯერ ცოცხალი იყო. თუნდაც ეს ფაქტი
ამტკიცებს, რომ აშკარა სიცრუეა ელე-
ნე ბაქრაძის სიტყვები, „ელენე დარი-
ანის ფსევდონიმით ხელმოწერილი ლექ-
სები ყველა ჩემიაო“...

თუმცა ეს სხვა მსჯელობის თემაა.
მაგრამ აქვე არ შემიძლია არ აღვნიშნო
ის სტილური აბრუნდი, რომელსაც ზაზა
აბზიანიძე იყენებს კიდეც ერთი ტყუი-
ლის სათქმელად: „ოცი წლის შემდეგ
ამ „წმინდა კრებულს – პაოლო თავის
უბის წიგნაკში გადაწერს და შესატყვისი
ინსკრიპტით მეუღლეს გადასცემს“-ო.
მიდი და გამოითვალე, მონდომე-
ბულო მკითხველო, რომელი თარიღი-
დან უნდა იანგარიშო ეს ოცი წელი!
თუ ეს უადრესი – დარიანული ციკლის
პირველი ლექსის გამოქვეყნების თარი-
ღია (1915+20=1935) ყველაზე უადრე-
სი – 1935 წელი გამოდის, სხვა უფრო
გვიანდელი გამოთვლებით გამოგვივა,
რომ პაოლომ ის რვეული მარადიულ

საუფლოში გადანერა. (მაპატიოს ეს უშნო ხუმრობა მისმა ნათელმა სულმა!)



ახლა ისევ კონკრეტიკას დაფუბრუნდეთ:

პაოლო იაშვილისა და თამარ სერებრიაკოვა-იაშვილის ახლადშექმნილი ოჯახის პირველი წლები (1921 და არა მთელი თერთმეტი წლით გვიანდელი – 1932, როგორც ზაზა აბზიანიძე ათარილებს და ფსევდო-თავგადასავალსაც ჩვეული ხატოვნებით გადმოგვცემს) წყვილისთვის ტრაგიკული აღმოჩნდა. მათ დაელუპათ პირველი ჩვილი, ხოლო მათი ქალიშვილი მედიკო დაიბადა 1924 წლის პირველ მაისს. ასე რომ, იმ „ოციანი წლების ბოლომდე“ ზაზა აბზიანიძე ხაზგასმით რომ გვარწმუნებს, პაოლო უცოლო იყო, მას ოჯახიც ჰქონდა, ცოლიც ჰყავდა და ექვსი წლის შვილიც. ანუ მთელი მისი ფანტაზიები, მონათხრობი პაოლო იაშვილის ოცი-ოცდაათიანი წლების შესახებ, პოეტის, რაც შეიძლება, ნეგატიური ფერებით წარმოდგენის მცდელობა, მის „ცხოვრებასა და შემოქმედებაში ჩაღრმავების“ შედეგად – ძალიან ჰაეროვნად რომ ვთქვათ, ტენდენციურია და სინამდვილეს არ შეეფერება.

არ შეიძლება აქ ადამიანს არ დაეზადოს კითხვა, რა უნდა იყოს ამის მიზეზი?

რომ ვთქვა, ჩვენი ღვანლმოსილი მეცნიერის გონება-მეხსიერებას წლებმა დასამართი დამართა-მეთქი, იქნება არ იყოს მართალი და თან ეიჯისტის სახელიც არ ამცდება.

რომ ვთქვა, შესანიშნავ ფორმაშია, მაგრამ ასე უცნაურად იმიტომ „ჩაურმავდა“ პაოლო იაშვილის ცხოვრებასა და მოღვაწეობას, რომ ელენე ბაქრაძისათვის ქრონოლოგიური სივრცე გამოათავისუფლა, რათა, როგორც ბრძანებს, „მეტი ინტერესით იკვლიოს“, საგნებსა და მოვლენებს სასურველი კონფიგურაცია მიანიჭოს-მეთქი, – ოპონენტები ფაქტებზე „ჩემად მაცქერალ“ ორივე თვალს დახუჭავენ და განაცხადებენ, ტენდენციურიაო და მე თქვენ გეტყვით, მოსადავებლად გაირჯება ვინმე, აქამდე როგორც გასვლიათ, ისეც გაუვათ!

არადა, რა ვქნა!

ისლა დამრჩენია, რომ კოლეგებსა და მეტადრე ახალ თაობას – სტუდენტებს– ვურჩიო, ძალიან ფრთხილად იკითხონ ზაზა აბზიანიძის ბოლო დროის ნაწერები და ფაქტების სხვა, სანდო წყაროებში გადაუმონმებლად ნურაფერს დაეყრდნობიან!



ბესო სვედელიძე

ორი მე

(საჯიბხაზი პიესა)

მოქმედი პირნი:

ელენე (მარინა)
 დათო
 მარინას დედა
 მარინას მამა
 ჯემალ ჭვიშბა
 რომა
 უროიანი კაცი
 ნამგალიანი ქალი
 დეიდა კლარა
 ბესლანი
 დიმიტრი
 ინგა

პირველი მოქმედება

(ტენტგადახდილ ავტომობილში წინა სკამებზე ორნი სხედან – ცოლ-ქმარი: ელენე და დათო (საჭესთან). მანქანა მიდის. ისმის მანქანაში ჩართული რადიო-მუსიკის ხმა.)

ელენე (სივრცეში): ჩვენი ოჯახის ექიმი თბილისში, დემიკო ავალიშვილი, ადამიანზე თავსდატეხილ ყველა უცნაურობას ამინდს აბრალებს! არა, ისე, მგონი რაღაც მართლა არსებობს!.. აგერ, ავიღოთ თუნდაც ჩემი და მარინას ისტორია! რა ადვილად დამიმტკიცებდა დემიკო, რომ მარინას არსებობას ვერც კი გავიგებდი, 2012 წლის ხუთ აგვისტოს ცოტათი გრილი ამინდი მაინც რომ მდგარიყო... მაგრამ მე დემიკოს მაინც არაფერს მოვუყვები. ავალიშვილის აზრი ამ შემთხვევაში ნაკლებად მაინტერესებს!.. თუმცა, იქნებ მართლა იმ აუტანელი 40-გრადაუსიანი სიცხის ბრალი იყო ყველაფერი. სხვათა შორის, იმ

კვირადღეს, დაბადების დღეც მქონდა: ორმოცის ვხდებოდი და სოხუმისკენ მივქროდი. წინა კვირა კვარიათში, ზღვაზე და მერე, ბათუმის „ინტურისტში“ გავატარეთ! დაბადების დღეს ბათუმშიც მშვენივრად გადავიხდიდი, მაგრამ დათოს ერთი სული ჰქონდა დრანდის ციხე ენახა და სოხუმამდე დროზე ჩაგვეღწია... მე კიდევ ამ დრანდების და ციხეების გარეშეც მშვენივრად ვგრძნობდი თავს!

ავტომობილში.

ელენე (გულგრილად): ეს რა სოფელი იყო?

დათო: ოჩამჩირის მუნიციპალიტეტის ილორი! მოსახლეობა ორი ათასი! ციხე-სიმაგრე და ტაძარი რუკაზე ერთი ვარსკვლავითაა მონიშნული.

ელენე (უკმაყოფილოდ): აღარ შემიძლია!.. მხოლოდ ორვარსკვლავიანი ადგილები რომ გვენახა, ვერა?.. აუ, გაიხედე იქეთ - ის ნანგრევი რა დღეშია!..

დათო: ზუსტად ეგაა ციხე-სიმაგრე! აქაურობა შერვაშიძეების გარე შტოს ეკუთვნოდა! აქ წერდა თავის გენიალურ პოემებს ენვერ სიხარულია!

პაუზა. ავტომობილი მიდის.

ელენე: ნუ რაღაც აუტანელი ქართული განათლება გაქვს! დათო, ვინ ჯანდაბაა ენვერ სიხარულია?

დათო: ეს ქართული ლიტერატურაა, ელე! აი, ეს კი ტაძარია! ილორის წმინდა გიორგის ეკლესია – XI საუკუნის ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი!

ელენე: ახლა ინფარქტი დამარტყამს! მე ბანაობა მინდა, დათო! დღეს ჩემი დაბადების დღეა თუ გახსოვს!!!

დათო: სად აპირებ, მერე, ჩემო კარგო, აქ ბანაობას? ჩავსულიყავით ბარემ სოხუმში!

ელენე: ჩვენ ეგრე არ შევთანხმებულვართ! ზღვაც სადღაც აქვე უნდა იყოს!..

დათო (მკაცრად): მე კიდევ დროზე მინდოდა ჩაგვეღწია!.. რესტორანია დასაჯავში!

ელენე: ისევ რესტორანი!! გააჩერე ახლავე მანქანა!! რუკაზე ვნახავ, სად არის აქ ზღვაზე გასასვლელი!

ავტომობილი მკვეთრად ამუხრუჭებს.

დათო (უკმაყოფილოდ): ელე, ტვინი!!!

ელენე (შლის დიდ რუკას. აყოლებს თითს): აი, აქედან ტრასა პირდაპირ ზღვაზე გადის!.. აგერ კომანი... უფრო იქით - ალიფაია!

დათო: ელე, მე სოხუმში მინდა!

ელენე (დამტკბარი ხმით): ალიფაია, დათო! ხუთი კილომეტრი! იქნებ იქაც იყოს რამე ეკლესია...

დათო (გაბეზრებით): არანაირი ეკლესია იქ არაა და დაგენიძლავები, ერთი აყროლებული ადგილია!!

ელენე: ოჰ!

დათო (გალიზიანებული): ჯობდა ისევ ბათუმში დავრჩენილიყავით!

ელენე (გაბრაზებით): მეც მაგას არ ვამბობდი?! რო წამილე ტვინი ამ შენი ტაძრებით და ციხეებით!.. ხომ დამპირდი — გზაში ვიბანავებთო?!

დათო: სად აპირებ, მერე, ჩემო კარგო, აქ ბანაობას?

ელენე: ზღვაში, სად? სადღაც აქვე უნდა იყოს... სუნი არ გესმის?

დათო (სიცილით): სუნი მესმის?! ზღვის სუნი მგონი მხოლოდ შენ გესმის საქართველოში, ელ! სოხუმამდე სალამომდე მინდა რომ ჩავიდეთ! რესტორანი რომ...

ელენე: ისევ რესტორანი!!!

დათო: ელ, უკვე ტვინს მიჩაგრავ! მე სოხუმში მინდა!

ელენე (მლიქვნელურად): ტრასა ხეობას შორის გადის. საინტერესო იქნება, დათ...

დათო: ჯობდა ბათუმში დავრჩენილიყავით!

ელენე: მეც მაგას არ ვამბობდი?.. მაგრამ, დათ, უყურე! სოხუმში უკვე ყველა თბილისელმა იბანავა, აი, ალიფაიაში კი, ალბათ, ჯერ არც ერთმა! ჩვენ პირველები ვიქნებით, დათ!

დათო: მაგას თავისი მიზეზები ექნება... მაგრამ, რადგან ასე ძალიან გინდა... იუბილარი ხარ მაინც...

ელენე: დათუნა, მარცხნისააკენ!

ავტომობილი იძვრის.

ელენე (სივრცეში): ამ ორმოცგრადუსიან პაპანაქებაში, არაფრისმთქმელი ყბედობით, სრულიად შეუმჩნევლად, პირდაპირ ახალ ცხოვრებაში შევაბიჯე. არანაირი ნიშანი არ ყოფილა!.. არადა, მარინა ხშირად ფიქრობდა ამაზე... დროც საკმარისად ჰქონდა... ორმოც წელიწადზე მეტი! უცნაურ კმაყოფილებას ჰგვრიდა, რომ მაშინ მაინცდამაინც მე მომინდა ზღვაზე გასვლა! მე, ვინც შემდეგ მარტომ გადავიტანე ყველაფერი! დათომ განა რა შეამჩნია, გარდა იმისა, რომ ბანაობისას კინალამ დავიხრჩვი და მერე რამდენჯერმე უმიზეზოდ ავტირდი...

ავტომობილი მიდის. ისმის თოლიების წივილი.

ელენე (შიშით იყურება აქეთ-იქით): დათო, რითი ცხოვრობენ აქ?

დათო (უკმაყოფილოდ): თევზაობით ალბათ! სხვა რითი უნდა იცხოვრონ?!..

ელენე: კიდევ?

დათო: რა კიდევ?

ელენე: კიდევ რა აქვთ?..

დათო: რა უნდა ჰქონდეთ? დალევა, ჩხუბი, სექსი!... ელე, იცი, რა კარგად ვიქნებოდით ახლა სოხუმში?!

ელენე: დათო!..

დათო: რა ხდება?

ელენე: მეშინია!

დათო: გეშინია?!.. შენ რილასი გეშინია?

ელენე: ჩვენივე თავის!

დათო (დამცინავი გაკვირვებით): რა ჩვენივე თავის? მზემ ხომ არ დაგარტყა, ელ?!

ელენე: ესენი ასეთ ნუმპეში ცხოვრობენ... ჩვენ კიდევ, პრიალა მანქანიდან ასე უდარდელად ვუყურებთ...

ელენე (სივრცეში): კომანში გზა იტოტება. მარცხენა გზას ხიდის გადაღმა გადაყავხარ, მარჯვენა – ალიფაიასკენ მიდის. ხიდს იქით, მოპირდაპირე ნაპირზე ვილაც დამჭკნარი დედაბერი იდგა. წამით მომეჩვენა, რომ მიყურებდა და მისი თვალები, მიუხედავად დიდი დაშორებისა, თითქოს სულ ახლოს იყვნენ... ზუსტად აქ გადაუხვია ჩვენმა მანქანამ. აქედან სამყარო, საბედნიეროდ, ნელ-ნელა ისევ საკუთარ თავს დაემგავსა. ყურე უკან იხევდა და შავი ზღვიდან სასიამოვნო სიო ქროდა. პლაჟი კვირადღეს ხალხით იყო სავსე. შეზღონგი წვლებით ვიშოვეთ და ტალღებში გადავეშვით. რა სასიამოვნო იყო გრილ წყალში ყოფნა... დათოს უკან მივცურავდი. ვისვენებდი... ვილიმებოდი... მი-

ხაროდა... მაგრამ მერე, უცებ... უცებ ისევ იმ მოხუცი ქალის სახე დამიდგა თვალწინ!.. როგორ მიყურებდა... გულგრილად? არა, არა მგონია! გაკვირვებით?.. ჰო, გაკვირვებაც იყო, მაგრამ თან ხომ არ მელოდა კიდევ?.. უნდა გამოვლაპარაკებოდი!.. თავი მაინც დამექნია ან რაიმე ნიშანი მიმეცა! ამის გამოსწორება ჯერ კიდევ შეიძლება! დათოს ხელი დაფუქნე. მომეჩვენა, რომ მიხვდა, რასაც ვაპირებდი და ნაპირისკენ გამოვცურე. სწრაფად გადავიცვი და გზას გავუყევი! ფეხით მივდიოდი! კომანში მანქანით დაბრუნება რატომღაც არასწორად ჩავთვალე. მხიარულ გუნებაზე ვიდექი. თითქოს კი არ მივდიოდი, მივფრინავდი. არავინ შემხვედრია. როგორც კი ხიდი გადავიარე, გავჩერდი. სახლები ერთი-მეორეზე ღარიბული იყო. შევყოვნდი, ადგილზე დავტრიალდი და ერთ-ერთ ქოხში თამამად შევაბიჯე – წამით არ დამიშვია, რომ ეს შეიძლებოდა სხვა სახლი ყოფილიყო. თვალეები უცებ შევჩრვიე სიბნელეს: სამზარეულოში, ღუმელთან, ქალი იდგა და ღიმილით მომჩერებოდა. თავიდან მეგონა, რომ ის დედაბერი ვიცანი, ვისაც ვეძებდი, მაგრამ ეს ის ვერაფრით იქნებოდა - ეს ბევრად ახალგაზრდა იყო.

ელენე: გამარჯობა-თ!.. მე ერთ ადამიანს ვეძებ... ერთ მოხუც ქალს! შავებში!

ქალი: მოხუც ქალს?.. კომანში ბევრია მოხუცი ქალი.

ელენე: არც კი ვიცი, რა ქვია...

ქალი (ამრეზით): ...ვითომ არი აქ ვინმე, შენ რომ არ იცნობდე?!

ელენე (შეშფოთებული ხმით): უკაცრავად... მაგრამ მე აქ მართლა არავინ ვიცი! მანქანით რომ გამოვიარეთ, ხიდთან, მდინარის პირას იდგა და უცნაურად გვიყურებდა...

ქალი: ვინ?!

ელენე: ისე შემომხედა, თითქოს ძალიან კარგად მიცნობდა.

ქალი: რატომღაც, სხვანაირად რომ ყოფილიყო!..

ელენე: კი მაგრამ, საიდან?

ქალი: რა გჭირს, მარინა?!

გალიზიანებული ქალი გამშრალებულ თეფშს სხვა თეფშებზე ხმაურით ახეთქებს. ელენე კრთება.

ელენე (შეშინებული ხმით. თან უკან იხევს): ვინ არის მარინა?.. თქვენ ვილაცაში გეშლებით!

ქალი (უახლოვდება საზარელი ღალადით): ვინ არის მარინა?! შენ ხარ მარინა – ჩემი შვილი! თუ უკვე საკუთარ თავსაც ვეღარა სცნობ?! აგერ სარკე! ჩაიხედე! (უთითებს კედლისკენ)

ელენე ჩერდება და კედლის პატარა, ჭუჭყიან სარკეში იყურება.

ელენე: დიახ. ეს მე ვარ...!

ქალი (მკაცრად): რას ნიშნავს, „დიახ, ეს მე ვარ“, მარინა?!

ელენე უცებ გამკაცრებული უტრიალდება ქალს.

ელენე: მომისმინეთ, ქალბატონო!!! ამოვიდა უკვე ყელში!!! მე ელენე გოგოლაძე ვარ. ვცხოვრობ თბილისში!!! ჩემი ქმარი კულტურის სამინისტროში მუშაობს!!! მე დღეს ორმოცი წლის გავხდი! ორმოცის!!! ორი შვილი მყავს!!! თიკო - ოცის, კოტიკო — თექვსმეტის!!! მე და ჩემი მეუღლე შავზღვისპეთში ვმოგზაურობთ! აქ არასოდეს ვყოფილვარ!!! ზღვას ვეძებდით! ღმერთო ჩემო, თქვენ მე ნამდვილად არასოდეს მინახიხართ!

ქალი (ფრთხილად იყრის დოინჯს): კი მაგრამ, შენ რომ ზუსტად მარინასნაირი ხარ და

მისი კაბა გაცვია?..

ელენე: მისი კაბა? (შეშფოთებული იყურება კაბაზე)... ეს კაბა შარშან ნეაპოლში ვიყიდე!

ქალი: და მისი აწყობილი მძივიც რომ გიკეთია?..

ელენე: მისი აწყობილი მძივი? (ნაძალადევად იცინის). უკაცრავად, მაგრამ ეს მძივი ნეპალიდან ჩამომიტანეს მეგობრებმა!

ქალი სკამზე ეშვება.

ქალი: რა ბოროტი გოგო ხარ, მარინა! საკუთარ დედასაც კი ველარა ცნობ!.. ეჰ, რომ იცოდე, რა ხშირად მტკენ გულს...

ელენე (ისევ შფოთით): ვაიმე!

ქალი: ძალიან, ძალიან ხშირად...

ელენე აქეთ-იქით შეშინებული იყურება. მერე უცებ ერკვევა, ღრმად სუნთქავს და ძალებს იკრებს. უცებ სახეზე ეშმაკური სხივი გადაურბენს.

ელენე (ეშმაკურად): და ხშირად მომდის ასე?.. აი, რომ... ვიცვლები?

ქალი: სულ!

ელენე: და საერთოდ... როგორი ვარ ხოლმე, დედა?

ქალი (ეშვება სკამზე): ხშირად თითქოს აქ არ ხარ! არაფერი არ გესმის! არავის არ პასუხობ! საათობით მისჩერებიხარ ერთ ნერტილს და სოფელში ისე დადიხარ, თითქოს მთვარეული იყო...

ელენე: და დამცინიან, არა?

ქალი: არ იცი ვითომ!..

ელენე (ისევ ეშმაკურად): აი, ძალიან, ძალიან რომ მოვინდომო, ხომ შეიძლება რომ გამოვსწორდე, დედა?

ქალი: სულ ცოტათიც რომ მოინდომო, მარინა!.. აი, სულ ცოტათი!.. ო, რა მაღლობელი ვიქნებოდით ღმერთის მე და მამაშენი!

ელენე (უკვე დამცინავად): მამაც მყავს?! ოჰ!.. მერე, რატომ ვარ ასეთი, დედა?

ქალი: ზუსტად ეგ ვიფიქრე დილით – დღეს როგორიცაა, ასეთი საშინელი არასდროს ყოფილა-მეთქი!.. ახლა კი, რა დალაგებულად ლაპარაკობ, მარინა! ჩემზე ჭკვიანურადაც კი.

ქალი: იცი, ჯემალი უკვე აქ არის!

ელენე (ლამის სიცილი წასკდეს): ჯემალი ვინაა?!

ქალი: მამაშენთან ერთად ზის სასტუმრო ოთახში.

ელენე (დამცინავად): მოიცა... მოიცა... სასტუმრო ოთახიც გვაქვს?!

ქალი უთითებს სხვა კარზე.

ელენე: ვინაა? რა უნდა?

ქალი: მარინა, ძალიან კარგად იცი, რაც უნდა! შენ გგონია, ძალიან ბებერია? სამაგიეროდ სამი ნავი აქვს!.. ცუდი ადამიანიც არაა! ისე გავიხარებდით მე და მამაშენი... წინა ჯერზე თქვა, აღარ მოვალო, მაგრამ, ხომ ხედავ, მაინც მოვიდა!.. შედი და უთხარი „ჰო“, მარინა!

ელენე (ძლივს იკავებს სიცილს. მერე სერიოზულდება): ...რადგან ასე ძალიან გინდა, დედა...

ელენე ალებს კარს და გადის გვერდითა ოთახში. მაგიდას ორი, ასე სამოცდაათ წლამდე მამაკაცი უზის. ელენეს შემოსვლაზე ორივენი ფეხზე დგებიან. ერთ-ერთი ელენეს ეგებება.

მამა: მარინა! აგერ ჩვენი მეგობარი ჯემალი ჭვიშა ისევ მოვიდა! მიესალმე და ხელი ჩამოართვი!

ელენე (გალიმებული ართმევს ხელს მეორე მამაკაცს): გამარჯობათ, ბატონო ჯემალ. ჯემალი: გამარჯობა, მარინა!

მამა: ამხანაგი ჯემალი შენზე სალაპარაკოდ მოვიდა... მოკლედ, შენი ხელი მთხოვა და მე ვუთხარი, რომ მივესალმები მის სიძეობას. იმედია, დამჯერი შვილი იქნები და მშობლების სურვილის წინააღმდეგ არ წახვალ.

ელენე: დაბრძანდით!

მამაკაცები და ელენე მაგიდას უსხდებიან.

მამა: ... კარგად იცი, ამხანაგი ჯემალი როგორი პატივცემული ადამიანია! ჩვენ კიდევ მისი მოვალეები ვართ. ხომ გესმის, მარინა?

ელენე: მე ყველაფერი კარგად მესმის, მამა.

მამა (დგება ფეხზე): მაშინ, ახლა მარტო დაგტოვებთ, რომ ამხანაგმა ჯემალმა თვითონ გითხრას თავისი ამბავი! (მარინას თავზე ხელისგულს უსვამს და ოთახიდან გადის)

ელენე ადგილს იცვლის, მამის სკამზე ჯდება და ჯემალს შეჰყურებს.

ჯემალი: გაიგე მარინა, რა თქვა მამაშენმა?

ელენე: მე ყველაფერი კარგად მესმის, ჯემალ.

ჯემალი: მაშინ ახლა მე გეკითხები...

ელენე: გისმენ!

ჯემალი: გინდა ჩემთან გადმოხვიდე საცხოვრებლად და ჩემი ცოლი გახდე, მარინა?..

ელენე: რა თქმა უნდა, ჯემალ!

ჯემალი (შფოთით): არა!!! ახლავე ნუ მიპასუხებ!!! ჯერ დაფიქრდი!

ორივენი დუმდებიან და ერთმანეთს თვალებში შეჰყურებენ. ისმის საათის წიკნიკი.

ელენე: საკმარისად ვიფიქრე?

პაუზა.

ელენე: სანამ გიპასუხებდე, მეც მინდა რაღაც გკითხო...

ჯემალი: მკითხე.

ელენე: მამაჩემს რამდენი აქვს შენი ვალი?

ჯემალი: ეგ შენს პასუხზე იქნება დამოკიდებული.

ელენე: მამაჩემს უკეთესი ნავი სჭირდება!

ჯემალი: უკეთესი ნავი?

ელენე: შენ ხომ სამი ნავი გაქვს? სამი კარგი ნავი.

ჯემალი: კი... სამი!

ელენე: მერე ორი რა, არ გეყოფა?

ჯემალი: მერე, შენც რომ ორი გეყოლება?

ელენე: ეგ არაფერი!

ჯემალი: დღეს შენ მართლა რაღაც სხვანაირი ხარ, მარინა! თითქოს შენ ის მარინა არ ხარ, მე ვისაც ვიცნობ!

ელენე (ვნებიანი ხმით): იქნებ, ამის გამო აღარც გინდივარ?

ჯემალი: არა! ახლა უფრო მინდინხარ, ვიდრე ადრე!

ელენე: კი, მაგრამ, რა ჯანდაბად გჭირდება?! მე ხომ ყველა დამცინის?

ჯემალი: იმიტომ რომ ლამაზი ხარ და ნამდვილი! ხომ გახსოვს, ჩემი ცოლი უშვილო იყო. რაც მოკვდა, სულ მარტო ვარ. ვიფიქრე, შენ შეძლებდი ერთდროულად ჩემი ცოლიც და შვილიც ყოფილიყავი...

ელენე (დამცინავად): ძალიან მეცოდები ჯემალ ჭვიშბა!

ჯემალი: მე კიდევ, შენ – მარინა! დღეს მართლა ძალიან სხვანაირი ხარ!

ელენე: იქნებ აღარცაა საჭირო პასუხის გაცემა?

ჯემალი: მითხარი. ერთხელ მაინც რომ გავიგონო...

ელენე: ნავებზე ნულარ იდარდე!

ჯემალი: არც ვდარდობ! წაიყვანოს მამაშენმა, რომელიც უნდა! როგორ შევცდი მარინა, შენში... შენ ჩვენზე, ყველაზე ჭკვიანი ყოფილხარ!

ელენე: არ დაიჯერო! ხვალ დილას შეიძლება აღმოაჩინო, რომ ეს ჭკუა ისევ სულ დავეკარგე!

ჯემალი: ახლაც არ გინდა რომ მიპასუხო?

ელენე ფეხზე დგება. ფეხზე იმართება ჯემალიც.

ელენე: თანახმა ვარ!.. და ჩემი პასუხი სხვას არაფერს ნიშნავს!

ჯემალი (გაოცებული): მართლა თანახმა ხარ, მარინა?

ელენე: კი, ჯემალ, კი!!

ჯემალი (აცრემლებული): როგორი ბედნიერი ვარ! მაგრამ შენ? შენ თუ ხარ ბედნიერი? ეს უნდა ვიცოდე!

ელენე: მეე?.. მე ახლა უნდა წავიდე... წავალ და საღამოს დავბრუნდები.

ჯემალი: სად მიდიხარ?

ელენე: ზღვისკენ უნდა გავისეირნო.

ჯემალი: მე წაგიყვან ნავით!.. თუ გინდა ცხენს შევაბამ!..

ელენე: არა! მირჩევნია მარტო წავიდე - ფეხით!

ჯემალი: შენ როგორც გინდა, მარინა...

ელენე კარისკენ მიდის.

ჯემალი: ჩვენ ხომ უკვე დანიშნულები ვართ, მარინა?

ელენე: მერე?

ჯემალი: ერთხელ არ მაკოცნინებ?

ელენე (ამრეზით): დღეს არა რა, ჯემალ. ჯერ არა! მერე იყოს...

ელენე ქოხიდან სწრაფად გამოდის და გზას უკან, ხიდისკენ მიუყვება. სულ უფრო უჩქარებს ნაბიჯს. გადის სოფელს. გადადის მდინარის ხიდს. მიემართება პლაჟისკენ. იქ არც მანქანა და არც დათო არ ჩანან. მარინა შერბის ცარიელ პლაჟზე. იყურება აქეთ-იქით. მირბის ზღვასთან. ტალღები ფეხებზე დაურბიან.

იჩრდილავს შუბლს ზღვის სიღრმისკენ.

ელენე (უყვირის ზღვას): დათოოოოოოოო!!!

თითქოს პასუხად მძლავრდება თოლიების წივილი და ზღვის მიმოქცევის ხმა.

ელენე შფოთავს. ტრიალდება. დარბის. ეძებს მანქანას. არ ისვენებს. აწყდება ერთი ადგი-

ლიდან მეორეს.

ელენე (ნივის): დათუნაააააააა!!!

ელენე პლაჟიდან ისევ დასახლებისკენ გარბის. ეს სოფელიც ცარიელის შთაბეჭდილებას ტოვებს. ელენე ორღობეების გავლით გადის გრუნტოვან გზაზე. შეშლილი სახით იყურება აქეთ-იქით. ერთ-ერთი მხრიდან შუა ასაკის ქალი და კაცი მოდიან. მამაკაცს ქილის ქუდი ახურავს, წითელი პერანგი შეხსნილი აქვს და მხარზე დიდი ურო უდევს. გვერდით წითელ-თავსაფრიანი ქალი მოჰყვება. ქალი ამაყად მოაქნევს დიდ ნამგალს.

ელენე: დიდი ბოდიში! საათს ხომ ვერ მეტყოდით?

კაცი და ქალი ჩერდებიან. კაცი საათზე იყურება.

კაცი (მხიარულად და შინაურულად): ზუსტად შვიდის ნახევარია, ამხანაგო მარინა!

ელენე ისევ კრთება.

ელენე (დარცხვენით): ...და რა რიცხვია, მე მაპატიეთ?

წითელთავსაფრიანი ქალი: რიცხვი?! (გაკვირვებით) რიცხვი – აგვისტოს ხუთი, მარინა! ჯ

წითელთავსაფრიანი ქალი უროიან კაცს გახედავს.

ქალი: ხომ ხუთია, ივანიჩ?

კაცი: კი! აგვისტოს ხუთია... პარასკევია... ხვალ კრებაა სოფსაბჭოში.

ქალი (ელენეს გასაგონად): ხუთი აგვისტოა, მარინა!

კაცი და ქალი გზას განაგრძობენ, მაგრამ უცებ ელენეს შეძახილი აყოვნებთ და მისკენ ტრიალდებიან.

ელენე: და... ნელი?

უროიანი კაცი და ნამგლიანი ქალი ერთმანეთს ეჭვის თვალთ უყურებენ.

ქალი (კაცს ჩუმად): არაფერი ისეთი არ უთხრა, თორემ ველარ მოვიშორებთ თავიდან!

კაცი (ყვირილით): ათას ცხრაას სამოცდათორმეტი, მარინა! ერთი-ცხრა-შვიდი-ორი!!

კაცი და ქალი იცინიან.

კაცი (ელენეს მისამართით. მხიარულად): აღარ დალიო მეტი, მარინა! მამას მოკითხვა ჩემგან!

პაუზა.

ელენე (თავისთვის): ათას ცხრაას სამოცდათორმეტი... ათას ცხრაას სამოცდათორმეტი წლის ხუთი აგვისტო... შვიდის ნახევარი...

ელენე ნელი ნაბიჯით მიუყვება გზას. თან თითებზე რაღაცას ითვლის. ბოლოს გაფშეკილი რჩება ერთ ხელზე ოთხი თითი. ჩერდება და თითებზე იყურება.

პირველი მოქმედების დასასრული

მეორე მოქმედება

ზღვისპირი. თოლიების ქყვილი. ჯემალი სათევზაო ბადეს ამზადებს. მარინა მოზრდილ ქვაზე ზის და ზღვას გაჰყურებს.

მარინა (ყვირილით): ვერ ვიტან ამ თოლიებს!!!

ჯემალი (ყვირილით): თოლია სასარგებლო ფრინველია!!! ის ნაგვისგან ასუფთავებს ზღვას!!!

მარინა (ყვირილით): ტელევიზორმა თქვა ხომ?!

ჯემალი: ბრმა კი არ ვარ!!!

მარინა: კი მაგრამ, ხომ შეიძლება იქ ვიცხოვროთ, სადაც ნაგავი არაა?!

ჯემალი (ყვირილით): ნაგავი ყველგანაა!!!

პაუზა.

ჯემალი: მე მინდა შენ იყო ბედნიერი, მარინა!!! სხვაგან რა, ბედნიერი იქნებოდი?!

მარინა (ყვირილით): ვიცი მე ეგეთი ადგილი, სადაც ცოტა ნაგავია და სადაც ძალიან ბედნიერი ვიქნებოდი!!!

ჯემალი (ყვირილით): სად აბა?

მარინა (ყვირილით): თბილისში!

ჯემალი (იცინის): სადა?

მარინა (ყვირილით): თბილისში! თბილისში! დედაქალაქში!

ჯემალი მარინასკენ მოდის და გვერდით უჯდება.

ჯემალი (ყვირილით): მარინა, მე აფხაზი მეთევზე ვარ და კომანში ვცხოვრობ. ამის შეცვლა არ შემიძლია!

მარინა (ყვირილით): არ შეგიძლია?

ჯემალი: არა!

მარინა (ყვირილით): აბა უბრალოდ მოინდომე!

ჯემალი: რატომ?

მარინა (ყვირილით): უნდა წავიდეთ აქედან, ჯემალ... როგორც სხვები მიდიან!

ჯემალი (ყვირილით): ისინი იმიტომ მიდიან, რომ ცუდად აქვთ საქმე. თან იქ პატრონი ჰყავთ! ჩვენ კიდევ რა? ცუდად ვართ? თან მე არავის ვიცნობ თბილისში და არავინ არ მყავს მანდ!..

მარინა (ყვირილით): წასვლა მინდა, ჯემალ! მართლა ძალიან რომ მინდა წასვლა?

ჯემალი (ყვირილით): ეგ როგორ?.. სახლი უნდა გავყიდოთ?!

მარინა (ყვირილით): კი მაგრამ, რა დაგრჩენია ამ სოროში?!

ჯემალი: და ნავეები?..

მარინა: ნავეებიც!!

ჯემალი (ყვირილით): თბილისში რალა უნდა ვაკეთოთ? მე თევზაობის მეტი არაფერი ვიცი.

მარინა (ყვირილით): ამას იქაც მოახერხებ, ჯემალ! იქ მდინარე მტკვარია - ყველაზე დიდი მდინარე საქართველოში! მტკვარში ბევრი თევზია!

ჯემალი ქვიდან დგება და ანკესებთან მიდის. ასწორებს მათ. გაჰყურებს ზღვას. მერე ცაში შუბლის მოჩრდილვით იყურება. იქ თვითმფრინვი მიფრინავს.

ელენე (სივრცეში): დღითი-დღე გულს ვუნწყალებდი, თავს არ ვანებებდი. ისიც იმ სეე-

დიანი გულით, ამ ქვეყანაზე ჩემი ბედნიერად დანახვის მეტი სურვილი რომ არ გააჩნდა, ბოლოს და ბოლოს დამნებდა. კარგად ვიცოდი, რომ დამითმობდა - არადა, თავიდან ამის გაგონებაც არ უნდოდა. ისე, მართლა, აბა, როგორ შეძლებდა ამის გაგებას? კომანში ყველა გოგოს შურდა ჩემი, რადგან საკუთარი სახლისა და ნავეების პატრონმა ჯემალ ჭვიშბამ სწორედ მე შემირთო ცოლად, მაგრამ მე ხომ ვიცოდი, რომ მთელ სამყაროს თუ წარმოვიდგენდი, ჯემალი ერთი ჩვეულებრივი მათხოვარი იყო! რა საერთო ჰქონდა მას ჩემთან? რა საერთო ჰქონდა ჩემთან კომანს, თავისი უბადრუკი ქოხებითა და ამაზრზენი ყურეთი, რომლის ყურება ზღვასაც კი მავინყებდა-ხოლმე?! მე უკან მინდოდა დამებრუნებინა ცხოვრება, რომელიც მეკუთვნოდა და ისევ საკუთარ თავად ვქცეულიყავი. კომანში ცხოვრებით კი როგორ მივალწევდი ამას?.. რადგან ეს ასე ძალიან მინდოდა, ჯემალს ძუნწობამდე ხელმომჭირნე გახდა. ზღვაზე ერთი ნავით მარტოკა გადიოდა, მეორით ჩვენი მუშა თევზაობდა. ხანდახან მეც ვჯდებოდი ნავში, მაგრამ ზანდუკში მანეთების რაოდენობა მაინც ძალიან ნელა მატულობდა. ციმბირში ბამის მშენებლობა გრძელდებოდა. რომა, ჩვენი მუშა, რომელსაც მაშინ მხოლოდ ოცი წელი შეუსრულდა, იქ უნდა წასულიყო. ჯემალი ძალიან ბებერი იყო და ამ მხრივ გაგვიმართლა. ამ დროს კარგი შემოსავალი გვქონდა. მარტო ჯემალი და მე კი არა, მამაჩემი და დედაჩემიც კი გადიოდნენ ზღვაში. შვებულებით ჩამოსული რომაც გვეხმარებოდა. მართალია, აჩადარაში ცხოვრობდა, მაგრამ შვებულებას მაინც კომანში ატარებდა. უკანასკნელად ბამის მშენებლობის შუაწელს ჩამოვიდა. შვებულება ყოველთვის სამკვირიანი ჰქონდა. ჯამაგირს არ ითხოვდა... ისე, ჩვენთვის ირჯებოდა.

სახლში. კარი იღება.

რომა (მწარე მეგრული აქცენტით): ქალბატონო! ბატონი ჯემალი არ არის?
 მარინა: მოვა მალე. შემო რომა!

რომა შემოდის.

რომა: მინდოდა დაგმშვიდობებოდი!
 მარინა: შენ რა, ხვალ დილით არ მიდიხარ?
 რომა: კი, დილაადრიან მივემგზავრები მე!
 მარინა: მერე დღესვე რატომ გვემშვიდობები?
 რომა: უფრო სწორად, თქვენთან მინდოდა დამშვიდობება, ქალბატონო!
 მარინა: ჩემთან?

რომა: ქალბატონო, არასდროს მიკვირდა, რომ არაფერი დამმართნია ბამის მშენებლობაზე, მაგრამ უკვე ძალიან მიკვირს!

მარინა: ვერ გავიგე, რისი თქმა გინდა, რომა!..

რომა: დიდი ხანია ამას ვმალავ, ქალბატონო. რამდენი ხანია აქ ვარ? ექვსი წელიწადი! ხომ შეამჩნიეთ, რომ ყოველ შვებულებას კომანში ვატარებ. რატომ მერე? ჩემი მშობლები ხომ აქედან შორს ცხოვრობენ?

მარინა: ამაზე არასოდეს მიფიქრია, რომა...

რომა: თქვენ გარდა, ამაზე ყველას უფიქრია, ქალბატონო! თუნდაც ბატონ ჯემალს. დარწმუნებული ვარ, ის ძალიან ხშირად ფიქრობს ამაზე.

მარინა (უმკაცრდება სახე): რომა! გიკრძალავ ასეთ ლაპარაკს!

რომა: მიკრძალავთ? თქვენ ისე სხვაგან ცხოვრობთ, თქვენამდე არაფერი აღწევს, ქალბატონო. სად ცხოვრობთ, ვიცოდეთ მაინც! გული მაინც არ გაქვთ, ქალბატონო?

მარინა: რომა!!

რომა: მე სხვაზე აღარაფერზე ვფიქრობ, ქალბატონო!



მარინა: მაშინ, იცი რას გთხოვ?

პაუზა.

მარინა: ნულარ ჩამოხვალ კომანში!

რომა: სასიკვდილოდ მიმეტებთ, ქალბატონო?

მარინა: სასიკვდილოდ?! წადი იმ შენს სოფელში! მოიყვანე ახალგაზრდა გოგო ცოლად. მე შენზე თხუთმეტი წლით უფროსი ვარ, თანაც სხვაზე გათხოვილი. ასეც რომ არ იყოს, შენ მე არაფრად მარგობარ. მე აქედან წასვლა მინდა, შენ კი, კიდევ ერთი ჯაჭვი იქნებოდი, კომანს რომ მიმაბამდა. მე კიდევ ეს არ მინდა! არა!

ელენე (სივრცის მიღმა): რომამ ჩემი თხოვნა არ შეასრულა. მისგან სხვას არც მოველოდი. ერთი წლის შემდეგ ისევ კომანში დაბრუნდა. სამუშაოდ მამაჩემთან დადგა, რადგან ჯემალმა აღარ აიყვანა. რა მართალი იყო და რა ფუჭი ეს ყველაფერი.

ოთახში.

ჯემალი: არ გიხარია?

მარინა: რამდენი წელია ამას ველოდი და წესით ძალიან უნდა გამხარებოდა, არა?

ჯემალი: მაგრამ ახლა კომანში დარჩენა უფრო გირჩევნია.

მარინა: შევეჩვიე აქაურობას, ჯემალ! ახლა ვხვდები, რომ დიდი შეცდომა იქნება აქედან წასვლა. მით უმეტეს ახლა, როცა ფულიც საკმარისად გვაქვს. შენ ხომ გინდოდა აქ დარჩენა - ჰოდა, მოდი, დავრჩეთ!

ჯემალი: მე რომ უკვე ძალიან მინდა წასვლა?

მარინა: შეენ?!

ჯემალი: ჰო, მართლა ძალიან მინდა წასვლა. უკვე ყველაფერი მოვიფიქრე. ალიფაიას სოფსაბჭოდან დავარეკინე ივანიჩს და ოთახს გამოგვიყოფენ საერთო საცხოვრებელში!

მარინა: რალა აქ და რალა თბილისში...

ჯემალი: ამას შენ მეუბნები?!

მარინა: მე არ შემიძლია წამოსვლა, ჯემალ.

ჯემალი: რატომ?

მარინა: ორსულად ვარ...

პაუზა.

მარინა: ახლა მე გეკითხები - გიხარია?

ჯემალი: ძალიან მიხარია, მარინა... მიუხედავად იმისა, რომ ეგ ჩემი შვილი არაა.

ელენე (სივრცის მიღმა): არა! ახლა მე უკვე აღარსად წამსვლელი აღარ ვიყავი. რომას ველარ ვშორდებოდი. კომანში ეს უკვე აღარავისთვის იყო საიდუმლო, მაგრამ ჯემალის ამის შესახებ მეტი აღარაფერი უთქვამს.

პაუზა.

ელენე: ბიჭს, რომელიც ოცდათხუთმეტი წლის ასაკში მეყოლა, ბესლანი დავარქვით. მის მიმართ ჯემალი დიდ სინაზეს იჩენდა და ჩემთანაც ძალიან კეთილგანწყობილი იყო. რა ხშირად ვფიქრობდი მერე ჯემალზე! მეტს იმსახურებდა. მე კი ისე გულგრილად ვექცეოდი... მარტოსული მოკვდა, ბესლანს წელიწადი რომ შეუსრულდა... ისეთი მარტოსული, როგორიც მთელი ცხოვრება იყო.

ღია ცის ქვეშ. ისმის თოლიების წივილი.

ჯემალი: ჩაიძინა?

მარინა: ჰო, პირდაპირ ჩემს ხელებზე დაეძინა. არაჩვეულებრივი ბავშვია, ყველგან შემიძლია ვატარო.

ჯემალი: მალე სიარულსაც დაიწყებს. ღმერთო, როგორ გარბის დრო! (იციინის) და კარგია, ასე ჩქარა რომ გარბის. სიარულს დაიწყებს და მალე სათევზაოდაც წავიყვან.

ჯემალი: უკვე უნდა წახვიდეთ? ცოტაც დარჩენილიყავით სანაპიროზე, კიდე გიყურებდით. არ შეიძლება? ქარი ხომ არაფერს დაუშავებს?

მარინა: არა, რა ქარი, ჯემალ.

ჯემალი: ფობს ქარს ბავშვობიდანვე შეჩვიოს. ამიტომ კარგია, ჰაერი უმოძრაოდ რომ არ არის.

მარინა (პაუზის შემდგომ): ისევ ბრაზობ ჩემზე, ჯემალ?

ჯემალი: ვბრაზობ?.. არა, მარინა.

ძრავის ხმა თანდათან შორდება.

ელენე (სივრცეში): როგორ მამშვიდება მერე, რომ სწორედ ეს იყო უკანასკნელი სიტყვები, რაც მისგან მოვისმინე. კაი ხანს გვიქნევადა ხელს. მერე ნავი არხის სიღრმეში მიიმალა და ამის შემდეგ ჯემალი აღარც მინახავს. რამდენიმე საათში ძლიერი ქარიშხალი ამოვარდა და, როცა ძალიან გვიან, სრულ სიბნელეში, ნავები დაბრუნდნენ, ჯემალის ნავი მათ შორის არ იყო. მეორე დღეს ძლიერ დაზიანებული ნავი სამხრეთიდან მოადგა ნაპირს. ჯემალის კვალი მაინც არ ჩანდა.

ოთახში.

მამა: რალაც იშვიათად გხედავ, შვილო.

მარინა: ხალხს ვერიდები. ჩემთვის ყველას ემეტება თითო კეთილი რჩევა.

მამა: სამწუხაროდ, ახლა მეც რჩევა უნდა მოგცე. რაც ჯემალი აღარ არის, ბევრი რამე შეიცვალა.

მარინა: დღეიდან უფრო მეტად შეიცვლება.

მამა: ჰო, მე გავაგდე რომა. კარგად იცი, რატომაც!

მარინა: გაგონებაც არ მინდა!

მამა: შენ ამაზე უბრალოდ თვალს ხუჭავ!

მარინა: რომა ჩემთვის გავა ხოლმე ზღვაში!

მამა: შენთვის? მერე, ნავი?

მარინა: ჯემალის ნავით!

მამა: ჯემალმა ხომ მე მომცა ეს ნავი? უკან გინდა წამართვა?

მარინა: ჰო, უკან უნდა წავილო!

მამა: აი, სწორედ ამის მეშინოდა! ჩემი გამორჩენის გამო არა, სწორად გამიგე. უარს ვერ გეტყვი... იაროს რომამ ისევ იმ ნავით, თუმცა მე გავაგდე. კარგად რომ დავფიქრდეთ, არც არაფერი შეცვლილა.

მარინა: ახლა ის ჩემთვის ივლის!

მამა: დაგპირდა რო? ჩემთვის არც ისე ხშირად გადიოდა. დუქანი მაგისტრის ბევრად უფრო ძვირფასია... ალბათ, შენზე უფრო ძვირფასიც.

მარინა: ჩვენ დავქორწინდებით!

მამა: ... მარინა, ეს იმაზე უარესია, ვიდრე მოველოდი.

ელენე (სივრცეში): თავს ვიბრმავებდი, თუმცა ვგრძნობდი, რომ რომა გამოიცვალა. რადგან მიზეზს ვერ ვხედავდი, ვფიქრობდი, ყველაფერი გამოსწორდებოდა. „შეიძლება დავეხმარო, მასთან თუ დავრჩები“, – ვეუბნებოდი თავს და უფრო მაგრად ვეჭიდებოდი. უნდოდა ჩემი ცოლად მოყვანა? არ ვიცი. ალბათ, მე შევაპარე ეს აზრი და ბოლოს, მივალნიე კიდეც! ჩვენი ქორწინებიდან კიდევე სამი ბავშვი დაიბადა – დიმიტრი და ორი გოგო, ლანა და ინგა. რომა კი ისევ ძველებურად იქცეოდა და ერთხელაც მივხვდი, რომ ბედნიერებას მის გვერდით ვერასდროს ველირსებოდი.

ოთახში.

რომა (მეგრული აქცენტით): ვერ გავიგე, სად მიდის ეს ფული. სულ ვერ დავლევდი... შეუძლებელია, იმდენი ფული, ჯემალმა რომ დატოვა, სულ სასმელში დახარჯულიყო...

მარინა: შეუძლებელია?

რომა: არ დაგავინყდეს, რომ ამ ფულს ცოტა მეც დავუმატე!

მარინა: როცა გაგიცანი, ჩვიდმეტი წლის იყავი – თითქმის ბავშვი... რა ალერსიანი იყავი, – ეჰ, ნეტავი მაშინ მიყვარებოდი! მე კი რატომღაც ახლა მიყვარხარ.

რომა: ისე, ჯობდა, დაგენყევლე და გეცლია, სადმე ხაბაროვსკთან ან ნოვოსიბირსკთან, ყინვაში მოვმკვდარიყავი! ღმერთო, რისთვის დამინდო ბედმა?!

მარინა: ხანდახან მიფიქრია, რომ ჩემი გულისთვის...

რომა: ერთ დროს მეც ასე ვფიქრობდი!

მარინა: ახლა აღარ ფიქრობ?

რომა: ახლა დავინყება მინდა! სასმელი კი ამისთვის საუკეთესო საშუალებაა!

მარინა: შენი ვერაფერი გავიგე.

რომა: კარგია, რომ არ გესმის ჩემი. ძალიან მიყვარხარ, მარინა!

მარინა: მოდი, მაშინ წავიდეთ აქედან, რომა, სადაც გინდა! თბილისში...

რომა: თბილისში? ჰო, თბილისში კარგი იქნებოდა. ხვალვე წავიდეთ თუ გინდა. შეიძლება ყველაფერი გამოსწორდეს, აქედან რომ წავალთ. ოღონდ ახლა ფული მომეცი იმდენის დასალევად, შენს დასაჯერებლად რომ მეყოს.

მარინა: მარტო სამი მანეთი მაქვს.

რომა: ტყუილ!.. არა უშავს, მომეცი! (ელენა ფულს აწვდის, რომ ართმევს, კარს ალებს და ზღურბლიდან ამბობს) არ ვიცი, მიღირს კი ამდენი მათხოვრობა? შენ როგორ გგონია?

ელენე (სივრცეში): რომას რომ მოენდომებინა, შეგვეძლო ბავშვებთან ერთად თბილისში წავსულიყავით. ის კი დამთანხმდა, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგა, არაფერზე უზრუნია. მისთვის ყველაფერი სულ ერთი იყო. მე კიდევე მიყვარდა და არანაირი გავლენა არ მქონდა მასზე. ჯემალთან ყველაფერი ბევრად უფრო იოლი იყო... ხშირად სევდა მიპყრობდა, როცა ვუფიქრებოდი, თუ როგორ გარბოდნენ წლები. მალე ორმოცდათერთმეტი მომიკაკუნებდა. ბავშვები წამოიზარდნენ. უმცროსს, ინგას, ხუთი წელი უსრულდებოდა, ბესლანი თერთმეტის იყო.

ოთახში.

ბესლანი: ეს ხის ნაფოტი, დედა, გემია! აი, აქ! ეს რა არის?

მარინა: მე ეგ პირდაღებული ნიანგი მგონია.

ბესლანი: ეს – საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკაა, დე. აი, ეს?

მარინა: დავიღალე, ბესლან! ეგ რა, მაგიდა არაა?

ბესლანი: მაგიდაა, მაგრამ მე ხომ ვთამაშობ?

მარინა: იქნებ, ეს ამერიკაა?

ბესლანი: აი, ხომ ხედავ დედა, რა ადვილია! გემი საქართველოდან ამერიკაში მიდის.
 მარინა: ეგეთი გემი არ არსებობს!
 ბესლანი: მე ვთამაშობ, დე... და აბა, გემზე ვინ არიან?
 მარინა: კაპიტანი, მეზღვაურები... ბევრი ხალხი, ვისაც საბჭოთა კავშირიდან ამერიკაში წასვლა უნდა.
 ბესლანი: ამ გემზე ხარ შენ!
 მარინა: მე?
 ბესლანი: და მე!
 მარინა: მარტო ჩვენ ორნი?
 ბესლანი: მამას ხომ არ უნდა ჩვენთან წამოსვლა?
 მარინა: მამას ამერიკაში კი არა, თბილისშიც არ უნდა წამოსვლა... გააგრძელე თამაში, ბესლან!

ბესლანი: მე ამ თამაშს მარტო ვერ ვითამაშებ... უშენოდ არ გამოდის. რახან მამას არ უნდა წამოსვლა, მოდი, აქ დავტოვოთ! რომ გავიზრდები, მე წამოვალ შენთან ერთად თბილისში. მართლა, დედა!

მარინა: შენ ძალიან კარგი შვილიკო ხარ, ბესლან! (იკრავს გულში)
 ელენე (სივრცეში): ჩემი სალამოები დღითი-დღე სულ უფრო ერთფეროვანი ხდებოდა. ბავშვები რომ დაწვებოდნენ, მარტოკა ვიჯექი და ველოდებოდი რომას, რომელიც ჩემსავით მარტოდმარტო იჯდა კომანის რომელიღაც დუქანში. მომიყვინენ, რომ ბოლოს ის ყველას ერიდებოდა და საუბარშიც არასოდეს ერეოდა. მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ ოცდაჩვიდმეტი წლის იყო, ჭალარა თმა ჰქონდა და მოხუცისგან არაფრით განსხვავდებოდა. მარტოკა ვიჯექი და ველოდი, როდის გავიგებდი მისი ფეხის ხმას ან კარების ჭრიალს...

ოთახში.

რომა (მეგრული აქცენტით): კიდეც არ გძინავს, მარინა?
 მარინა: შენ ეს ყოველ სალამოს გიკვირს!
 რომა: იმედს არ ვკარგავ, რომ ერთ დღესაც საბოლოოდ მოგბეზრდები. ვითომ, ჩემი სიყვარული უშველის რამეს?! ექვსი წელია ვცდილობ, ეს შეგაგნებინო. ძალიან წელი ვარ.
 მარინა: მომთმენი!
 რომა: არა, უფრო სწორად ახლა უკვე ათი წელიწადი...
 მარინა: რა ათი წელიწადი?
 რომა: უკვე ათი წელიწადია ვცდილობ როგორმე გითხრა. იქნებ, შენ დიდი ხანია იცი კიდეც, ოღონდ არაფერს ამბობ და ზიხარ აქ...
 მარინა: მე მარტო ის ვიცი, რომ სვამ!
 რომა: მხოლოდ სმის გამო რომ ვსვამდე!.. მე კიდეც იმიტომ ვსვამ, რომ კარგად მოვიფიქრო, როგორ გითხრა ყველაფერი.
 მარინა: ნუ მაშინებ, რომა!
 რომა: ესე იგი, უკვე ყველაფერი იცი?
 მარინა: არაფერიც არ ვიცი! მაგრამ უკვე მეშინია იმის, რისი თქმაც გინდა.
 რომა: ხომ ყოველთვის გინდოდა ამის გაგება?
 მარინა: მეტი არაფრის გაგება აღარ მინდა, რომა! შენთვის შეინახე!
 რომა: ჯემალი მე მოვკალი!
 მარინა (პაუზი შემდგომ. ნაძალადევი სიმშვიდით): ეგ არაა მართალი, რომა! ის მარტო იყო ნავში, დაიწყო ქარიშხალი და დაიხრჩო.
 რომა: ძნელი არ იყო მის ნავთან მიახლოება და გადაძრომა. ზღვა ჯერ კიდეც წყნარი

იყო მაშინ.

მარინა: ტყუილია ყველაფერი!!!

რომა: მის ნავში რომ გადავძვერი, ჩაიცინა და მითხრა: „როგორც იქნა, მოხვედი!“

მარინა: გაჩუმდი, რომა!

რომა: „როგორც იქნა, მოხვედი!“ რატომ მითხრა? ამაზე მთელი ათი წელია ვიმტვრევ თავს. ელოდებოდა? ალბათ - კი და მგონი, მეტი სიცოცხლეს აღარ უნდოდა, მარინა! ზოგჯერ, განსაკუთრებით კარგი დღე რომ გამოერევა ხოლმე, ვფიქრობ, თვითონ ჩამაგონა მკლელობა-მეთქი! მაშინ თვითონაც ხომ დამნაშავე გამოდის. გესმის?!

მარინა: მითხარი, რომ ეს ყველაფერი ტყუილია!

რომა: ტყუილია... ისე, გასართობად მოგიყევი პატარა ისტორია. სმით კი იმიტომ ესვამ, რომ უბრალოდ მიყვარს დალევა!

მარინა: ათი წელი ვიცხოვრე შენთან!

რომა: მეტი!

მარინა: ამის მერე ათი წელია!

რომა: უკვე დროსაც ანაწევრებ? ესე იგი, გჯერა, რომ ეს მართალია. დღეიდან ძნელი იქნება შენთან ცხოვრება, მარინა!

მარინა: საით აპირებ?

რომა (დამცინავად): თბილისში.

მარინა: თბილისში?

რომა: მშვიდობით, მარინა!

მარინა: საით?..

რომა: არსაით! დავიღალე და მეძინება. დღეს თბილა, ნავალ ნავში დავიძინებ, ასე აჯობებს.

ელენე (სივრცეში): ამ დროს ინგას ტირილით გამოელვია. ბავშვი რომ დავაძინე და უკან მოვბრუნდი, რომა უკვე წასული დამხვდა. ცოტა ხნის მერე ნავთან გამოვედი, მარამ ცარიელი დამხვდა... ფარნით ხელში მთელი კომანი შემოვიარე. ყველგან სიჩუმე და სიცარიელე იყო... რომა არ ჩანდა. მერე მამაჩემი გავალვით და ერთად განვაგრძეთ ძებნა... გამთენიისას ვიპოვნეთ: თავი ჩამოეხრჩო, ხიდის მოაჯირზე გამოება თოკი, ისე რომ, ფეხები ზედ წყალზე ეკიდა. (პაუზა) ეს 1990 წელს მოხდა, სწორედ იმ წელს, როცა თბილისში ელენე გოგოლაძე დავით ყანჩაველს გაჰყვა ცოლად და მშობლების სახლის სიმყუდროვე სხვა, არანაკლებ მოხერხებულ სამყაროზე გაცვალა.

მეორე მოქმედების დასასრული

მესამე მოქმედება

ელენე (სივრცეში): როგორ მეზიზღებოდა ის, ვინც ყველაფერი მომპარა და ტანჯვის მეტი საკუთარი ცხოვრებიდან არაფერი დამიტოვა!.. რომას სიკვდილის შემდეგ ჩემი ფიქრები სულ უფრო ხშირად უბრუნდებოდა ელენე გოგოლაძეს. ჯემალის დანატოვარიდან ცოტა ფული კიდევ იყო დარჩენილი. გარდა ამისა, პატარა სახლი და ნავიც მქონდა. ნავი რომ გამექირავებინა და მამაჩემისგანაც რაიმე მიმეღო, თანაც ხელმომჭირნეობასაც თუ გამოვიჩენდი, შესაძლოა, ეს მე და ბავშვებს თბილისში გასამგზავრებლად და რაღაც ხნით გვყოფნოდა... მძიმე წლები იყო. საბჭოთა კავშირი იშლებოდა. ცხოვრება ძვირდებოდა. დრო სწრაფად მიქროდა... ბავშვების ზრდის მიხედვით ვგრძნობდი, თუ როგორ ვბერდებოდი. ბესლანს არავითარი სურვილი არ ჰქონდა მეთევზე გამხდარიყო. თექვსმეტი წელი რომ შეუსრულდა, ოჩამჩირეში, ტყავის ფაბრიკაში დავტოვე შეგირდად;

შეძლო დეიდასთან ეცხოვრა, დედაჩემის დასთან, რომელსაც ქმართან ერთად იქვე ბოსტნეულის ფარდული ჰქონდა. ბესლანი ჩემი საყვარელი შვილი იყო და მის გარეშე სახლი სულ ცარიელი მეჩვენებოდა. კიდევ კარგი, კვირაობით მაინც ბრუნდებოდა შინ. თითქმის სამი თვე იყო ოჩამჩირეში. ბოლოს უკვე იმდენის გამომუშავება შეძლო, ჩემგან ფულს აღარ ითხოვდა, სამაგიეროდ კვირაობითაც აიცრუა გული შინ მოსვლაზე. ხშირად მთელი კვირები გადიოდა, ვიდრე იგი ჩვენთან ერთად შემოუჯდებოდა მაგიდას, თანაც ძალიან ცოტას ლაპარაკობდა.

ოთახში.

მარინა: გახსოვს, ბესლან, ერთხელ ჩემთან ერთად გამგზავრებას რომ დამპირდი?
 ბესლანი: ჰო, მახსოვს. თბილისში და მერე ამერიკაში.
 მარინა: ჯერ თბილისში... თუ შენ ამაზე უკვე აღარ ფიქრობ, ბესლან?
 ბესლანი: ვფიქრობ, როგორ არა...
 მარინა: ჩვენ უკვე საკმარისი ფული მოვაგროვეთ.
 ბესლანი: სურვილი კი მაქვს...
 მარინა: მაგრამ?
 ბესლანი: არა, არაფერი.
 მარინა: შენ დამპირდი, ბესლან!
 ბესლანი: არ ვიცი, დედა!

ელენე (სივრცეში): შევამჩნიე, რომ ბესლანი ჩაფიქრდა და მეტი აღარაფერი უთქვამს. მას შემდეგ, რაც რამდენიმე თვე სახლში აღარ გამოჩნდა, თვითონ ნავედი მასთან ოჩამჩირეში. ეს აუცილებელი იყო – ბოლოს და ბოლოს, იმის უფლებაც მქონდა, მომენახულებინა, თუნდაც განსაკუთრებული არაფერი მომხდარიყო. თბილი დღე იყო. დეიდა მარტო დამხვდა დახლთან.

ნახევრადღია სივრცეში.

მარინა: დილა მშვიდობის, დეიდა.
 დეიდა: მარინა! აი, იშვიათი სტუმარი!
 მარინა: ბესლანის ნახვა მინდოდა.
 დეიდა: ბესლანის?
 მარინა: არ არის? დღეს რამე დღესასწაული ხომ არაა?
 დეიდა: ბესლანი, მარინა? ის რა, თბილისში არაა?
 მარინა: თბილისში?.. მე არაფერი ვიცი თბილისის შესახებ!
 დეიდა: იქ უფრო კაი ადგილი იშოვა. წინა კვირას თქვენთან იყო. მე მითხრა, რომ აქ აღარ დაბრუნდებოდა და პირდაპირ თბილისში გაემგზავრებოდა.
 მარინა: ჰო, მაგრამ ის არ ყოფილა კომანში!.. თბილისში სად უნდა ვეძებო? არაფერი დაუტოვებია?
 დეიდა: არა... თავისი ნივთები წაიღო. აჰ, მარინა, ცუდი არაფერი მოხდება. ბესლანი წესიერი ბიჭია! კარგად ვიცნობ! მალე მოგწერს.

ელენე (სივრცეში): კიდევ ორი დღე დავრჩი ოჩამჩირეში, მაგრამ ვერც ფაბრიკაში და ვერც სხვაგან ვერაფერი გავარკვიე. ბესლანი, როგორც ჩანს, საგულდაგულოდ მალავდა თავისი წასვლის ამბავს. მხოლოდ დეიდას გააგებინა. მასაც მხოლოდ ადგილი დაუსახელა: თბილისი. ახლა თბილისში უნდა წავსულიყავი, იქნებ იქ მაინც მეპოვნა. ამისთვის ერთი კვირა მაინც იყო საჭირო, თუ მეტი არა... თანაც, ეს ფული ღირდა. შევძლებდი ბავ-

შვების ამდენი ხნით დედასთან დატოვებას? ის უკვე ძალიან მოხუცებული იყო. კომანში რომ დაებრუნდი, მაინც გადავწყვიტე წავსულიყავი. დედაც თანახმა იყო. ფულს დანაზოგიდან ავიღებდი. ზარდახმა, რომელშიც ფულს ვინახავდი, ჯერ კიდევ ჯემალისაგან დამრჩა. მაშინ, ისევე როგორც ახლა, ის ზანდუკის ფსკერზე იდგა, ზემოდან კი ბავშვების ტანსაცმელი, წინდები, პერანგები და დასაკემსი ზენრები ელაგა. ოცი წელზე მეტი - ეს საიმედო ადგილს წარმოადგენდა, მაგრამ ახლა, როდესაც ზარდახშისთვის გასაღების მორგება მოვინდომე, აღმოვაჩინე, რომ მისი გახსნა საჭირო აღარ იყო: ის გატეხილი და ცარიელი დამხვდა!.. ჩემ გარდა, ერთადერთმა ადამიანმა იცოდა, სად ინახებოდა ფული და მივხვდი - ჩემს თბილისში წასვლას აზრი არ ჰქონდა. ბესლანი იქ არ იქნებოდა. ასეთივე წარმატებით შემექლო ის სოხუმში, მოსკოვში ან კიევში მეძებნა. ბესლანი შორს იყო. ჩემი უსაყვარლესი ვაჟი, რომელმაც მარტო ფული კი არა, მთელი ჩემი ოცნებები მოიპარა.

ღია ცის ქვეშ. ისმის თოლიების წივილი.

დიმიტრი (შორიდან): დედა! დედა!

მარინა (ნამტირალევი ხმით): რა იყო?

დიმიტრი: მანდ რას აკეთებ? ჩვენ გეძებ!

მარინა: მოვდივარ! დიდი ხანია, ასეთი ქარი არ ყოფილა.

დიმიტრი: ბესლანს რამე ხომ არ დაემართა, დედა? ოჩამჩირეზე არაფერი მოგიყოლია!

მარინა: ბესლანი თბილისში გადავიდა! უკეთესი სამუშაო იშოვა! ჯამაგირი მეტი აქვს, სალამობით უფრო ადრე თავისუფლდება!

დიმიტრი: მერე, ამაზე ტირი?

მარინა: არა, უბრალოდ ძალიან შორსაა და იმიტომ ვტირი.

დიმიტრი: მე არასოდეს წავალ შენგან ასე შორს, დედა! გპირდები!

თოლიების წივილი თანდათან წელდება.

ელენე (სივრცეში): მისი ბრალი სულ არ იყო და არც სურვილი ჰქონდა - მაგრამ დიმიტრი კომანიდან თბილისზე უფრო უარეს ადგილას წავიდა. როცა ქართველებს და აფხაზებს შორის ომი დაიწყო, ის ცხრამეტი წლის იყო. დიმიტრი აფხაზებს შეუერთდა... კომანშიც ისეთივე სიჩუმემ და სიცარიელემ დაისადგურა, როგორც ჩემს სახლში. მერე ლანა და ინგაც გამეგზავრნენ. ისინი ბესლანივით იმავე ფაბრიკაში მუშაობდნენ და დედასთან ცხოვრობდნენ. კვირაობით ხანდახან ისინიც არ ბრუნდებოდნენ შინ, ზოგჯერ კი მხოლოდ ერთი მათგანი ჩამოდიოდა. ომის დროს ისევე იმას ვაკეთებდი, რითაც მთელი ცხოვრება ვიყავი დაკავებული: თევზს ვშიგნავდი. ჩემი ხელიდან გადადიოდნენ ისინი მარცხნივ მდგარი ერთი კასრიდან მარჯვენაში. უშნო ხელები მქონდა. ველოდებოდი, მთელი ცხოვრება ველოდებოდი წერილებს... ვაყურადები სახლის წინ ნაბიჯებს, ველოსიპედის საბურავების შრიალს. ყველაზე ნაკლებად უკვე თბილისში წასვლას ველოდი. მოლოდინი თანდათან მცირდებოდა ან იქნებ პირიქით, - სულ უფრო და უფრო მძაფრდებოდა. ერთხელ, შემოდგომის საღამოს, მართლაც შემომესმა ნაბიჯების ხმა, რომელიც აშკარად ჩემს სახლს უახლოვდებოდა, ზუსტად კართან შენედა და შეწყდა. ცოტა ხანს ვაყურადებდი, ბოლოს ვიკითხე:

ოთახში.

მარინა: რომელი ხარ? (სიჩუმე. მარინა დგება და კარს აღებს) ვინ არის?

ბესლანი (ჩუმად): მე ვარ, ბესლანი.

მარინა (ხმამალლა): ბესლან?

ბესლანი: ჩუმად, ჩუმად!

მარინა: რა დაგემართა?

ბესლანი: შემომიშვი!

მარინა: აჰ, ბესლან, შვილო, ჩემო სიხარულო!

ბესლანი: დედა!

მარინა: ეს რა გაცვია? ეს რა ფორმაა?

ბესლანი: თავის დროზე ქართული სამხედრო ფორმა იყო. არა, არა, შუქი არ გინდა! ფარდები ჩამოფარებულია? კარებს რომ ალებდი, მომეჩვენა, ქუჩაში ვილაც იდგა. შეიძლება ქართველები მეძებენ.

მარინა: ვინ გეძებს?

ბესლანი: დეზერტირი ვარ, ოთხი დღეა მოვდივარ.

მარინა: დაჯექი, ბესლან, შეჭამე. აქ ცოტა რაღაც დამრჩა, ჯერ არ გაციებულა!

ბესლანი: იმათ იციან, რომ კომანიდან ვარ.

მარინა: მაშინ სულელურად მოიქეცი, აქ რომ მოხვედი.

ბესლანი: ხო, უჭკუოდ მოვიქეცი.

მარინა: სამაგიეროდ, მე ვარ ბედნიერი, ბესლან.

ბესლანი: მე გზა უნდა გავაგრძელო. რაიმე ტანსაცმელი გექნება ჩემთვის!

მარინა: ერთი ხელი შენი ტანსაცმლიდან აქ დარჩა... დიმიტრისიც კარგად გექნება.

ბესლანი: დიმიტრისი?

მარინა: აი, ღია ბარათი მისგან... სამი კვირის წინ მოვიდა.

ბესლანი (კითხულობს): „ახლა დიდი ხანი ვეღარ მოგნერ. არაფერი მაკლია. თუ ყველაფერი რიგზე იქნა, მალე შევბულებას მომცემენ“.

მარინა: თუ ყველაფერი კარგად იქნაო, ბესლან!

ბესლანი: ლანა და ინგა როგორ არიან?

მარინა: ოჩამჩირეში არიან! აქ მე ვარ მარტო.

ბესლანი: დედა, მაშინ...

მარინა: ჭამე, ბესლან! არაფრის ახსნა არ არის საჭირო.

ბესლანი: მაშინ... ერთი გოგოსთვის მჭირდებოდა, მაგრამ მაინც არ მეყო.

მარინა: რა სისულელეებს ლაპარაკობ!

ბესლანი: მერე დავჭკვიანდი... დედა... მე ძალიან...

მარინა: დაწყნარდი, ბესლან!

ბესლანი: აი, ხედავ ბეჭედს?.. ჩემს ცოლს ირმა ჰქვია.

მარინა: ირმა!

ბესლანი: აი, მისი სურათი. (სურათს უწვდის. თან ჩანგალს დააგდებს, წამოხტება)

მარინა: რა მოგივიდა?

ბესლანი: რაღაც ხმაა.

მარინა: არაფერია.

ბესლანი: მანქანაა. სჯობს ნავში დავიძინებ. მომეცი ტანსაცმელი, დედა. თუ ჩემს საძებნელად არიან, მაშინვე მიხვდები. თუ არა, გადავიცვამ და უკან დავბრუნდები.

მარინა: ჩავვიარეს.

ბესლანი: იმათ არ იციან, რომელ სახლში ვცხოვრობ... ჩუ... გაჩერდნენ... ტფუი!.. მე კიდევ, მეგონა, გამოძინებას მაინც მოვასწრებდი.

მარინა: ეჭვი არ მეპარება, ახლავე დაბრუნდები, ბესლან.

ბესლანი: ვნახოთ, დედა.

(ბესლანი გადის. ცოტა ხანში ისმის ბუნდოვანი ყვირილი და სროლის ხმა. მარინა ყურებზე ხელისგულებს იჭერს.)

ელენე (სივრცეში): ერთხელ ჩემთან უცნობი ქალი მოვიდა ბავშვით ხელში. ჩემთან დავტოვე! ბესლანის ცოლი აღმოჩნდა - ირმა, თავის პატარა ვაჟთან, ჯემალთან ერთად! თავად ბესლანი ცოცხალი აღარ იყო: პარტიზნად წასულიყო, აფხაზებისკენ გადასულიყო და ბრძოლაში დაღუპულიყო. საფლავების რიცხვი დღითიდღე იზრდებოდა. ბესლანის სიკვდილი რომ გავიგე, მალე დედაც გარდაიცვალა. მამაჩემი ჩემთან გადმოვიდა და ჩვენ კიდევ უფრო დავახლოვდით. ლანას და ინგას იშვიათად ვხედავდი. ნათესავებთან აღარ ცხოვრობდნენ, კომანდები კი მათ არცთუ კარგად ახსენებდნენ. ერთხელ წერილი მოვიდა, მოკლე ცნობით, რომ დიმიტრი სოხუმის ალებისას უკვალოდ გაქრა. მერე გამოაცხადეს, რომ ომი დამთავრდა. კაცები, რომლებიც იბრძოდნენ, ბრუნდებოდნენ. ზოგმა ძველებურად მეთევზეობას მიჰყო ხელი, ზოგიც ალიფაიასა და ოჩამჩირეში შოულობდა სამუშაოს, ზოგიერთი კი სულ აღარ დაბრუნდა. მათი სახელები ეკლესიის წინ აღმართულ დაფაზე ეწერა. დიმიტრის სახელიც მათ შორის იყო, მაგრამ, განა მე ეს დაფა მიშველიდა? ლანა ოჩამჩირეში გათხოვდა. დედა კლარა რომ გარდაიცვალა, ქმართან ერთად მისი ფარდული ჩაიბარა. ინგა კომანში ბავშვთან ერთად დაბრუნდა. ძალიან ლამაზი იყო და მთელი კომანის კაცები კუდში დასდევდნენ. უბედურება ის იყო, რომ ინგაც არავის ეუბნებოდა უარს. ცოტა ხნის შემდეგ ისევ ოჩამჩირეში გადავიდა ქარხანაში სამუშაოდ. პატარა ქალიშვილი კი, რომელიც ჩემს სახელს ატარებს, ჩემთან დატოვა. პატარა სახლი ვერ გვიტევდა ამდენ ხალხს, თანაც ძალიან ღარიბები ვიყავით. ნავეები დალპა და უკვე არაფრად გამოდგებოდა. ნაწილები, რისი გაყიდვაც შეიძლებოდა, მოვხსენით და გავყიდეთ. ნახევრად წყლით დაფარული ნარჩენები ნელ-ნელა ღებოდა. უკვე ოთხმოც წელს მიღწეული მამაჩემი ცოტა ფულს ბადეების შეკეთებით შოულობდა. ირმა სახლს და ბავშვებს უვლიდა. მე კი კვლავ ჩემს ძველისძველ სამუშაოს ვასრულებდი - მარილს, ფარფლებსა და თევზის ნაწლავებს შორის განვავარძობდი არსებობას. ამ საქმის ოსტატი ვიყავი, მაგრამ ჩემი გამომუშავებული ფული მაინც არ იყო ამდენი ხალხისთვის საკმარისი. კვირაობით ინგა, ზოგჯერ კი ლანა და მისი ქმარიც ჩამოდიოდნენ და ყველა ერთად რომ შევიყრებოდით, მთელი სახლი სიცილით, ყაყანითა და ბავშვების გნიასით ივსებოდა. ხანდახან სასმლის სმითაც ვიქცევდით თავს. მეც სხვებთან ერთად ვსვამდი და ვიცინოდით, თან კი გამუდმებით ვფიქრობდი ჯემალზე, რომაზე, ბესლანსა და დიმიტრიზე, - ჯერ კიდევ ველოდებოდი ჩემს დიმიტრის... დროდადრო ხომ, ისინიც ბრუნდებოდნენ, ვინც კარგა ხანია დაღუპულად ითვლებოდა და ვისი სახელებიც დიმიტრის გვერდით ეწერა მემორიალურ დაფაზე.

ოთახში.

მამა: უკვალოდ გაქრა, მარინა, სულაც არ ნიშნავს, რომ დაიღუპა! გაიხსენე ვლადისლავ მირველიას ამბავი!

მარინა: მე მარტო დიმიტრი მახსენდება.

მამა: ალიკაც უკვალოდ დაიკარგა! უკვალოდ დაკარგვა ნიშნავს, რომ მის შესახებ არავინ არაფერი იცის. მირველიაზე მართლა არავინ არაფერი იცოდა და ომი რომ დამთავრდა, მაშინაც არ დაბრუნდა! არც წერილი გამოუგზავნია. ყველამ დაიჯერა, რომ მოკვდა. სინამდვილეში კი, სალსალამათი ბრძანდებოდა და სამი წლის მერე ცოლითა და სამი შვილით დაბრუნდა გერმანიიდან.

მარინა: რატომ არაფერს იწერებოდა?

მამა: აბა, მე რა ვიცი? შეიძლება ცოლის მეტი აღარაფერი ანალვლებდა ან ფოსტა მუშაობდა გერმანიიდან აფხაზეთში ცუდად, ან ეშინოდა...

ელენე (სივრცეში): წლების მერე დიდი სამშვიდობო შერიგება მაინც მოხდა. აფხაზებმა და ქართველებმა ისევ ერთად გადანყვიტეს ყოფნა და ცხოვრება. ქართველები კოლონებით ბრუნდებოდნენ. გზები გაიხსნა. ცხოვრება ისევ გამოცოცხლდა აფხაზეთში. ომს აღარავინ იხსენებდა და თუკი იხსენებდა, როგორც დიდ ჭირსა და სახადს, რომელიც აუცილებლად უნდა მოეხადა ორივე მხარეს. ჩვენი სახლის უკან ერთი ადგილი იყო. იქ ვიდექი ხოლმე და დიმიტრის მოლოდინში გზას გავყურებდი. აქედან კარგად ჩანდა ოჩამჩირიდან მომავალი გზა, რომელიც გვერდს უვლიდა კომანს და ჩემი ადგილიდან არცთუ მოშორებით, მარჯვნივ, სწორი კუთხით ალიფაიასკენ უხვევდა. აქედან თავისუფლად შემეძლო მეჭვრიტა გზისა და მთელი ჩემი გავლილი ცხოვრებისათვის. ზუსტად აქ ვიდექი, წყლის პირას, პატარა ბესლანით ხელში, როცა ჯემალი უკანასკნელად გავიდა ზღვაში და თავი დამიქნია დამშვიდობებისას... მარჯვნივ ის ხიდი იყო, რომელზეც რომამ გამთენიისას თავი ჩამოიხრჩო... ოდესღაც, აქ ჩემი შვილები, ახლა კი ჩემი შვილიშვილები თამაშობდნენ... აქ გაისმოდა თოლიების ხრინწიანი წივილი, რომელიც ფონივით გასდევდა მთელ ჩემს ცხოვრებას... ერთ კვირადღეს, სწორედ აქ ვიდექი, როცა დიდმა, გადახდილმა მანქანამ ჩამიქროლა. სწრაფად მიახლოვდებოდა თავისი რადიო-მუსიკით და ამ ხმაზე, საშინელმა შფოთმა შემიპყრო...

ისმის მოახლოებული ავტომობილის ხმაური, რომელშიც რადიომუსიკაა ჩართული.

ელენე: როცა მანქანა გამისწორდა და მისგან წყლის ვინრო ზოლიდა მყოფდა, შიგნით მჯდომმა ქალმა უცნაურად შემომხედა...

ხმაური მიწყნარდება.

ელენე (სივრცეში): და მე ვიცანი ის!.. ეს ელენე გოგოლაძემ ჩამიარა! – მე კიდევ, რა ხანია დავინწყებული მყავდა! მაგრამ ამ ერთ წუთში ყველაფერი გამახსენდა. ეს მე თვითონ, მთელი ჩემი ცხოვრებით ჩავიქროლე საკუთარი თავის წინ. პატარა ბესლანი ნაპირზე დავსვი და რამდენიმე ნაბიჯი გადავდგი წინ... მეჩვენებოდა, რომ უნდა გავფრენილიყავი ამ მანქანის კვალზე, თითქოს ყველაფერი მხოლოდ იმაზე იყო დამოკიდებული, დავენოდი თუ არა მას. ნაბიჯის გადადგმისთანავე წყალში გადავვარდი და ვიგრძენი, რომ ჩემ ირგვლივ წყალი მატულობდა – მევსებოდა პირი, ცხვირი, ყურები და თავბრუ მეხვეოდა.

ღია ცის ქვეშ.

დათო: ელე! ელენე, არ მოკვდე!!

ელენე: რა მჭირს...

დათო: ცოტა ხანს ინექი ქვიშაზე! მერე შეზლონგზე გადაგიყვანთ!

ელენე (უაზროდ): ჰო, შეზლონგზე...

დათო: რა სულელურად მოგვივიდა - ამ სიცხეში, პირდაპირ წყალში რომ შევვარდით! ელე, გესმის ჩემი?!

ელენე: ვინ ხართ?

დათო: ელე! დათო ვარ... ვერ მცნობ?

ელენე: თბილისი!

დათო: ჰო, საყვარელო!

ელენე: ელენე გოგოლაძე! ახლავე უნდა ნავიდე.

დათო: უნდა ნახვიდე? სად უნდა ნახვიდე?

ელენე: კომანში!

დათო: კი, როგორ არა! აბა, სხვაგან სად წახვალ? ჯერ შეზღონგზე და მერე - სასტუმროში. აქ ოთახი უნდა ვიქირავოთ.

ელენე (სივრცეში): მეორე დღეს კვლავ ელენე გოგოლაძის გონზე მოვედი. ჩაბნელებულ ოთახში ვინექი. დათო საბანაოდ იყო წასული. ავდექი და ფარდებს შორის გავიხედე. პატარა სასტუმროს კიბესა და სანაპიროსაკენ მიმავალ გზას მზე აცხუნებდა. ჩავიცვი, დაბალქუსლიანი ფეხსაცმელი შევარჩიე, გრძელ გზაზე სიარული რომ არ გამჭირვებოდა, სასტუმროდან გამოვედი და კომანისკენ მიმავალ გზას დავადექი. სიცხის მიუხედავად, სწრაფად მივაბიჯებდი და დანიშნულების ადგილამდე მისაღწევად საათიც კი არ დამჭირვებია. გადავედი თუ არა ხიდზე, დაბალი ქოხის კარი შევალე და შევედი... ინგა სამზარეულოში, ქურასთან იდგა, მისი პატარა ქალიშვილი მარინა - იატაკზე თამაშობდა.

სამზარეულოში.

ელენე: ინგა!

ინგა (შფოთით): რა გნებავთ, ქალბატონო?

ელენე: მე მინდოდა... ინგა!

ინგა: ვინ ბრძანდებით?.. მე თქვენ არ გიცნობთ!..

ელენე: შენ მე არ მიცნობ?.. (პაუზა) სამაგიეროდ, მე გიცნობთ თქვენ ყველას! ძალიან კარგად!

ინგა: ვინ ჩვენ ყველას?

ელენე: თითქოს ყველას ხმა მესმის: ლანასი, მარინასი, პატარა ჯემალის...

ინგა: დიახ, დღეს ყველანი აქ არიან.

ელენე: მარინა სადღაა?

ინგა: აგერ, სოფელს აშენებს, თუ ეს ციხე-კოშკი იქნება?

ელენე: არა, მე დიდ მარინას - დედაშენს ვგულისხმობ.

ინგა: დედაჩემს?.. იმას საიდანღა იცნობდით?

ელენე: ოოო, ეს ძალიან გრძელი ისტორიაა, ინგა... ძალიან დიდი ხანია ჩვენ ერთმანეთს ვიცნობთ.

ინგა: დიდი ხანია?

ელენე: უკვე ძალიან დიდი ხანია.

ინგა: მარინა დიდ ოთახშია. შედით თუ გნებავთ...

ელენე: მადლობა.

ინგა: ძალიან ვწუხვარ, მაგრამ თქვენ, ალბათ, ცოტა ადრე უნდა მოსულიყავით!

პაუზა.

ელენე (სივრცეში): ოთახის კარი გავალე. ბნელოდა. ძლივს შევაჩვიე თვალი სიბნელეს და ნელ-ნელა გავარჩიე: დაბალ ხის ტახტზე ვილაც ინვა და გულზე ხელები დაეკრიფა. ჰაერის მოძრაობამ მის ფეხებთან დანთებული ორი სანთელი შეარხია და მე ვიცანი მარინა!.. თუ ჩემი თავი!.. გული ყელში მომანვა და საშინელი სისწრაფით ამიბაგუნდა!.. სწრაფად შევედი და კარი მივიხურე. ჩვენ უკვე მარტონი ვიყავით... მხოლოდ ჩვენ ორნი!

მე და ის...

მარინა და მე...

მე და მე...

ორი მე!

ფარდა

საიუბილეო არმაღანი

ილია ჭავჭავაძის წლებანდელი, საიუბილეო წელი ძალზე მნიშვნელოვანი გამოცემით აღინიშნა. გამომცემლობა „უნივერსალმა“ დაბეჭდა წიგნი: „ილია ჭავჭავაძის პერსონალური ენციკლოპედია – მასალები“. ეს ვრცელტანიანი, 1244 გვერდიანი გამოცემა, მომზადდა ილია ჭავჭავაძის კვლევის ცენტრში, საგრანტო პროექტის, „ილია ჭავჭავაძის პერსონალური ენციკ-

ლევის ცენტრში, რომელიც ამავე წელს დაფუძნდა ფილოლოგიის დოქტორის ნინო მამარდაშვილის ძალისხმევით. მას შემდეგ, რაც მკვლევართა ჯგუფმა მოიპოვა „ილიას ჭავჭავაძის პერსონალური ენციკლოპედიაზე“ მუშაობის საავტორო უფლება.

წიგნში „ილია ჭავჭავაძის პერსონალური ენციკლოპედია – მასალები“, აისახა მწერლის ლიტერატურული მემკვიდრეობა, საზოგ-

ადოებრივი მოღვაწეობა, XIX საუკუნის პოლიტიკური და კულტურული გარემო „საუკუნის მკვლევლობად“ სახელდებული ილია ჭავჭავაძის ტრაგიკული აღსასრულის ჩათვლით. მასში ახლებურად არის წარმოჩენილი მნიშვნელოვანი წარსული, იდეურად პოლარიზებული საზოგადოებრივი სივრცე, რთული და საინტერესო დრო, რომელიც მოიცავს პერიოდს – 1837-დან 1907 წლამდე.

ავტორთა კოლექტივის მიერ მოძიებული, შესწავლილი და დადგენილი იქნა მრავალი მოვლენა, ფაქტი, თარიღი, მონაცემი, პიროვნება, ტოპონიმი, პერიოდული გამოცემა და სხვ. წიგნის მონაცემები ეფუძნება პირველწყაროებს,



ლოპედიის“ ფარგლებში. პროექტის პირველი წიგნი „სიტყვანი“ 2010 წელს გამოიცა, ხოლო „ილია ჭავჭავაძის პერსონალური ენციკლოპედია - მასალები“, პროექტის მეორე წიგნია.

ენციკლოპედიის პროექტზე მუშაობა დაიწყო 2006 წელს ილია ჭავჭავაძის კვ-

დიდძალ საარქივო მასალას (მათ შორის საოჯახო არქივებს), პერიოდული გამოცემებს, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების, თეატრალური, ეთნოგრაფიული და სხვა საზოგადოებების, მრავალი სხვა ორგანიზაციის შემონახულ დოკუმენტაციას, ასევე, ინტერნეტრესივრცეში არსე-

ბული წყაროებს – თავად ილია ჭავჭავაძის თხზულებათა ტომეულებს, ილიას ბიბლიოგრაფიას, საიუბილეო კრებულებს, მემუარულ ლიტერატურას, ქართულ და უცხოურ ენციკლოპედიებს, პერიოდულ გამოცემებს, ბიბლიოგრაფიულ ცნობარებს.

შედარებითი ანალიზით დადგინდა ცალკეული დოკუმენტის, მონაცემისა და ფაქტის უტყუარობა. წიგნის არეალი მოიცავს არა მხოლოდ საქართველოს, არამედ რუსეთის იმპერიის, ევროპისა და ზოგადად, მსოფლიოს იმჟამინდელ ისტორიულ, პოლიტიკურ, კულტურულ თუ გეოგრაფიულ სივრცეს.

წიგნი „ილია ჭავჭავაძის ენციკლოპედია – მასალები“ მოიცავს შემდეგ მთავარს მიმართულებებს:

1. ილიას თხზულებები
2. პერსონალიები (ილიას კულტურულ-ლიტერატურული და საზოგადოებრივი გარემოცვა – ნათესავთა, ახლობელ-მეგობართა და ნაცნობთა წრე; ილიას მიერ მოხსენიებული პიროვნებები მხატვრულ შემოქმედებაში, ლიტერატურულ-პუბლიცისტურ ნერილებსა და კერძო მიმონერაში, ლიტერატურული და მითოლოგიური პერსონაჟები)
3. გეოგრაფიული სახელები
4. ილიას დროინდელი პერიოდიკა

წიგნის მოზრდილი ნაწილია ე.წ. პერსონალიები, რომელიც თავს უყრის არა მხოლოდ პიროვნებათა ბიოგრაფიისა და ღვაწლის ამსახველ ფაქტობრივ მონაცემებს, არამედ ილიას თანამედროვეთა წარმოჩენით ცხადდება მათი მსოფლმხედველობრივი და პარტიული კუთვნილება, რაც განსაზღვრავდა ილია ჭავჭავაძისა და მის იდეურ მომხრეთა მიმართ ამა თუ იმ პოლიტიკური ძალისა თუ ჯგუფის დამოკიდებულებას. სწორედ „პერსონალიებში“ ჩანს მკაფიოდ წარსულის წინააღმდეგობრივი და ან უკვე გადაფასებული, უაღრესად მრავალმხრივი სურათი, ზოგადად, ილიას დროინდელი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ნიადაგის რაგვარობა.

წიგნი „ილია ჭავჭავაძის პერსონალური ენციკლოპედია – მასალები“, ასახავს ეპოქის კულტურული ცხოვრების მეტ-ნაკლებად

მთლიან სურათს, ვინაიდან სწორედ ასეთი მთლიანობა ქმნიდა მწერლის ირგვლივ არსებულ საზოგადოებრივ-კულტურულ გარემოს, ლიტერატურულ პროცესს, და რაც მთავარია, მეტი სისრულით წარმოაჩენს თავად ილია ჭავჭავაძის პიროვნებას.

როგორც ითქვა, ილია ჭავჭავაძის პერსონალური ენციკლოპედია შესაძლებლობას აძლევს მკითხველს, თვალი გაადევნოს მწერლის ცხოვრების გზას დასაწყისიდან მონამებრივ აღსასრულამდე.

გიმნაზიისა და უნივერსიტეტის წლები, სამშობლოში დაბრუნება, სახელმწიფო სამსახური ქუთაისსა და ღუშეთში, „საქართველოს მოამბის“, „დროების“, „ივერიის“ რედაქციები, საადგილმამულო ბანკი, სხვადასხვა საზოგადოებრივი კავშირები და გაერთიანებები, ამ გაერთიანებების, ბანკისა და თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა ყრილობები, რუსეთის იმპერიის სახელმწიფო საბჭოსა და სათათბიროს სესიები – ამ სივრცეში ტრიალებდა ილია ჭავჭავაძე და ყოველივე ეს, შესაბამისად არის წარმოდგენილი ენციკლოპედიის ერთ დიდ განყოფილებაში – „ილიას გარემოცვა“. ენციკლოპედიაში ამა თუ იმ პერსონის მონაცემების შეტანისას მინიშნებულია ილიასთან მის პირდაპირ თუ არაპირდაპირ კავშირზე.

საკითხისადმი ასეთი მიდგომის საფუძველზე შევიდა ილიას ენციკლოპედიაში ყველა დამფუძნებელი წევრი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა, რომლის გამგეობის თავმჯდომარე, დიმიტრი ყიფიანისა და ივანე ბაგრატიონ-მუხრანელის შემდეგ, სიცოცხლის ბოლომდე ილია ჭავჭავაძე იყო. მეტიც, ენციკლოპედიაში შევიდა იმ პედაგოგთა გვარებიც, რომლებიც წლების განმავლობაში მსახურობდნენ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მიერ გახსნილ და მისი დაფინანსებით არსებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში – სკოლებსა თუ ბიბლიოთეკებში.

ამავე განყოფილებაში შევიდა იმ პირთა სახელები, რომლებიც უფლებამოსილი იყვნენ დასწრებოდნენ თავად-აზნაურთა

კრებებს და მონაწილეობა მიეღოთ მის საქმიანობაში – საკითხების განხილვასა თუ არჩევნებში. ასეთი უფლებამოსილებით იყო აღჭურვილი ილია ჭავჭავაძეც, რომელიც ამ კრებებზე ყოველთვის გამოთქვამდა აზრს, მონაწილეობდა ცალკეული გადაწყვეტილებების განხილვასა და მიღებაში...

ენციკლოპედიაში შევიდა, აგრეთვე, ილიას პირად ბიბლიოთეკაში დაცული სამეცნიერო თუ მხატვრული თხზულებების ავტორთა სახელები, ასევე სახელები იმ ადამიანებისა, რომელთა კორესპონდენციები, პუბლიცისტური თუ კრიტიკული წერილები, ორიგინალური თუ ნათარგმნი მხატვრული ნაწარმოებები, მათ მიერ შეკრებილი ხალხური სიტყვიერების ნიმუშები იბეჭდებოდა ილიას „ივერიაში“. წიგნში ასევე შევიდა იმ უცხოელ ავტორთა სახელები, რომელთა ქართულ თარგმანებსაც (მხატვრული იქნებოდა, პუბლიცისტური თუ სამეცნიერო) აცნობდა ილიას გაზეთი მკითხველ საზოგადოებას.

შემდგენლებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს ენციკლოპედიაში შეეტანათ იმ პირთა სახელებიც, რომელთა თაოსნობით (ხშირად ხარჯითაც) იხსნებოდა სოფლებში სკოლები, ბიბლიოთეკები, იდგმებოდა საქველმოქმედო წარმოდგენები, ფუძნდებოდა აფთიაქები, მაღაზიები... მოყვასისთვის უანგარო შრომა, უანგაროდ სიკეთის ქმნა ზოგჯერ არცთუ დიდი მატერიალური შეძლების ადამიანთაგან მაღალი ზნეობრივი აქტი იყო, რასაც ილია ჭავჭავაძის „ივერია“ დიდად აფასებდა და არა მარტო მადლიერების ნიშნად, არამედ ქველმოქმედების ნახალისების მიზნითაც, აღუნიშნავდა არ ტოვებდა.

წიგნში, რუსეთის სახელმწიფო საბჭოს წევრთა გარდა, შესულია სათათბიროს წევრთა გვარებიც. ილია, მართალია, სახელმწიფო საბჭოს წევრი იყო, მაგრამ ურთიერთობა ჰქონდა – ზოგთან საკმაოდ ახლო – სათათბიროს წევრებთანაც, დიდი ინტერესით ადევნებდა თვალს სათათბიროს სხდომებს, განსაკუთრებით გამოსვლებს ქართველი დეპუტატებისა, რომელთაგან იმ დროს მხოლოდ ერთი, იოსებ ბარათაშვილი,

იყო სოციალისტურ-ფედერალისტთა პარტიის წარმომადგენელი, დანარჩენები კი – სოციალ-დემოკრატები – ილიას პოლიტიკური ოპონენტები და მონაწილეები არსებით საკითხებში, მათ შორის უმთავრეს – საქართველოს ავტონომიის – საკითხში.

ილია იურისტი გახლდათ და თავისი პროფესიით ათი წელი მუშაობდა დუშეთში: ჯერ იყო მომრიგებელი შუამავალი, შემდეგ – მომრიგებელი მოსამართლე, ამ ხნის განმავლობაში ათასზე მეტი საქმე განუხილავს და, შესაბამისად, ამდენივე ადამიანის სარჩელზე მიუღია გადაწყვეტილება. მისი მიუდგომლობის, სამართლიანობისა და კანონისადმი ერთგულების საჩვენებლად ენციკლოპედიაში შერჩევით შეყვანილი არიან, რამდენიმე საქმის სუბიექტები, უმთავრესად სხვადასხვა წოდების მოსარჩელე-მოპასუხე: გლეხი და აზნაური, გლეხი და თავადი. შემდგენელთა მხრივ ამგვარი გადაწყვეტილების მიზანი აშკარაა: იმის საჯაროდ ჩვენება, რომ მოსამართლე ილია ჭავჭავაძესთან ვერავინ, წოდებრივი კუთვნილების მიუხედავად, ვერ ახერხებს თავისი წოდებრივი უპირატესობით ვინმეს დაჩაგვრას.

განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ მკითხველი გაეცნობა ტოპონიმების ჩამონათვალს. ილიას პუბლიცისტურ წერილებში მოხსენიებული საყოველთაოდ ცნობილი ქვეყნებისა თუ ქალაქებისა. იმ ტოპონიმების გარდა, რომლებიც ქართველი მკითხველისთვის განმარტებას არ საჭიროებენ, თითქმის ყველა კომენტირებულია. მითითებულია, აგრეთვე, ამა თუ იმ ადგილის კავშირი ილიას ბიოგრაფიასთან, მის პირად ცხოვრებასა თუ საზოგადოებრივ საქმიანობასთან.

პერსონალური ენციკლოპედია გულისხმობს საბაზო ინფორმაციას მწერლის ცხოვრების, მოღვაწეობისა და შემოქმედების ყველა ასპექტზე. როგორც არაერთხელ აღინიშნა, წიგნს სათაურის ქვეშ ინერჯილი აქვს — მასალები, რაც სრულიად კანონზომიერია. სრულყოფილი საბოლოო პროდუქტის მისაღებად ამ წიგნის შექმნას აუცი-

ლებელი და გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. შემდგენლებმა ურთულესი და ძალზე შრომატევადი სამუშაო შეასრულეს, რაც ვფიქრობთ, უდავო წინაპირობაა იმისა, რომ საბოლოოდ მივიღოთ ილია ჭავჭავაძის ისეთი პერსონალური ენციკლოპედია, სადაც იქნება არამარტო ფაქტების კონსტატაცია, არამედ ინფორმაცია მწერ-ლის ნებისმიერი ნაწარმოებისა თუ ტექსტის შესახებ, იქნება ეს ილიას შემოქმედების პრობ-ლემ-ათიკა, ილიას თემატიკა ხელოვნებაში თუ ილიას შემოქმედება უცხოურ და მშობლი-ურ კონტექსტში.

კმაყოფილებით გვინდა აღვნიშნოთ, რომ წიგნს ერთვის შოთა რუსთაველის სახელო-ბის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის მიერ მომზადებული ილიას თხზულებათა ოცტომეულის საძიებლებში გამორჩენილ პიროვნებათა, გეოგრაფიულ სახელთა და პერიოდულ გამოცემათა ჩამონათვალი, ტომისა და გვერდის მითითებით. აღნიშ-ნულია ასევე პირთა საძიებელში დაშვებუ-ლი შეცდომები.

ამ მნიშვნელოვან წიგნზე მუშაობდნენ: ილია ჭავჭავაძის კვლევის ცენტრის სამეც-ნიერო ხელმძღვანელი, ფილოლოგიის დოქ-ტორი გიორგი აბაშიძე, კვლევის ცენტრისა და პროექტის დირექტორი, ფილოლოგიის დოქტორი ნინო მამარდაშვილი, წიგნის მთა-ვარი რედაქტორი, ფილოლოგიის დოქტორი ლეილა სულხანიშვილი, პროექტის პასუხ-ისმგებელი მდივანი, ფილოლოგიის დოქ-ტორი მანანა ბარათაშვილი, ფილოლოგიის დოქტორები: მანანა ყიფიანი, ნათელა სალი-რაშვილი და გურამ ჭოხონელიძე, პროექ-ტის მონვეული წევრი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერ-სიტეტის ასოცირებული პროფესორი მარი წერეთელი, რედაქტორი ნანა ზღულაძე. ასევე აღსანიშნავია „სმარტ კაპიტალ ჯგუფისა“ და ექვთიმე თაყაიშვილის საქველ-მოქმედო ფონდის ფინანსური მხარდაჭერა.

წიგნის წინათქმაში ღრმა გულისტკივილ-ითაა აღნიშნული ის ფაქტი, რომ ნაშრომის ავტორთა ჯგუფმა მუშაობის დასრულებამ-დე აუნაზღაურებელი დანაკლისი განიცადა.

გარდაიცვალნენ: ნათელა სალირაშვილი – რომლის მოპოვებულობაცაა, უმთავრესად, ცნობები ილიას დროის მოღვაწე ქართველი პედაგოგების შესახებ; გურამ ჭოხონელიძე – ქმედითი და ინიციატივიანი მასალების ძიებაში, ლეილა სულხანიშვილი – წიგნის მთავარი რედაქტორი, ჭემმარიტად თავ-დადებული მუშაკი და გიორგი (აგი) აბა-შიძე – პროექტის იდეის ავტორი, ჯგუფის სამეცნიერო ხელმძღვანელი.


ზედმეტიც კია იმის საგანგებოდ ხაზ-გასმა, თუ რაოდენ დიდი სამუშაო გასწია ავტორ-შემდგენელთა ჯგუფმა. ეს წიგნი, „ილია ჭავჭავაძის პერსონალური ენციკლო-პედია-მასალები“, ამგვარი გამოცემის პირ-ველი ფაქტია ჩვენს სინამდვილეში, რომელ-იც იძლევა უმნიშვნელოვანეს ცნობებს არა მარტო ილიას გარემომცველი სინამდვილი-სა და პერსონალების შესახებ, არამედ ასევე შეიცავს არსებით ნაწილს მასალისა, გამზადებული რომ დახვდება იმ მომავალ მკვლევარს, ვინც გადამწყვეტს შეადგინოს XIX საუკუნის ნებისმიერი ქართველი მწ-ერლისა თუ საზოგადო მოღვაწის პერსონ-ალური ენციკლოპედია.

კიდევ ერთხელ გვინდა იმის საგანგე-ბოდ აღნიშვნა, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი საჩუქარი მიიღო ქართულმა საზოგადოე-ბამ ილია ჭავჭავაძის დაბადების 185-ე წლ-ისთავზე.

P.S. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, მეცნიერ-მკვლევართა გუნდი, რომელმაც შეადგინა „ილია ჭავჭავაძის პერსონალური ენციკლოპედია“, მუშაობს ორ მნიშვნელო-ვან პროექტზე: „ილია ჭავჭავაძე და XIX საუკუნის მწერლები“ და „ილია ჭავჭავაძე და XIX საუკუნის პუბლიცისტები“. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ჩვენში არსებული სამეცნიერო თუ საქველმოქმედო ფონდები ფინანსურად დაეხმარებიან ამ უმნიშვნელო-ვანეს გამოცემებს.

მარინე სიყმაშვილი

ალექსეი ვარლამოვი



პროზაიკოსი და პუბლიცისტი ალექსეი ვარლამოვი დაიბადა 1963 წელს მოსკოვში. 1985 წელს დაამთავრა მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი. 2016 წლიდან მუშაობს გორკის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტის რექტორად. მიღებული აქვს არაერთი ლიტერატურული პრემია.

ფიცი

ერთი ანთებული ასანთის ღერიც კი საკმარისია ფიჭვის ხე სანთელივით რომ აბრიალდეს.

- ასანთის ერთი ღერი?
- არც ჩვენ გვჯეროდა. არადა მთელი ტყე გადაიბუგა.
- როგორ ფიქრობ, ჩაიში ბრომს¹ გვიყრიან?
- აზრზე არა ვარ.
- კვირას ცოლი ჩამომდის.
- იღბლიანი ხარ...

ჩვენ გამომშრალ მინაზე ვინეკით, ვუყურებდით მალალი ხეების კენწეროები ერთმანეთს როგორ ეხლებოდნენ და ვენეოდით. პაპანაქებისგან გახურებული ფიჭვის ხეები შრიალებდნენ და ჰაერში დამდნარი ფისის სუნი ტრიალებდა. ტოტებით დაბურულ ცაზე ღრუბლები გარბოდნენ. სადღაც,

შორს, კოდალა აკაკუნებდა და წითური ციყვი ხიდან ხეზე დახტოდა. გვინდოდა სულ ასე ვნოლილიყავით. თვალები გვეხუჭებოდა. მინა სადღაც ჩაქანდა, ხეები კი იხრებოდნენ და ეცემოდნენ.

– შესვენება დამთავრდა! ასეულო – მოენყვე!

ბუთხუზა, წვრილფეხა, ბუზღუნა, შემუშებულსახიანი კაცი კოპნია ქრომის ჩექმებში მხნედ გამოიყურებოდა და თითქოს კეთილგანწყობით გვიყურებდა. მის გვერდით მონდომებული და ბოროტთვალებიანი სუსტი, ადგზნებული ბიჭი წრიალებდა – სამი დღის წინ ის ზემდეგად დანიშნეს. ამ თანამდებობაზე ორვარსკვლავიანმა ბუთხუზამ შეარჩია, რომელიც სამხედრო კარიერის იმ საბედისწერო ზღვარზე იდგა, როდესაც ან პოლკოვნიკის წოდებას

¹ არსებობს ფართოდ გავრცელებული ლეგენდა, რომ ჯარში სექსუალური ლტოლვის შესამცირებლად ჯარისკაცებს საჭმელში ბრომს უმატებენ.

მიიღებდა, ან სამუდამოდ პოდპოლკოვნიკად დარჩებოდა და ისიც ტყავიდან ძვრებოდა, რომ რამენაირად წინ წაენია. ზემდეგი (ერთადერთი ვინც სამხედრო სამსახურის აზრზე იყო) თითქოსდა უნებლიეთ მიმართავდა: „ამხანაგო პოლკოვნიკო“. ჩვენ არანაირად არ მივმართავდით, ზემდეგი კი გვძულდა. პოდპოლკოვნიკზე დამოკიდებულები იყო ჩვენი აზრით, ჩვენზე კი – მისი მომავალი. უფრო სწორად, იმაზე, თუ როგორ გაივლიდა ჩვენი ასეული ფიცის მიღების დღეს სამწყობრო მოედანზე, როდესაც სამხედრო ნაწილში ჩამოვიდოდნენ დეკანი, პარტორგი და უნივერსიტეტელი გენერალი.

ჟუდინის სახიდან იკითხებოდა, რომ ეს ყველაფერი ყელში ჰქონდა ამოსული. აქ ის უკვე დიდი ხანია, ყოველწლიურად ჩამოდიოდა და წინასწარ იცოდა, რაც მოხდებოდა. სტუდენტები ფეხებს გადაიტყავებენ, არაყს დალევენ, ღამით კი კლიაზმაზე საბანაოდ წავლენ და ბოსტანში გადაძვრებიან. ორი მეზობელი სოფლის სახელწოდებებს – ფედულოვო და პაკინო² პირველ ასოებს ადგილებს შეუცვლიან და ეგონებათ, რომ ეს ხუმრობა მათი მოფიქრებულია. ასეულის მეთაურები თავდაპირველად ჯარისკაცობანას წაითამაშებენ, რისთვისაც სტუდენტებს სერჟანტებად და რიგითებად დაყოფენ. სერჟანტები ისინი იქნებიან, ვინც უნივერსიტეტამდე ჯარში მსახურობდა, მათ ოცულებისა და ათეულების მეთაურებად დანიშნავენ და უბრძანებენ, ახალბედებს თავი ნამდვილ ჯარში აგრძნობინონ, თუმცა ამ განზრახვიდან არაფერი გამოვიდოდა. ძნელია ოთხი წელი ერთ ინსტიტუტში ისწავლოთ, შრომით სემესტრზე ერთად იაროთ, ერთად ილოთათ და უცებ ერთმანეთი შეავინროვოთ. გამოცდებს მაინც ყველა ჩააბარებს, მიი-

ღებენ თავიანთ ვარსკვლავებს და დაივინყებენ, რაც აქ ისწავლეს.

მაგრამ ჩვენ სამწყობრო მოედანზე აუცილებლად უნდა გაგვეარა – ერთხელ, გამართულად, ლამაზად, სამწყობრო სიმღერებით.

– ასეულო სმენა! მარცხენა ფეხით ნაბიჯით იარ!

პოდპოლკოვნიკს ოფლისგან ილღიები ჩაუმუქდა. სახე უკაშკაშებდა, მაგრამ ფიზიკის ყველა კანონის სანინააღმდეგოდ კი არ იწვოდა, არამედ ჩვილის კანივით ვარდისფრად ღვიოდა. სამაგიეროდ ჩვენ გავფერმკრთალდით. სამი დღე კოჭლობით დავდიოდით, ერთი კვირის მერე ბოტასებზე გადავედით. კოჭრები, როგორც ჟუდინი ვარაუდობდა, გაუჩნდათ არა მხოლოდ ახალბედა მებრძოლებს, არამედ გამოცდილ მოსამსახურეებსაც. ახალბედებს პოდპოლკოვნიკი უყვიროდა, გამოცდილებს კი ამუნათებდა, თუმცა ბოტასებს არ კრძალავდა: დოყლაპიებისთვის ჩექმების ტარება რომ აქედნებინა, მაშინ ფიცის მიღების დღეს სამწყობრო მოედანზე ვინლა გაივლიდა? თვალი რომ არავის მოეკრა, ჟუდინს ასეული სამხედრო ნაწილიდან რაც შეიძლება შორს გაჰყავდა.

კოვროვის სასწავლო ნაწილის ჯარისკაცებს რომ დაენახათ, სამწყობრო მომზადებას პოდპოლკოვნიკი გვასწავლიდა, ალბათ, იფიქრებდნენ, რომ ის ჭკუიდან შეიშალა. ნამდვილი ჯარისკაცები ნამდვილ პოდპოლკოვნიკს, ჯარში მსახურებისას, ახლოდან მხოლოდ ორჯერ ან სამჯერ ხედავენ. ასე გვიყვებოდნენ ისინი, ვინც უკვე იმსახურა. ჩვენ კი ოფიცრების სამხრებზე დამაგრებული ვარსკვლავებისგან თვალები გვიჭრელდებოდა: ზოგი სამწყობრო სიარულში გვაგარჯიშებდა, სხვები – ავტომატის განმენდას, დაშლასა და

² სოფლის სახელწოდებების პირველი ასოების შეცვლისას ვიღებთ ჟარგონულ გამოთქმებს: პედერასტი, (ეშმაკი) გინება.

ანყობაში გვაოსტატებდა. პროპაგანდისტული ფურცლების წერასაც გვასწავლიდნენ, მტერს დანებებისკენ რომ მოუწოდებდა. სწორედ ეს იყო ჩვენი სამხედრო პროფესია – სპეცპროპაგანდა, რომელიც ყველაზე აბსურდულად გვეჩვენებოდა სამხედრო-საველე საქმიანობაში.

ჟუდინის ძალისხმევას ამაოდ არ ჩაუვლია: უკვე რალაც გამოგვდიოდა და ცხვრის ფარიდან თანდათან მწყობრს დავემსგავსეთ. ამ მეცადინეობებს გემო გავუგე და პოდპოლკოვნიკი კარგი თვალით მიყურებდა. კოჟრები არ მქონდა, ჩექმებით დავდიოდი, რომლებიც სასწაულად ზუსტად ჩემი ზომისა გამოდგა. ფეხებს ვჭიმავდი, მკერდს წინ ვწევდი, მწყობრში კარგად ვსწორდებოდი, მერე ტყიან გზაზე მივდიოდით, მტვერს ვაყენებდით და მთელი ხმით ვმღეროდით:

– დაე ნითელი...

ხანდახან გზაზე დიდი სამხედრო მანქანები ჩამოივლიდნენ. ჩვენ გზის პირას გადავდიოდით, მერე კი კვლავ მივდიოდით, თან ერთმანეთის შეკრეჭილ კეფას შევყურებდით, საღამოს კი, გასაყარი ნალარის ნიშანზე, როდესაც ოფიცრები საერთო საცხოვრებლებში მიდიოდნენ, ქუჩაში გავდიოდით, ვადულებდით უბრომო ჩაისს, სახლიდან ნამოლებულ კონსერვებსა და შებოლილ ძებვს შევექცევოდით, ჩვენებურ სიმღერებს ვმღეროდით, კოცონს ვანთებდით და მეთაურებს დავცინოდით.

განსაცდელი მაშინ მეწვია, ფიცის მიღებამდე რამდენიმე დღით ადრე, სამწყობრო მოედანზე ალუმისათვის რეპეტიციები რომ დავინწყეთ და ოფიცრის მკაფიო ბრძანების: ერთი, ორი, ერთი, ორი მარცხენა! ნაცვლად, საპოლკო ორკესტრის მარშზე მოგვინია სიარულმა. თურმე რიტმის გრძნობა არ მქონია და მთელ ასეულს ვუშლიდი ხელს. პირველ ჯერზე ჟუდინმა წამიჯიკავა, მეორედ... ძალ-ლონეს არ ვიშურებდი, წინ

მიმავალ კურსანტს ფეხებში ვუყურებდი და ვცდილობდი, არც ჩამოვრჩენოდი და არც წინ გავქცეულიყავი...

– დოლს უსმინე! – მიყვიროდა ჟუდინი. – მწყობრის ბოლოში მოუსვი!

მწყობრის ბოლოში იორლა ცხენით მიხტოდა შერეკილი ვასია კუნიცინი, გენიალური ლინგვისტი, რომელმაც ოცი ენა იცოდა და მათ შორის ჰინდური, ლიტვური და სუახილი. ის წითელარმიელის სიმღერასაც კი ვერ მღეროდა და მხოლოდ უხმოდ ალებდა პირს. სუნთქვაშეკრული მონდომებით ვცდილობდი დოლის რიტმის შეგრძნებას. ჩემს თავში ორკესტრი უკრავდა. ყველაზე თავგადაკლული მელომანები და კონსერვატორიის ხშირი სტუმრები არ უსმენენ ისეთი თრთოლითა და სულიერი მღელვარებით რიტმისა და გარი გროდბერგის კონცერტებს, როგორი ყურადღებითაც მე კოვროვის სატანკო დივიზიის საპოლკო ორკესტრის ხულიგნურ დაკრულს. დოლის ბრახაბრუნი მზეზე მბრწყინავი პოლკის საყვირების ზუზუნს ერეოდა. დოლი ჩაიკარგა. მხოლოდ საყვირები უკრავდნენ. დამდნარი ასფალტის უფსკრულის თავზე ფეხი უმწეოდ გამიშეშდა და იმავე წამს გავაცნობიერე, ფაკულტეტის გოგონები რატომ ვერ იკავებდნენ ღიმის, სწრაფ ცეკვებს რომ ვცეკვავდი.

მაგრამ ჟუდინს არ გასცინებია. ის გაშმაგდა, მწყობრიდან გამაგდო და მიყვირა:

– მზადების ბოლომდე სამზარეულოში განანესის მიხედვით ივლი!

ასეულმა როგორც მიცვალებულს ისე შემომხედა და წინ გასწია. ორკესტრი ბეჯითად უკრავდა „სლავი ქალის დამშვიდობებას“. ვასია კოჭლობით, მაგრამ ფეხმენყობით მიდიოდა და მე ვიგრძენი, რა ძნელია, გზის პირას მიგდებული, კოლექტივის მიღმა რომ აღმოჩნდები, თუმცა, არანაირი რიგარეშე განანესი სამზარეულოში არ მიმიღია. ჟუდინს ბევრად უფრო მნიშ-

ვნელოვანი საქმეები ჰქონდა, ვიდრე ურიტმო სტუდენტისთვის ანგარიშის გასწორებაა. უბრალოდ, როგორც არასაჭირო ნივთს, არ მამჩნევდა და, სანამ ყველანი მოასფალტებულ სამწყობრო მოედანზე მარშით დადიოდნენ, სათადარიგოთა სკამზე ვიჯექი, ვენეოდი და ჩემკენ მომართულ აღშფოთებულ და შურიან მზერას ვიჭერდი. მერე მომუშტულ მუჭს სულელურად ვწვდი, მაგრამ ჩემს შეურაცხყოფილ სულში მწარე განცდა გამეფებულყო.

შესაძლოა, სწორედ ამან შემეძალა ხელი სიტუაციის მთელი ზეიმურობის შესაგრძობად, როდესაც მზიან კვირადღეს, ლიპიანი პოდპოლკოვნიკის წინაშე დაზეპირებული სამხედრო ფიცის ტექსტი წავიკითხე და ფურცელს ხელი გაურკვევლად მოვანერე. ცერემონიაზე დასასწრებად მოსკოვიდან, ღამის მატარებლით, მამაჩემი ჩამოვიდა, რომელსაც მრავალი წელია სახლიდან ფეხი არსად გაუდგამს. მის ცნობიერებაში შვილის ფიცი მნიშვნელოვანი ცხოვრებისეული ეტაპი იყო და მალულად ვაკვირდებოდი, კისერს როგორ იგრძელებდა და მარშით მოსიარულე ლინგვისტებს შორის მეძებდა. თავი უხერხულად ვიგრძენი. რა მძიმე დასანახი იქნებოდა მის შვილს მწყობრად სიარული რომ არ შეეძლო.

– თქვენ შესანიშნავად გაიარეთ, – მითხრა მამამ ოდნავ არადამაჯერებლად, როდესაც ალღუმის მერე, ყველას თანდასწრებით, გენერლის შექებით გაბრწყინებულმა ჟუდინმა საღამომდე დაგვიტხოვა.

მშობლისთვის იმედის გაცრუება არ მინდოდა, თუმცა მაინც ვერ გავიგე მამისგან მერგო თუ დედისგან მემკვიდრეობად რიტმის შეგრძნების სრული უქონლობა. ალბათ, მამისგან არა, ის ჯარში მსახურობდა და სამწყობრო მომზადების სიძნელეებზე არასოდეს დაუჩივლია.

ის საერთოდ ცხოვრებაში არაფერზე

ჩიოდა და მგონი კიდევ უნდოდა რალაც ისეთი ეთქვა, რაც მამას შვილისთვის აუცილებლად უნდა გაენდო საზეიმო დღეს, მაგრამ მე არ ვიყავი განწყობილი ძუნწი მამაკაცური მილოცვებისთვის მესმინა. ფიცის მიღებამ ჩემზე არანაირი შთაბეჭდილება არ მოახდინა და საერთოდ, ნეტავ ყველაფერი მალე დამთავრებულყო.

ფიცის მიღების მერე სამხედრო-საბანაკო ცხოვრება შეიცვალა. ოფიცრებს თითქოს გაახსენდათ, რომ ადგილი, სადაც სამხედრო ნაწილი მდებარეობდა, ყოველი მხრიდან ტყით იყო გარშემორტყმული, შორიხლოს კი მოსკოვის შემოგარენის ბინძური წყლებისგან დაწმენდილი კლიაზმა მიედინებოდა ქვიშის პლაჟებითა და სათევზაოდ საუკეთესო ტბებით. კარგად გამოძინებულები, ფიჭვნარში ან პლაჟზე მიმავლები, გზად ბანაკში შემოიბრუნდნენ, დავალებებს მოგვცემდნენ თვითმომზადებისთვის და ქრებოდნენ. ერთხელ ტანკებით „დატყეპნა“ მოგვიწყვეს, რომლებსაც ხის ხელყუმბარებს ვესროდით და სარდლობისგან მადლობა მივიღეთ, რომ ტანკმა თავზე არავის გადაუარა. ერთი ორჯერ სასროლეთზეც წაგვიყვანეს და გვასროლინეს ჯერ „კალაშნიკოვიდან“, მერე კი – „მაკაროვიდან“. თითოეულ მსროლელთან ოფიცერი იდგა, რომელიც მზად იყო ნებისმიერ წამს ხელიდან გაეგდებინებინა იარაღი, თუკი ის ჩაფიქრდებოდა და იარაღს შემთხვევით გვერდით მდგომი სტუდენტისკენ გაიშვერდა. ჩვენ ასევე ვსწავლობდით უზარმაზარ მანქანას, რომელიც აღჭურვილი იყო მეგაფონით და თითოეული ჩვენგანისგან შედგენილ მიმართვებს სხვადასხვა ევროპულ ენებზე ვკითხულობდით, რომლებიც ალყაშემორტყმული მტრისთვის იყო განკუთვნილი და, როგორც შეგვეძლო, ისე ვინაფებოდით აგიტაციისა და პროპაგანდის ხელოვნებაში, დანარჩენ დროს კი ვენეოდით, ანეკდოტებს ვყვე-

ბოდით და ტოპოგრაფიულ რუქებზე სამხედრო ნიშნებს ვხატავდით.

ასე იყო ყველა ასეულში, გარდა ჩვენისა. ამის მიზეზი იყო არა პოდ-პოლკოვნიკი ჟუდინი, რომელსაც იშვიათად ვხვდავდით, არამედ აქამდე მის ჩრდილში მდგომი მაიორი მამიკინი, რომელიც ტაქტიკას გვასწავლიდა. ის იყო საშუალო ტანის, ავადმყოფური გამომეტყველების ხმელ-ხმელი კაცი – მზემოკიდებული, მტვრიანი სახით. მისი ფიზიონომია უმეტესად გაღიზიანებასა და უკმაყოფილებას გამოხატავდა. ვიცოდით, რომ სამი წელი სამხედრო მრჩეველად გაატარა ანგოლაში, მანამდე კი ყაზახეთში მსახურობდა. ხმები დადიოდა, თითქოს აფრიკაში მეუღლე და შვილი დაკარგა. ის იშვიათად იცინოდა და შავი სათვალე აბადონასავით³ ეკეთა. როდესაც მამიკინი სათვალეს იხსნიდა, ირკვეოდა, თვალეები საშიში და ბოროტი კი არა, არამედ მეოცნებისა ჰქონდა. სწორედ ეს რომანტიკოსი ისე გვინამლავდა ახალგაზრდულ ცხოვრებას, რომ მსგავსი ჟუდინსაც კი არ დაესიზმრებოდა. ის იყო ერთადერთი ოფიცერი, რომელიც ბანაკში დილის ექვს საათზე მოდიოდა და გვავარჯიშებდა. ჩვენ მას ხუთ-ექვს კილომეტრს, წელზევით შიშვლები და ჩექმებით, უსწორმასწორო გზაზე, კვალში მივდევდით, მერე კი მასთან ერთად ლერძზე ვიზიდებოდით. მოსკოვის ოლიმპიური ობიექტის მსგავს ფართე სასადილოში ჩვენთან ერთად სადილობდა და მადისა და ზიზლის გარეშე ჭამდა რეზინივით მანის ფაფას, მერე კი მშიერი, ჯარისკაცულ საჭმელს მიუჩვეველი იუნკრები შორს, მინდვრებში გაჰყავდა და ადგილზე ატარებდა მეცადინეობებს.

ივლისმა ზაფხულის მწვერვალს

უნია, კოლოებს დაემატნენ ქინქლა და ტკიპები, დამნიფდა მოცვი, თავთავ-მაც შემოსვლა დაიწყო, დღისით მზე შეუბრალებლად აცხუნებდა. მამიკინი კი – კიდევ უფრო ხმელი, უკვე არა აბადონს, არამედ ვირთხებისმჭლელ მარკს⁴ დამსგავსებული, სოფლის მტვრიან გზებზე მიგვერეკებოდა.

ასეულში უკმაყოფილება მნიფდებოდა. ჟუდინის მიმართ დამოკიდებულება იყო ერთდროულად აბუჩად ამგდები და მიმტევებლური. ის ჩვენ პატივს დიდად არ გვცემდა, ჩვენ კი მას, მაგრამ ეს იყო წმინდა წყლის გარიგება: როგორც საჭიროა, ისე გიარეთ და თავს დაგანებებთო. მამიკინი ასეთ დაპირებებს არ იძლეოდა და კიდევ უფრო მნიშვნელოვან ამოცანებს გვისახავდა: ეს ჯანიანი ადამიანი-მექანიზმი, აფრიკული რუჯით და მხურვალე გულით, ცდილობდა, ჯარისკაცებად ვექციეთ.

ოთხმოციანი წლების დასაწყისი იყო. მოკვდა ბრეჟნევი, ანდროპოვმა ამერიკელებთან ყოველგვარი მოლაპარაკებები შეწყვიტა და ოფიცრებს გული მოეცათ. მალე ომი იქნება... როდესაც ომი დაიწყება... ომის შემთხვევაში... სავარაუდო მოწინააღმდეგე... ეს გამოწვევები გაისმოდა უნივერსიტეტის ძველი კორპუსის მიწისქვეშა დახუთულ აუდიტორიებში, სადაც სამხედრო კათედრა იყო და ფიჭვნარში, მდინარისპირა ფართო ველზე. ძნელი სათქმელია, რას ფიქრობდნენ სინამდვილეში: ჩვენ გვაშინებდნენ, საკუთარ თავს ფასს ადებდნენ, თუ საომრად მართლაც ხელისგულები ექავებოდათ. შესაძლოა, მათ ტვინი სხვაგვარად ჰქონდათ მოწყობილი – ვინ გაარკვევს, მაგრამ არც ერთ მათგანს გამარჯვებაში ეჭვი არ ეპარებოდა და თუ ჟუდინი კითხვაზე,

³ მ. ბულგაკოვის რომანის „ოსტატი და მარგარიტა“ პერსონაჟი

⁴ მ. ბულგაკოვის რომანის „ოსტატი და მარგარიტა“ პერსონაჟი

რაში სჭირდება არმიის პოლიტმემადგენლობას სამწყობრო მომზადება, გაურკვეველად პასუხობდა:

– გაგინვევენ არმიაში, თქვენ კი რიგინად გავლაც არ შეგიძლიათ და ჯარისკაცები პატივს არ გცემენ.

მამიკინი ასეთ სისულელებს არასდროს გვეუბნებოდა, არამედ:

– თქვენ სამშობლო უნდა დაიცვათ!

მაგრამ, ღმერთო შეგვიწყალო, ვისა აქვს სამწყობრო ნაბიჯით სიარულის, სანგარში ჩასხდომის და ახლო ბრძოლის ტაქტიკის შესწავლის ხალისი მაშინ, როდესაც, შენი მეგობრები სხვა ასეულებიდან ქვიშაზე კოტრიალობენ, ბანაობენ, თევზაობენ და კენკრასა და სოკოებს კრეფენ! და თუ ომია, რა მნიშვნელობა აქვს, შეგიძლია თუ არა სამშობლოს დაცვა, როდესაც ყველას და ყველაფერს ბირთვული ქოლგა დაფარავს – სოკო თუ როგორც ჰქვია.

ამის შესახებ დასამულ კითხვაზე მამიკინი არაფერს გვპასუხობდა. მხოლოდ ტუჩებს იშვერდა წყენით. სადილის მერე წამოგვყრიდა და ტყეში მიგვათრევდა, სადაც რალაც სიმაგრეებს ვაგებდით, ჯგუფებად ვიყოფოდით, ვაწყობდით ჩასაფრებებს, ვიცვამდით დამცავ ტანსაცმელს და უცხოპლანეტელებივით გამოვიყურებოდით. რამდენიმე საათით კარვებში ვმეცადინებოდით, რათა ადგომის ბრძანებაზე ორმოც წამში ჩაცმა მოგვესწრო. საკვირველი იყო, თუმცა მამიკინის მჯეროდა და ერთადერთ გოგონას, რომელიც ჩემს ცეკვაზე არ იცინოდა, წითელი მელნით ვწერდი წერილს, რომ მალე სამყაროს აღსასრული დადგებოდა, ამიტომ უთუოდ უნდა დავქორწინებულიყავით.

ყველაზე მეტად მაიორ მამიკინით ჩვენი ძველები იყვნენ აღშფოთებული. ახალბედები რატომაც იტანჯებოდნენ, გასაგები იყო, მაგრამ ისინი რა შუაში იყვნენ? ხანდახან სერჟანტები იკრიბებოდნენ, მსჯელობდნენ, მამიკინს, როგორც მგლები, ისე შეჰყურებ-

დნენ და იღრინებოდნენ, მაგრამ მის წინაშე ღიად გამოსვლას ვერ ბედავდნენ. მაიორი მათგან სამხედრო სამსახურს ითხოვდა, ითხოვდა, რომ მისი დამხმარეები ყოფილიყვნენ და ახალბედებისთვის ესწავლებინათ, მაგრამ რანაირი სწავლება იქნებოდა, თუკი ჯარისკაცს ყბაში ვერ მოსდებდი.

მამიკინი არც სხვებს უყვარდათ. ჩვენი ოფიცრების უმრავლესობისთვის სამხედრო კათედრა იყო ან თბილი ადგილი, სადაც ისინი სამსახურიდან გადადგომის წინ ბოლო წლებს ატარებდნენ, ანდა ტრამპლინი საბჭოთა არმიის მთავარ პოლიტიკურ სამმართველოში დანიშვნის, ან საზღვარგარეთ გამგზავრების წინ. ეს არ იყო მტვრიანი ადგილი, არამედ მარჯვე, მსუყე, რომელიც არაფერს გავალდებულებდა. მამიკინი კი სულელური, ზედმეტი, უადგილო საქმიანობით ყველას თავს აბეზრებდა და ვერ იგებდა უბრალო რამეს: ჩვენი სამხედრო ხელმძღვანელობა მხოლოდ იმაზე ოცნებობდა, რომ სტუდენტებს რაიმე უბედურება არ შემთხვეოდათ და მოსკოვში უვნებლად დაბრუნებულიყვნენ.

ღამით კლიაზმაში რომ არ დავმხრჩვალყავით, პატრულით გვაშინებდნენ და გვემუქებოდნენ, რომ ყველას, ვისაც კი პატრული დააკავებდა, გარნიზონის ჰაუბტვახტში ჩასვამდნენ ან უნივერსიტეტიდან გარიცხავდნენ. ჩვენ გვიყვებოდნენ სისხლის სამართლის დამნაშავეთა კოლონიაზე, რომელიც ამ ადგილებში მდებარეობდა და ღამის შემონმებებს გვპირდებოდნენ, თუმცა არც სამოქალაქო ტანსაცმელი, არც პასპორტები არ ჩამოურთმევიათ და საღამოს ჯინსებსა და სვიტერში გადაცმულებს ყველანაირი პატრული ფეხებზე გვეკიდა და, მართალი რომ ითქვას, არანაირი პატრული არ გამოჩენილა და არც შემონმება ჩატარებულა.

კლიაზმა კი არა, ერთი ღამით ლიონხა სვეტოზარსკისა და იურა კუტი-

რევთან ერთად ელექტრომატარებლით ბოგოლუბოვოში დავახვიეთ, სადამდეც ოთხმოცი კილომეტრი იყო. ის ღამე კარგად მახსოვს. როდესაც გასაყრისის ნალარის მერე ბანაკი დავტოვეთ და სადგურამდე მივედით, უკვე გვიანი ღამე იყო. პატარა მოსაცდელ დარბაზში და პლატფორმაზე უამრავ ხალხს მოეყარა თავი, რომელთა შორის თვალში გვხვდებოდნენ ღარიბულად ჩაცმული ქალები ჩაფიქრებული, გულგრილი სახეებით.

მოსკოვის მატარებელი აგვიანებდა. ნახშირის, მაზუთისა და ელექტრობის სუნი იდგა. უცებ ლიოხამ თავები დაგვახრევინა.

– გავიქცეთ!

პლატფორმაზე რომელიღაც ჩვენთან ოფიცერი გამოგვეცხადა. სამოქალაქო ტანსაცმელი გვეცვა, მაგრამ მაინც გვიცნო და ზურგი შეგვაქცია, თითქოს თვითონაც ნაწილიდან ყოფილიყო გამოპარული.

მატარებელი ზუსტად ნახევარი წუთით ჩამოდგა. ხალხი გაიშალა და ვაგონებზე შესტომა დაიწყო. ადამიანები ყვიროდნენ, გამცილებელს ბილეთებს აჩეჩებდნენ, ბავშვებსა და ბარგს აწვდიდნენ. სადღაც, ტამბურში, გაუჩინარდა ჩვენი შემშინებელი, თუმცა სრულიად უწყინარი პოდპოლკოვნიკი, რომელიც ფრანგულს გვასწავლიდა და ჩვენ პატარა სადგურზე დიდხანს დავრჩით მარტონი ღამით.

როგორც იქნა, უკანასკნელი ელექტრომატარებელი ყურისწამლებად აგუგუნდა და რელსები გაანათა. თითქოს გვერდით უნდა ჩაველო, მაგრამ ბოლო წამს მემანქანემ დაამუხრუჭა და ცარიელ ვაგონში აღმოვჩნდით. ჩვენ კონსერვებს ვჭამდით, მათარებიდან ცივ ჩაის ვსვამდით და ფანჯარაში ვიყურებოდით, რადგან ვშიშობდით, სადგურს არ გავცდებოდით. მთვარე ვაგონს მოსდევდა, ანათებდა ტყით დაფარულ ვაკესა და იშვიათ ბაქნებს. ერთ სა-

ათში ბოგოლუბოვოში ჩამოვედით და რკინიგზის გასწვრივ მდებარე ბილიკს უკან, მატარებლის მიმართულებით გავუყევით. მოკლე ღამე იყო, მალე ირიჟრაჟა, მაგრამ მინაზე ძლიერი ნისლი იწვა და უცებ თეთრ წყვდიადში პატარა ერთგუმბათიანი ეკლესია დავინახეთ, რომელიც ფოტოსურათებზე ბევრჯერ მინახავს, მაგრამ არასოდეს – ცხადად. ირგვლივ არავინ იყო. ეკლესია ტბორის თუ შეყინული ტბის პირას იდგა, მეორე მხრიდან კი მდინარე ჩამოუდიოდა. ჩვენ ვდუმდით, გარშემო ვუვლიდით, თავს ჭირვეულად ვწევდით და ქვებს ხელით ვეხებოდით – ჩვენ, ღმერთო, სათქმელადაც კი საშიშია, ოცი წლისები ვიყავით, ეკლესია კი – რვაასი წლისა.

უცებ, საიდანღაც ხმა გაისმა:

– გაჩერდით! ვინ ხართ?

შევკრთით, თავები შევატრიალეთ და ხანდაზმული, თავმოტვლეპილი მილიციონერი დავინახეთ. ის გვიყურებდა სიფრთხილითა და ცნობისმოყვარეობით, როგორც ძაღლები და ბავშვები იყურებიან. სულ ადვილად შეიძლებოდა ნისლში გაუჩინარება, მაგრამ ჩვენ არ გავქცეულვართ. მილიციონერი მოგვიახლოვდა.

– ბიჭებო, საბუთები თან გაქვთ?

პასპორტი მხოლოდ ერთ ჩვენგანს ჰქონდა. საბედნიეროდ, ის ყველაზე ენაწყლიანიც გამოდგა და ძალიან დამაჯერებლად მოყვა არქეოლოგიურ პრაქტიკაზე, რომელსაც ჩვენ გავდიოდით. მილიციონერი ერთხანს შეყოყმანდა, გაპარსული თავები შეგვითვალთქვა, პასპორტში მოსკოვის ჩანაწერს ჩახედა, ჯერ კიდევ უმანკო თვალებში შემოგვხედა და მშვიდობით გაგვიშვა.

უკანა გზაზე ელექტრომატარებელში ჩაგვეძინა და როდესაც მატარებელმა სვლა შეანელა და ნაცნობ სადგურთან გაჩერდა, ჩამოხტომა მოვასწარით. ლიანდაგებზე შალითით დაფარული ტექნიკით დატვირთული შემადგენლობები იდგა. ბანაკში, ზემდეგის გარდა, ყვე-

ლას ეძინა. მან გამკიცხავად შემოგვხედა, თქმით კი არაფერი უთქვამს. დანოლა ჩვენც გვინდოდა, მაგრამ ამის გაკეთებას აზრი არა ჰქონდა: ადგომამდე ნახევარ საათზე ნაკლები რჩებოდა.

რამდენიმე ღამის შემდეგ მამიკინი ბანაკში შესამოწმებლად მოვიდა. ჩვეულებრივი ივლისის ღამე იყო – თბილი და ალერსიანი. მორიგე ჯარისკაცებს ეძინათ, კურსანტები კი, რომლებსაც უნდა სძინებოდათ, ჩაის სვამდნენ, ზოგიერთნი – არაყსაც. ერთი ნაწილი კლიაზმაზე საბანაოდ იყო წასული, მეორე ნაწილი კი – მეზობელი სოფლის ბოსტნებში. კარავში, საიდანაც ქალის სიცილი მოისმოდა, მორიგე სერჟანტი გიტარაზე ფრანგულ სიმღერას მღეროდა.

არ დამინახავს, მაგრამ, ვფიქრობ, მაიორი ატირდა. მის მრისხანებას ენით ვერ აღწერდი. სერჟანტი რიგითად დააქვეითა, მორიგე ჯარისკაცი კი ჰაუპტვახტში გაამწესა. სულ ტყუილად გაისარჯა, პოდპოლკოვნიკმა ჟუდინმა დღისით ორი საკმაოდ შეშინებული მებრძოლი მოიყვანა, ასეული ჩაამწკრივა, საშინლად აგინა და ყბაში მოსდო, მაგრამ სერჟანტს, მისი ბრძანებით, წოდება აღუდგინეს და სხვა ასეულში გადაიყვანეს, მორიგე ჯარისკაცი კი სამზარეულოში გაგზავნეს.

– ნამდვილი ოფიცერია, – პატივისცემით თქვეს ჩვენმა ძველგაზრდებმა.

ამ შემთხვევის მერე მამიკინისთვის თვალი არ მოგვიკრავს.

ცხელი, დახუთული დღეები იდგა. ჩვენ თვითმომზადების კლასში ვისხედით და ტიპოგრაფიულ რუკებს ვხატავდით. რუკები იყო გასაიდუმლოებული და ხელწერილით გასაცემდნენ. ვლადიმირის მინდვრებსა და ტყეებზე აღვნიშნავდით ჩვენი ნაწილებისა და მოწინააღმდეგის არმიის განლაგებას. მწვანე ფურცლებზე ქალაქის ომებს ვანყობდით და კითხვაც კი არ გვიჩნდებოდა, როგორ შეეძლო მოელწია ვერაგ მტერს იმ ადგილებამდე, სადაც

თათრების მერე ექვსი საუკუნეა, უცხოელ დამპყრობელს ფეხი არ დაედგა.

მესამე, მშვიდი დღის მინურულს, ნავახშმევს, ბანაკში მამიკინი გამოჩნდა. დასრულდა საღამოს მხიარული გასეირნება და შემოწმება, გაისმა გასაყარის ბრძანება, მაგრამ მაიორი არსად მიდიოდა. ის თამბაქოს მოსაწევ ოთახში იჯდა და აკვირდებოდა, როგორ იძინებდა ბანაკი. კარვებში ბუზლუნებდნენ და ბრაზობდნენ, რადგან ღამე ჩვენი თავისუფლების დრო იყო. მერე წვიმა წამოვიდა, რომელიც ბრეზენტზე ტყაპუნობდა და გვეჩვენებოდა, ძველი, მზეზე გახუნებული ქსოვილი ველარ გაუძლებდა, გაიხეოდა და ერთი ტონა წყალი წაგვლეკავდა, მაგრამ ბრეზენტი უძლებდა. დროგამოშვებით თავს გარეთ ვყოფდით. მაიორს ლაბადა მოესხა და არსად წავლას არ აპირებდა. თანდათან ყველამ დაიძინა, შუალამით კი მამიკინის ხმამ გაგვალვიდა:

– ასეულო, ადექი!

ნახევრად მძინარეებმა ჩავიცვით და მოვენწყვეთ. ისე ძლიერად წვიმდა, რომ ქვიშიანი ნიადაგი ტენის შეწოვას ვერ ასწრებდა და კარვებთან გუბეები იდგა. ცივი წყლის ნაკადი საყელოში მოძვრებოდა და ზურგზე ჩაედინებოდა.

– ბანაკიდან თხუთმეტ კილომეტრში მტერმა დესანტი გადმოსხა! ჩვენი მიზანია მათი ალყაში მოქცევა და განადგურება!

– მთლად გამოსირდა! – ჩაიბუზღუნა ვილაცამ.

ჩვენ დაგვირიგეს ავტომატები და დაბამბული ჯუბები. ასეთ ჯუბებში გვიან შემოდგომაზე კარგია თევზაობა, როდესაც პატარა ლოქოები სატყუარაზე მოდიან, მაგრამ თბილ ზაფხულში, წვიმა თქრიალით რომ მოდის, არაფრად ვარგა. თხუთმეტ წუთში ჯუბები დასველდა და ჯავშანჟილეტივით ჩამოგვეკიდა. ნესტიან ტყეში ჩრდილოაღმოსავლეთით მივიკვლევდით გზას. მერე ტყე დამთავრდა, გზაზე გავედით

და ჩრდილოეთით გავემართეთ. მალე რომელიღაც სოფელი შემოგვხვდა. ოცი სახლი იქნებოდა – დაბრეცილი ქოხები, ბოსტნები, ღობეები და კარტოფილის მინდვრები. ნახევრადდანგრეული ეკლესია ფანჯრისა და კარის ღობებით განაპირას იდგა. სახლები ორივე მხარეს იყო ჩამწკრივებული, მაგრამ არა ერთმანეთთან ახლოს, როგორც ჩვეულებრივად რუსულ სოფლებშია, არამედ დამორებით, თითქოს ხანძარი, ომი ან დრო ანადგურებდა ქოხებს, როგორც ანადგურებდნენ ადამიანებს.

არც ერთი ფანჯარა შიგნიდან არ იყო განათებული, მინებზე მხოლოდ ელვა კრთებოდა. სოფელში სალაშქრო მწყობრით მივდიოდით და უცებ ერთ ფანჯარაში დედაბერს მოვკარი თვალი. მას ან უძილობა სტანჯავდა, ან ჭექა-ქუხილის ეშინოდა და, მინას აკრული, შიშით და სევდით გაჰყურებდა გზაზე მიმავალ ჯარისკაცებს. შესაძლოა, დედაბერმა გადაწყვიტა, რომ ომი დაიწყო, შესაძლოა, მამიკინიც ასე ფიქრობდა და სჯეროდა, რომ ტყეში დესანტი გადმოსხეს და ასი გამოუცდელი მეზრძოლით უნდა გაენადგურებინა, თუმცა იყო ამ ჭექა-ქუხილიან ღამეში რაღაც არაჩვეულებრივი და მე კვლავ შევიგრძენი ის მღელვარება, რომელიც რამდენიმე დღის წინ დამეუფლა, როდესაც ნერლიზე, ეკლესიის წინ ვიდექი. არ ვიცი, მოქმედებდა თუ არა ჩემზე რაღაც უხილავი, ჩემი ნების სანინაალმდეგო სპეცპროპაგანდა, მაგრამ ამ წამს, მივაბიჯებდი რა მძიმე ჯუბით, ჩექმების ტყაპუნით, აირწინალით და არაფრისმაქნისი ავტომატით უცნობ რუსულ სოფელში, თუ საჭირო გახდებოდა, ამ სოფლისთვის, ღვთისმშობლის ტაძრისთვის, ჩემი თანამებრძოლებისთვის, მამაჩემისა და თუნდაც მაიორ მამიკინისთვის დაუფიქრებლად მოვკვდებოდი.

გზიდან გადავუხვიეთ და მინდვრით წავედით. ირიჟრაჟა და მინელელები წვიმის საბურველში ლერწმით დაფარუ-

ლი მდინარე დავინახეთ. ფლატეზე ერთადერთი ნავი იდგა. ვილაც კაცი ქიშტაცვის სპეცტანსაცმლით თევზაობდა და დროდადრო ბოთლს იყუდებდა.

თავდაცვითი ზღუდის მოსაწყობად გავიფანტეთ.

– გაზი! – დაიყვირა მაიორმა. – ყველამ სანგრები გათხარეთ.

და მე ვთხრიდი. ღმერთო, როგორი ჟინით ვთხრიდი! აირწინაღმი სული მეხუთებოდა. მინაში ფესვები მხვდებოდა სასანგრე ნიჩბით რომ ეჭრიდი და კვლავ მთელი ძალით ვთხრიდი მინას, რომელიც უნდა დამეცვა და რომელსაც ტყვიისგან უნდა დავეფარე. ასე რამდენ ხანს გრძელდებოდა, არ მახსოვს. რბილი ნიადაგი თიხნარით შეიცვალა. სახეზე ჩამოდენილი ოფლი აირწინალიდან წვეთავდა და წვიმის წვეთებს ერეოდა. რაკარუკის მეტი არაფერი მესმოდა და ვერც ვერაფერს ვხედავდი და გონს მაშინლა მოვეგე, როდესაც ვილაცამ ზურგში მიბიძგა.

თავზე ზემდეგი წამომდგომოდა.

– მოენყვეთ! – თქვა ზანტად.

მამიკინმა თავდაცვითი ზღუდის შემოვლა დაიწყო.

– ეს ვინ გათხარა? – იკითხა, თან ჩემს გათხრილ ორმოს ჩაჰყურებდა.

ორმო ძალიან პატარა იყო და უშნოდ მეჩვენებოდა – განა ასეთში დაიმალები? მაგრამ, როგორც ჩანს, სხვები კიდევ უფრო პატარები იყო.

– მე.

– არ ვარგა – როგორ უნდა მიმართო მეთაურს?

ჩემი გვარი დავასახელე.

– მადლობას გიცხადებ! – სახე შეეჭმუხნა. ასეთი სახე აქვს ადამიანს ან რაღაცით ძალიან გაღიზიანებულს, ან გულძმარვის დროს.

თიხით გათხუპნული, დაბნეულად ვდუმდი და მძიმედ ვსუნთქავდი.

– აბა! – მეთაურმა დამიყვირა.

– ვემსახურები საბჭოთა კავშირს! – ვთქვი ჩახრინწული ხმით და მამაზე

გავიფიქრე: იმ ღამით სამხედრო ფიცი დავდე.

ამ ისტორიას უცნაური, შეუსაბამო დასასრული ჰქონდა. შეკრების დამთავრებამდე ერთი კვირით ადრე, როდესაც ჩვენს მაიორსაც დაეტყო დაღლა და როდესაც მივხვდით, რომ აფრიკაში ჯანმრთელობაშერყეულს მოვალეობის შესრულება სულ უფრო უჭირდა, ბანაკში ჩვეულებისამებრ დილის ექვს საათზე გამოცხადდა.

ჯარისკაცები კარებიდან გამოძვრნენ და მწყობრში ჩადგნენ. ყველანი, ერთის გარდა. ეს ერთი იყო უფროსი სერჟანტი გვარად ტრუშინი, რომელიც სამშენებლო ბატალიონში მსახურობდა და რომელსაც ყველაფერი ყელში ამოუვიდა. თანაც ის ოცდახუთი წლის იყო და ბერძნულსა და ლათინურ ენებს სწავლობდა, წინააღმდეგ კი სოფლური შინნახადი არყით გაიღემა.

– უფროსო სერჟანტო ტრუშინ!

კარგი იქნებოდა მამიკინს მისთვის ყურადღება არ მიექცია.

– დიშლაზე მკიდიხარ!.. – წამორომა ტრუშინმა და გვერდი იცვალა.

რა მნიშვნელობა ჰქონდა ასე ხმამაღლა განზრახ თქვა თუ არა, მისი სიტყვები ყველამ გაიგონა და ოფიცერთა სა-

ერთო საცხოვრებლიდან მოვარდნილმა ჟუდინმა ამბის მიფუჩეჩება ვერ შეძლო. ტრუშინი რიგითად დააქვეითეს და ჰაუპტვახტში ჩასვეს, საიდანაც მხოლოდ იმ დღეს გაათავისუფლეს, როდესაც სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილები და ბედნიერები, ზურგჩანთებით ფედულოვოს სადგურზე ვიდექით და ვლადიმირში მიმავალ ელექტრომატარებელს ველოდით. აი, ვლადიმირში კი ლუდი ვიყიდეთ და ოფიცრებთან ერთად ვსვამდით და ვენეოდით და მხოლოდ ტრუშინი დუმდა, თუმცა ლუდი მასაც შევთავაზეთ.

ტრუშინმა, ისევე როგორც თითოეულმა ჩვენგანმა, ლეიტენანტის წოდება მაინც მიიღო და მამიკინისთვის ბოდიშის მოხდაც კი გადაწყვიტა, მაგრამ ვერსად გადაეყარა, ჟუდინი კი მესამე ვარსკვლავს ვერ შესწვდა.

ერთი წლის შემდეგ ჟუდინს უნივერსიტეტში შევხვდი – პოლკოვნიკის სამხრეები ეკეთა. მიცნო და ხელი გამომინოდა, მეც ხელი შევაგებე. სად ჩაიყლაპა მამიკინი, ამის შეკითხვა მეუხერხულა.

რუსულიდან თარგმნა
აკაკი დაუშვილმა

ირინე ძუცოვა



ირინე ძუცოვა დაიბადა 1941 წელს ქ. თბილისში. განათლებით – ისტორიკოსი და ფილოლოგი. დაამთავრა პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი, მრავალი წლის განმავლობაში მუშაობდა ქართულ და საბჭოთა პრესაში, იყო ჟურნალ „Декоративное искусство СССР“-ის კორესპონდენტი საქართველოში. 1972-2010 წლებში მუშაობდა საქართველოს შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმში მეცნიერ-თანამშრომლად, მოგვიანებით ხელმძღვანელობდა ამავე მუზეუმის ხელნაწერთა მემუარულ განყოფილებას. ავტორია ასეული პუბლიკაციისა ქართულ და რუსულ ენებზე, რომლებიც შეეხება ქართული სახვითი ხელოვნების ისტორიის საკითხებს XVIII საუკუნის შუა წლებიდან თანამედროვეობამდე.

ისევ ფიროსმანის შესახებ

ფიროსმანის ჰიროპალი გამოფენები

ნიკო ფიროსმანაშვილის სიცოცხლეში მხატვრის მხოლოდ სამი გამოფენა მოეწყო.

ფიროსმანის დიდების ერთგვარი პირველნათლობა 1913 წელს, მოსკოვში, მხატვართა გაერთიანება «Мишень»-ის გამოფენაზე შედგა, სადაც წარმოდგენილი იყო ოცდარვა რუსი მხატვრის 152 ნამუშევარი. მათ შორის იყო ფიროსმანის ოთხი ნახატიც: „ილია ზდანევიჩის პორტრეტი“ (ილია ზდანევიჩის საკუთრება), „ქალი ლუდის კათხით“, „მკვდარი ნატურა“ და „შველი“ (ყველა მიხეილ ლე-დანტიუს საკუთრება). ნახატები გამოფენის კატალოგშია შეტანილი.

ამ მოსკოვურ გამოფენაზე ფიროს-

მანის სურათების ექსპონირების ინიციატორი იყო მხატვარი მიხეილ ლე-დანტიუ, რომელმაც ფიროსმანის ნახატები აღმოაჩინა სამიკიტნო „ვარიაგში“ 1912 წლის მარტის მეორე ნახევარში, ტფილისში, თავის მეგობარ კირილე ზდანევიჩთან სტუმრობისას. ლე-დანტიუ ტფილისის სხვადასხვა დუქანში შეუდგა მხატვრის ნახატების მოძიებას და რასაც ფინანსურად გასწვდებოდა, იძენდა. თავისი აღმოჩენის შესახებ მან ტფილისიდან პეტერბურგში გაგზავნილ ერთ-ერთ წერილში შეატყობინა XX საუკუნის დასაწყისის რუსული ფერწერული ავანგარდის ლიდერს, მხატვარ მიხეილ ლარიონოვს და მას ფიროსმანის გამო ტფილისში გამომგზავრე-

ბასაც ურჩია. მოსკოვის არქეოლოგიურ ინსტიტუტში ლე-დანტიუმ სტუდენტებისა და ხელოვნების მოყვარულთათვის ნაიკითხა მოხსენება ფიროსმანის ორი ნახატის ჩვენებით. „Мишень“-ის გამოფენის ორგანიზატორებმა გადაწყვიტეს ფიროსმანის ნახატების ექსპონირება და უკვე 1913 წლის იანვრის დასაწყისში გაზეთ „Московская газета“-ში ლარიონოვი აღფრთოვანებით წერდა ფიროსმანის შემოქმედების შესახებ. მას უკვე ეხილა მხატვრის ნამუშევრები, რომლებიც ლე-დანტიუმ ტფილისიდან ჩამოიტანა. მიხეილ ლარიონოვმა, ნატალია გონჩაროვამ და მათმა თანამოაზრეებმა შეაფასეს ფიროსმანის ხალხური ხელოვნების პოეტიკა, მისი სურათების სიუჟეტები და სამყაროს მისეული ხედვა. მათ იზიდავდათ „თანამედროვე ჯოტოს“ ფერწერა (ასე უწოდა მას ლე-დანტიუმ), რომელიც მათთვის დამაჯერებელი არგუმენტი აღმოჩნდა რუსეთის ავანგარდულ ჯგუფებთან პაექრობისას თუ ხალხურ ხელოვნებასთან უშუალო კავშირის წარმოსაჩენად. ამ გამოფენის მომზადებისას ლარიონოვი ლე-დანტიუსადმი მიწერილ წერილში მას სთხოვდა: „თუ აქ ზდანევიჩი მოხვდება, მას გადაეცით, რაც კი გაქვთ, ყველა სურათი კინტო ნიკოლაისა საგამოფენოდ“. მომდევნო წერილში კი დასძენდა: „თავად ჩამოდი თან გამოგზავნეთ თქვენი კუთვნილი სურათები.“

P.S. არ დაგავიწყდეთ ფიროსმანაშვილის გამოგზავნა“.

ეს გამოფენა პრესას ფართოდ არ გაუშუქებია. ცნობილია, რომ მხოლოდ ორ რეცენზიაშია მოხსენიებული ფიროსმანი (მათი ავტორები უცნობია. შესაძლებელია, ორივე ლარიონოვს ეკუთვნოდეს). „Московская газета“-ში გამოქვეყნებულ რეცენზიაში აღინიშნა „უკიდურესი ნაივურობა, არაფრით შებურული პრიმიტიულობის უწყვეტობა“. ამ გამოფენაზე ფიროსმანის ნამუშევრებმა მიიქცია პროფესიონალი მხატვრებისა და რუსული ავან-

გარდის მოღვაწეთა ყურადღება. მიხეილ ლარიონოვის დაჯგუფების წევრი, მხატვარი ქალი ვ. ე. პესტელი წერდა: „ჩვენ აღფრთოვანებულნი ვართ. ის ხომ სრულფასოვანი ფრანგია... ვილაც ამბობს, რომ ის ანრი რუსოზე უკეთესია, უფრო გულწრფელი, ძლიერი და მრავალსახოვანი“. ამ გამოფენის მომზადებისას ლარიონოვი ილია ზდანევიჩისადმი მიწერილ წერილში სთხოვს მას: „უმორჩილესად გთხოვთ, გამომიგზავნოთ სტატია ნიკო ფიროსმანზე... ძალიან გთხოვთ, თქვენი ძმის, ასევე გასაოცარი, არაჩვეულებრივი ნიკო ფიროსმანის სურათებისა (ჩვენ იგი ისე შევიყვარეთ) და მისი შესანიშნავი აბრების გამოგზავნას“.

ფიროსმანის ფერწერის ხილვით მიღებული შთაბეჭდილებით, მანიფესტ „Лучисты и будущники“-ში (მიხეილ ლარიონოვისა და ილია ზდანევიჩის მონაწილეობით) წამოაყენეს თეზა: „გაუმარჯოს მშვენიერ აღმოსავლეთს! გაუმარჯოს ეროვნულობას!“

„Мишень“-ის ფიროსმანის სურათების გამოფენამ აჩვენა, რომ არის გარკვეული სხვაობა ნეოპრიმიტივისტებსა და ფიროსმანს, ქვეშარტიად ხალხურსა და ნეოპრიმიტივისტულ მიმდინარეობას შორის, თუმცა ამან ხელი ვერ შეუშალა ლარიონოვს, წარმოედგინა უდავო ტალანტი ფიროსმანისა, რომელმაც შეძლო მიეღწია უდიდესი გამომსახველობისთვის. 1913 წელს «Московская газета» წერდა: „ქართველი, ტფილისელი ფიროსმანაშვილი ძალიან პოპულარულია ადგილობრივთა შორის, როგორც კედლის ფერწერის დიდოსტატი. მისი თავისებური მანერა, მოტივები, მწირი საშუალებები, რომლითაც ამდენი რამ მიიღწევა, ბრწყინვალეა“.

მხატვრის სიცოცხლისდროინდელი მეორე გამოფენა (თუმცა არაოფიციალური) 1916 წლის 5 მაისს თავის სახელოსნოში მოაწყო ილია ზდანევიჩმა, 1916 წლის ოქტომბერს კი ფიროსმანის ნამუშევრები გამოიფინა ძმებ ზდანევიჩების მშობლების ბინაში. ილია ზდანევიჩმა პირველმა

მოძებნა თავად ფიროსმანი.

საინტერესოა, რომ ილია ზდანევიჩის მიერ თავის ტფილისურ სახელოსნოში მოწყობილი ფიროსმანის გამოფენის შემდეგ მხატვარმა მოსე თოიძემ მოინდომა ფიროსმანის ნახვა. მათი შეხვედრა შედგა თოიძის ბინაში, მეთუნის ქ.32-ში. მისი ქალიშვილი ალექსანდრა თოიძე იხსენებდა, რომ 1916 წელს მისმა მამამ შეიძინა ფიროსმანის „კალობა“ და „ფაეტონი დუქანთან“. ფიროსმანს ესამოვნა თავისი ნახატების ხილვა თოიძეების სახლში (ა. თოიძე. მოსე თოიძის ცხოვრება. ყურნალი „საბჭოთა ხელოვნება“. თბილისი. 1972 წ. №2. გვ. 77).

1913 წელს ახალბედა ლიტერატორმა ილია ზდანევიჩმა დაიწყო დღიურის წერა, სადაც აღწერა თავისი შეხვედრები ფიროსმანთან, შეიტანა მასში ფასდაუდებელი ფაქტები მისი ბიოგრაფიიდან. ილია ზდანევიჩი იყო ასევე პირველი, ვინც ფიროსმანს შეატყობინა გამოფენა „Мишень“-ის მომზადების თაობაზე. დღიურში კი ჩანერა: „მე შინ მივრბოდი, რათა მეთქვა, რომ ნიკო ვნახე, რომ ის მე უამრავ სურათს დამიხატავს, რომ მისი მონაწილეობა გამოფენაში („Мишень“-ი. d.) წყალგაუვალია... მერე ვუთხარი, რომ მასზე წერდნენ გაზეთები და სურდათ მისი სურათების ხილვა გამოფენაზე. თავდაპირველად, მან გაკვირვებული სახე მიიღო, მერე გაუხარდა... შემდეგ თქვა, რომ თავდაუზოგავად იმუშავებს, შექმნის მრავალ სურათს. ერთი სიტყვით, ჩვენ ერთმანეთს გავუგეთ. „Мишень“-სთვის ბევრს არ წავიღებ, ასე, 6-7 სურათს ლარიონოვი გამოფენს, რაც მან დაბეჯითებით განაცხადა (ილია ზდანევიჩის ტფილისური წერილიდან მიხეილ ლე-დანტიუს პეტერბურგში. 1913 წლის იანვარი). თავისი გამოფენის მოსკოვში მოწყობით გახარებულ ფიროსმანს უკითხავს: „როდისაა გამოფენა? ოთახი რომ გამომიყონ, სადაც მუშაობას შევძლებ, ერთ თვეში დაგხატავდით 10-15 იმაზე უკეთეს სურათს, რაც არის და იმაზე უკეთესსაც, ვიდრე

„შერემეტოვოს ბაღია“ (ილია ზდანევიჩის დღიურის 1913 წლის 27 იანვრის ჩანაწერი. შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი).

1913 წლის 10 თებერვალს გაზეთ „Закавказская речь“-ში გამოქვეყნდა ილია ზდანევიჩის სტატია, სადაც იგი წერდა, რომ ფიროსმანს უკვე მოსკოვში იცნობენ, რომ მასზე წერდა „Московская газета“ და რომ მოსკოვში შეძლებენ მის დაფასებას. ილია ზდანევიჩი დარწმუნებული იყო მოსკოვური გამოფენის მნიშვნელობაში, მაგრამ ასევე გულწრფელად იმედოვნებდა, რომ პარიზში ფიროსმანის სურათების გამოფენასაც ელოდა წარმატება. ილია ზდანევიჩი 1914 წლის 29 ივნისს გაზეთ „Восток“-ში გამოქვეყნებულ სტატიაში წერდა: „თუ მოხერხდება პარიზში მისი გამოფენის მოწყობა, წინასიტყვას დავწერ კატალოგისთვის“. ზდანევიჩს ეს ოცნება მხოლოდ 1969 წელს აუხდა, როდესაც 6 მარტიდან 7 აპრილის ჩათვლით ფიროსმანის პერსონალური გამოფენა გაიმართა ლუვრში. ფიროსმანის პირველი გამოფენები საზღვარგარეთ 1968 წელს მოეწყო პრალასა და ვარშავაში. ილია ზდანევიჩის დედა, ვალენტინა გამყრელიძე, ყოველმხრივ თანამზრახველობდა თავის ვაჟს ფიროსმანის ნახატების გამოფენის მოწყობაში. 1927 წლის 28 დეკემბერს მას პარიზშიც კი მისწერა: „ვეროპაში რომ მოხერხდებოდეს მისი გამოფენის გაგრძელება, მაგრამ გერმანიის გარდა, ამის გაკეთება, ალბათ, ვერსად ვერ მოხდება“. სხვათა შორის, საქართველოს ეროვნული მუზეუმის დამაარსებელსა და მხატვარ დიმიტრი შევარდნაძეს განზრახული ჰქონდა ფიროსმანის სურათების გამოფენის მოწყობა დრეზდენში, რის შესახებაც მან 1930 წლის 27 ივლისს მისწერა ილია ზდანევიჩს. მოსკოვიდან ნებართვის მიუღებლობის გამო ეს იდეა ჩავარდა და დიმიტრი შევარდნაძის ძალისხმევით ფიროსმანის ნახატები გამოიფინა მოსკოვში, ლენინგრადში, ხარკოვში, კიევსა და ოდესაში.

როგორც ცნობილია, 1916 წელს ქართველ ხელოვანთა საზოგადოებამ ალიარა ფიროსმანი, როგორც ყურადღება-პატივისცემის ღირსი მხატვარი, რომელიც მიიწვია საზოგადოების საერთო თავყრილობაზე, სადაც მას გადასცეს დახმარება ათი მანეთის ოდენობით. მიუხედავად იმისა, რომ იმ დროს მხატვრის ნამუშევრები მოსკოვში «Мишень»-ისა და ძმებ ზდანევიჩების მიერ ტფილისში ორგანიზებულ ორ არაოფიციალურ გამოფენაზე წარმოადგინეს, 1916 წლის 24 მაისს ამ საზოგადოების მორიგ სხდომაზე ფიროსმანის ნამუშევართა გამოფენის მოწყობას მხარი არ დაუჭირეს და განაცხადეს: „საზოგადოებას არ ხამს გამოფენათა ორგანიზებით დაიწყოს თავისი საქმიანობა“. ქართველ ხელოვანთა საზოგადოების წევრთა ეს არაერთგვაროვანი დასკვნა არ გვაკვირვებს. ის გამონეული იყო იმ დროს ქართული ხელოვნების განვითარებასთან დაკავშირებული პრობლემებითა და, როგორც მწერალი და ფიროსმანის შემოქმედების სპეციალისტი ერასტ კუზნეცოვი თვლის, ამ საზოგადოების შიშითაც, რომ არ გამოენვია თვითკომპრომენტირება თვითნასწავლი მხატვრის შემოქმედების პროპაგანდით. საზოგადოება შემოიფარგლა ფიროსმანისათვის არცთუ ხელგამილილი მატერიალური დახმარების განვითარებით, მას კი უცილობლად ესაჭიროებოდა გამიზნული და გაცილებით ფართო მხარდაჭერა. მართალი იყო მეღვინე სანდრო მესხიშვილი, რომელიც ამუნათებდა ილია ზდანევიჩს ფიროსმანის გარდაცვალების შემდეგ: „სად იყავით მაშინ? თუ ის დიდი მხატვარი იყო, რატომ არ მიაქციეთ მას ყურადღება? თვალები სად გქონდათ?“

მხოლოდ 1919 წლის 4 მაისს (ანუ ფიროსმანის გარდაცვალების შემდგომ) ქართველ ხელოვანთა საზოგადოებამ მოაწყო ქართველ მხატვართა ნამუშევრების გამოფენა, სადაც წარმოადგინეს ფიროსმანის რვა ტილო. 1919 წელს, საქართველოს მთავრობის სახსრებით, დიდების ტაძარში (დღემტრი შევარდაძის სახელობის ახ-

ლანდელი ეროვნული გალერეა) მოწყობილ ქართველ მხატვართა ამ გამოფენის შემდგომ გაზეთ „საქართველოში“ (1919. №115) გამოქვეყნდა მხატვარ სერგეი სუდეიკინის სტატია „ქართული გამოფენა“. ავტორი ფიროსმანს ადარებს იტალიელ მხატვარ ჯოტოს და მას ფრანგ პრიმიტივისტ ანრი რუსოზე მაღლა აყენებს. კერძოდ, სუდეიკინი აღნიშნავს: „მთელი გამოფენის ფონს ქმნის ფიროსმანაშვილი. ხალხის ყოფისა და ცხოვრების ეს მწერალი გვაღელვებს, გვხიბლავს უშუალოებითა და სისადავით, როცა პასტორალური ღვინითა და პურით გვიხატავს მთლიან საქართველოს, ბადებს ნაციონალურ კოლორიტსა და ცხოვრების იმედს“.

ფიროსმანზე ბევრს კამათობდნენ, მაგრამ მისი ქმნილებანი ცოტა ვინმეს თუ უნახავს, დუქანთა სტუმრების გარდა. სხვათა შორის, 1916 წელს ფიროსმანის მოსანახულებლად მისულ მოსე თოიძეს ნიკალამ უთხრა: „დადგა დრო, რომ ჩვენ (მხატვრები- ი. ძ.) გვიხილონ და გაგვიცნონ. კარგი იქნებოდა, გოლოვინსკის პროსპექტზე გაგვეკვეთებინა უშველებელი სურათხატოვანი პანორამა დიდი გამოფენისა, რათა ის სრულიად საქართველოს ეხილა“ (მ. დუდუჩავა. დიდი ქართველი მხატვარი. ჟურნალი „ლიტერატურული საქართველო“, 1972, №2, გვ. 76- 81).

1920-26 წლების განმავლობაში არ მოწყობილა ფიროსმანის არც ერთი გამოფენა. პოეტ იგორ ტერენტიევის 1922 წლის 9 ოქტომბერს ილია ზდანევიჩისადმი პარიზში გაგზავნილი წერილიდან ირკვევა, რომ ასეთი განზრახვა არსებობდა: „სავარაუდოდ, განზრახულია მისი სურათების გამოფენის მოწყობა ტფილისში როგორც დიდი ეროვნული დღესასწაულისა, შესაძლებელია პარიზში ფიროსმანის გამოფენის მოსაწყობად სამთავრობო სუბსიდია“. ფიროსმანის გამოფენების მოწყობასთან დაკავშირებული ამ გეგმების შესახებ ვალენტინა გამყრელიძეც წერდა ილია ზდანევიჩს პარიზში: „საეჭვოა ამ გამოფენის მოწყობა. ერთი მხრივ, აკრძალულია სუ-

რათების გატანა საზღვარგარეთ, მეორე მხრივ, მთავრობა თავად არ მოკიდებს ამას ხელს, თან ფულიც არაა, დროც შეუფერებელია“.

მოსკოვში ფიროსმანის ნამუშევართა ექსპონირების შესახებ ამბობდა ცნობილი რუსი სამხატვრო კრიტიკოსი ი. ტუგენდხოლდი, რომელსაც ალაფროთოვანებდა ქართველი მხატვრის შემოქმედება.

კირილე ზდანევიჩმა მიჰყიდა ფიროსმანის რამდენიმე ტილო ტრეტიაკოვის გალერეას, 1927 წლის 7 ნოემბერს კი მოსკოვში გაიხსნა საიუბილეო გამოფენა, მიძღვნილი სსრკ-ის ხალხთა ხელოვნებისადმი კირილე ზდანევიჩის მიერ მიწოდებული ფიროსმანის თექვსმეტი ნახატი.

1929 წელს განათლების სახალხო კომისარიატმა, ფიროსმანის ნამუშევრების შესაგროვებლად, შექმნა კომისია გ. ალავიძის, დავით კაკაბაძისა და კირილე ზდანევიჩის შემადგენლობით, რათა მათ აღერიცხათ და რესტავრაციის ჩატარებისათვის მათი სამომავლო ექსპონაციის მიზნით. საქართველოს ეროვნულმა გალერეამ მოაწყო მხატვრის ასი ნამუშევრის გამოფენა.

ჯერ კიდევ ამ პირველი გამოფენების წყალობით, ფიროსმანის ფერწერა გაიცნო ფართო საზოგადოებამ და შთააგონა ბევრი ქართველი მხატვარი. 1910/20-იანი წლების ქართველი ლიტერატურულ-მხატვრული ავანგარდისათვის ფიროსმანი დროულ სიმბოლოდ და დამაჯერებელ არგუმენტად იქცა სხვადასხვა თეორიათა სისტემაში. ფიროსმანი სახვითი ხელოვნების ეროვნული ტრადიციების დიადი მატარებელია, მან ავანგარდის წარმომადგენლებს საშუალება მისცა, მიეღოთ მონაწილეობა ბრძოლაში ახალი ხელოვნებისა და სულიერი რევოლუციისათვის.

ფიროსმანი და პოეტიკა

ლეგენდის მიხედვით, ნიკო ფიროსმანი ლექსებს თხზავდა და მათ პოეტ იროდიონ ევდოშვილს უჩვენებდა, ვაჟა-ფშაველასთან მეგობრობდა და ამ მეგობრობას

ვალერიან გაფრინდაშვილმა ლექსი „ვაჟა და ფიროსმანი“ მიუძღვნა.

ფიროსმანს უყვარდა ქართველი პოეტების ლექსების კითხვა. ამის შესახებ გიორგი ლეონიძეს უთხრეს მედუქნე ალექსი ჭიჭინაძემ და სასტუმრო „არარატის“ მფლობელმა გოლა ჭიჭინაძემ. შეთხვევით ხომ არ ჩანერა ფიროსმანთან შეხვედრების აღმწერ დღიურში ნიკალას ერთ-ერთმა პირველმა აღმომჩენმა, მხატვარმა და ლიტერატორმა ილია ზდანევიჩმა მხატვრისადმი განკუთვნილ კითხვათა შორის ასეთი კითხვებიც: „ქართველ პოეტთაგან ვის კითხულობდა?“, „რუსთაგან ვის?“, „რომელია მისთვის საყვარელი პოეტური ნაწარმოები?“ თავადაც პოეტმა ილია ზდანევიჩმა კარგად შეიცნო მხატვრის პოეტური ნატურა. აი, რას წერდა იგი: „მხოლოდ პირველი მსოფლიო ომის დასრულების, საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვებისა და ადგილობრივი ნაციონალიზმის აღმავლობის შემდგომ ადგილობრივმა პოეტებმა და მხატვრებმა დაიწყეს ფიროსმანით აღტაცება, მხატვრით, რომელიც უკვე ცოცხალი აღარ იყო“. თუმცა, ილია ზდანევიჩის თანხლებითა და ინიციატივით 1913 წლის 30 იანვარს მისულმა ჟურნალისტმა და მწერალმა ალექსანდრე ყანჩელმა მაშინვე დააფასა მისი ფერწერა და მხატვარს ლექსი უძღვნა.

ქართული და რუსული ფუტურისმის ისტორიის ერთ-ერთი გამორჩეული ფიგურა ალექსეი კრუჩონიხი (1886-1968) 1910-იან წლებში ჩამოვიდა ტფილისში. აქ იგი დაუმეგობრდა ძმებ კირილე და ილია ზდანევიჩებს. ლექსების რამდენიმე კრებულის ავტორი (ზაუმური და პრიმიტივიზმის ჟანრის), ფუტურისტთა შემოქმედებითი თავყრილობების ორგანიზატორი ალექსეი კრუჩონიხი ფერწერითა და გრაფიკითაც იყო გატაცებული. იგი მყისიერად მოიხიბლა ფიროსმანის შემოქმედებითა და პიროვნებით. მისი ყურადღება მიიპყრო მხატვრის ცხოვრების ერთმა დრამატულმა ეპიზოდმა – მისმა ცალმხრივმა, უპასუხო სიყვარულმა „აქ-

ტრისა“ მარგარიტასადმი. და 1918 წელს დაწერა ლექსი „ტფილისელი მზარეულის სიყვარული“, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს ერთ-ერთ ადრეულ მიძღვნილი ხასიათის ლექსად ფიროსმანისადმი (პირველად გამოქვეყნდა კრებულში „ავანგარდი ტიფლისში“ – ვენეცია, 1982 წ. გვ.267). თბილისში გამოშვებულ ჟურნალ «Русский клуб»-ის 2013 წლის №2 ნომერში დაიბეჭდა ალექსეი კრუჩონიხის სრული ტექსტი და ჩემი ესე მის შესახებ. ამ ლექსის სიუჟეტურ ქარგაში ავტორმა ჩართო ერთი ფაქტი ფიროსმანის ბიოგრაფიიდან, კერძოდ: მისი მზარეულად მსახურება და დაწერა ის სატრფოსადმი მონოლოგ-მიმართვის სახით, როგორც სულის ყივილი. ლექსის ოცდაექვს სტრიქონში გაიელვა ქართულმა და ფრანგულმა სიტყვებმაც:

„Страдаю, как молодой Вэртэр,
Язык мой _
Голый дьявол,
Скоро попадет на вэртэр!
Шен генацвале, шен черимэ,
Мэримэ!
Бросаю к твоим сливочным ночам
Бокал с колбасой,
И утопиться бегу
В Куру
ВЕСЬ ГОРЯЩИЙ
И бошой!“

გიორგი ლეონიძე საფუძვლიანად სწავლობდა ფიროსმანის ცხოვრებას და 1930-იან წლებში მასზე ესეებს აქვეყნებდა ჟურნალ „მნათობში“. 1922 წლის 22 აგვისტოს მან დაწერა ესე „ფიროსმანი და პოეტები“, რომელიც, მოგვიანებით, 1931 წელს, გამოქვეყნდა „მნათობში“. მისი აზრით, ფიროსმანი და მისი შემოქმედება დიდი ხანია, იზიდავდა ქართველ პოეტებს, რომლებიც მას ტრაგიკული ხვედრის გამო თანაუგრძნობდნენ. დიდი ქების ღირსია გიორგი ლეონიძე, რომელმაც მუზეუმს ხალხის საკუთრება – ფიროსმანის თვრამეტი ნახატი გადასცა. მანვე მხატ-

ვარს მიუძღვნა პოემა „ფიროსმანი“, რომელიც პოეტმა ლევ პენკოვსკიმ რუსულად თარგმნა. პოემა მთავრდება სიტყვებით:

„დიდებულო ქართველო, ნიკო ფიროსმანო!“

პოეტი, ლიტერატურის კრიტიკოსი, ქართული ფოლკორის ნიმუშების შემგროვებელი, 1910/ 20-იანი წლების ტფილისის კულტურული ცხოვრების აქტიური მონაწილე ნიკოლაი (კოლაუ) ჩერნიავესკი (1893-1943), კირილე ზდანევიჩის აზრით, გახდა „ფიროსმანის ხელოვნების უანგაროდ მოტრფიალე რაინდი, ვისაც ვერ წარმოედგინა თავისი ცხოვრება მისი სურათების გარეშე“. ჩერნიავესკიმ ფრანგულად დაწერა სტატია მონოგრაფიისათვის – „ფიროსმანი“ (ტფილისი, 1926), სადაც ის ამტკიცებდა, რომ თვითნასწავლი მხატვრის შემოქმედება უტოლდება მსოფლიო ხელოვნების დიდებული წარმომადგენლების ოსტატობას. კოლაუ ჩერნიავესკიმ დღიურის წერა დაიწყო ფიროსმანზე და მისი ნამუშევრების კატალოგიც შეადგინა. კირილე ზდანევიჩმა ამ დღიურის ჩანაწერები გამოიყენა 1963 წელს თბილისში გამოცემული წიგნისათვის – „ფიროსმანი“. მას შემდეგ ამ დღიურის ადგილსამყოფელი უცნობია. კოლაუ ჩერნიავესკის ბეძმა არგუნა ფიროსმანის არაერთი სურათის გამოვლენის პატივი. მაგალითად, „არსენალის მთა ღამით“, რომელიც მოგვიანებით ფრანგი პოეტის, ლუი არაგონის საკუთრება გახდა. (შემდგომში ეს ნახატი შეიძინა ბიძინა ივანიშვილმა და გადასცა საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმს – რედ. შენიშვნა).

კირილე ზდანევიჩი წერდა: „მას (ჩერნიავესკის) შეეძლო, დაუსრულებლად ელაპარაკა ფიროსმანზე, განეხილა მისი შემოქმედება, დღენიადაგ ეხეტილა ქალაქში მისი სურათების მოსაძებნად“. მისი აზრით: „ჩერნიავესკი ერთ-ერთია, ვინც ფიროსმანს „უკვდავებისკენ გაუკვალა გზა“. 1917 წელს ჩერნიავესკიმ საყვარელ მხატვარს ლექსი მიუძღვნა. სამწუხაროდ, ამ ლექსის ბედი უცნობია. ამის შესახებ

ლადო გუდიაშვილი წერდა: „მასხოვს, ერთხელ მე ტიცინან ვესტუმრე. ფართო ოთახში მრგვალ მაგიდას უსხდნენ პაოლო იაშვილი, ნიკოლოზ მინიშვილი და კოლაუ ჩერნიავსკი. კოლაუ ფიროსმანისადმი მიძღვნილ თავის ახალ ლექსს კითხულობდა, რომელიც ყველას მოეწონა“.

იულია მაკოვსკაია (1888-1962), პოეტისა და აღმოსავლეთმცოდნის, იური მარის მეუღლის დამ თავისი ადრეული ლექსები გამოაქვეყნა მოსკოვის ჟურნალში – „Журнал для хозяек“. ტფილისში კი იგივე ნაწარმოები გამოქვეყნდა პოეტ იური დეგენის (1896- 1923) ჟურნალ „ფენიქსში“. იულია მაკოვსკაია გამოდიოდა „პოეტების საამქროში“, იბეჭდებოდა აღმანახებში, ასევე „ცხრა პოეტში“, იყო მონაფე პოეტისა და ლიტერატურის ისტორიკოსისა იური ვერხოვსკისა (1878- 1956), რომელიც 1920 წლამდე ტფილისში ცხოვრობდა. ილია ზდანევიჩის თანახმად, მან იგი 1913 წლის 1 თებერვალს სამიკიტნო „ვარიანში“ ფიროსმანის სურათების სანახავად მიიყვანა. 1926 წელს იულია მაკოვსკაია დაწერა ლექსი „რას ეტყოდა შავი ლომი ფიროსმანს, მას რომ ლაპარაკი შესძლებოდა“. აი, ერთი ფრაგმენტი ამ ნაწარმოებიდან:

„Художник Пиросман с клеенкою
возился,
И черный лев на ней явился.
Прошли года. Пришел конец
И живописцу. Льва творец
Исчез под гробовой доскою,
А лев остался и с тоскою
На зрителей косится лица.
Он им сказал бы, если б мог:
- Я черный лев, но одиночек,
Мне Пиросман не сделал львицы.“

როგორც ცნობილია, სურათი „შავი ლომი“ ფიროსმანმა დაუხატა გასართობ ბაღ „ელდორადოს“ მფლობელ ყარამან ტიტჩიჩევის პატარა ვაჟს. ესაა მხატვრის ერთ-ერთი ბრწყინვალე სურათი, რომელ-

ზედაც ასახულია ნაღვლიანი და დიდებული ცხოველი. ილია ზდანევიჩის ზემოთ ხსენებულ დღიურში, 1913 წლის სურათების ჩამონათვალში, „შავი ლომიცაა“ მოხსენიებული. 1915 წელს, ტიტჩიჩევის გამგზავრებისა და „ელდორადოს“ დახურვის შემდგომ, იქ დაკიდებული ყველა სურათი კირილე ზდანევიჩმა შეიძინა.

ფიროსმანს პოეტურ სტრიქონებს უძღვნიდნენ შესანიშნავი ქართველი პოეტები: ტიცინან ტაბიძე, ვალერიან გაფრინდაშვილი, გრიგოლ რობაქიძე, სიმონ ჩიქოვანი. 1919 წელს გალაკტიონმა დაწერა ლექსი „თეთრი პელიკანი“. ტფილისში მაშინ ამ სახელწოდების დუქანი იყო, მისი მფლობელი კი – სანდრო კოჭლაშვილი. ფიროსმანმა ამ დუქნის კედლები პელიკანებით მოხატა. 1940 წელს ლადო ასათიანმა მხატვარს მიუძღვნა ლექსები: „ფიროსმანის მეგობრებთან“ და „ფიროსმანის დუქანი“.

მოგვიანებით მხატვარს მიუძღვნეს ლექსები ბულატ ოკუჯავამ („სიმღერა მხატვარ ფიროსმანზე“), პაველ ანტოკოლსკიმ („ნიკო ფიროსმანაშვილი“), ანდრეი ვოზნესენსკიმ („მილიონი ვარდი“). რამდენიმე ლექსის ტექსტზე მუსიკაც დაინერა, რომლებიც ძალზე პოპულარული იყო საქართველოსა და რუსეთში.

1959 წელს სიმონ ჩიქოვანმა ფიროსმანს უძღვნა ლექსი „ფიროსმანის ლამეები“ (რუსულად თარგმნა პაველ ანტოკოლსკიმ). ამონარიდი ამ ნაწარმოებიდან:

„და გიხილე, ლამეს ხევდი ფუნჯით,
ვარდებს თესდი მარგარიტას
სახლში
მთის მიხვეულ და მოგრეხილ ქუჩით
შინ მიგქონდა მუშამბა და ხასი.
მეეზოვე კარს რაზავდა კეტით,
რად ეტრფიო „ორთაჭალის ტურფას“,
მთელი ლამე შენ დაჰქროდი ეტლით
ან ხატავდი საქართველოს სუფრას“.

1927 წელს ტიცინან ტაბიძემ დაწერა ლექსი „იმათი იყოს ეს სადღეგრძელო (ნი-

კო ფიროსმანი):

„იყო საწყალი ერთი ოსტატი.
ასეთ ოსტატებს ზრდის საქართველო.
იკურთხოს მადლით მარჯვენა მათი,
იმათი იყოს ეს სადგერძელო“.

1936 წელს კი ლექსში „შემოდგომის
დღე ოქროყანაში“ ტიცციან ტაბიძე იტყვის:
„თითქო სურნელობს პური
დამცხვარი
და ფიროსმანი ედება კედელს“ .

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ტიცციან
ტაბიძემ მონაწილეობა მიიღო დიდების
ტაძარში 1919 წელს მოწყობილი ფიროს-
მანის პირველი გამოფენის ორგანიზება-
ში. 1922 წელს გაზეთ „ბახტრიონში“ (№28)
გამოქვეყნებული მისი სტატია მთლიანად
ედღენებოდა ფიროსმანის ცხოვრებასა და
შემოქმედებას. 1927 წელს მან შექმნა ნარ-
კვეცი მხატვრის შემოქმედებისა და ტრა-
გიკული ცხოვრების შესახებ, სადაც იგი
ხაზსასმით აღნიშნავდა, რომ ფიროსმანი
სახელს დაიმკვიდრებდა პოეზიის ეპოსსა
და მითოლოგიაში.

1935 წლის 18 ოქტომბერს გაზეთ-
მა „ბახტრიონმა“ გამოაქვეყნა ვალერი-
ან გაფრინდაშვილის ლექსი „ვაჟა და
ფიროსმანი“. მის თემად იქცა თითქმის
ლეგენდარული მეგობრობა პოეტისა და
მხატვრისა, რომელსაც უყვარდა ვაჟას
შემოქმედება. ტიცციან ტაბიძე მათ შესახებ
წერდა: „ორივეს ახასიათებდა არაადამიან-
ური ფანტაზია, ჰეროიკულობის კულტი,
მშობლიური მიწის სიძლიერე და ხალხურ
ფესვებთან სიახლოვე“ (ტ. ტაბიძე. სტა-
ტიები, ნარკვევები, მიმოწერა. თბილისი.
1964. გვ. 175).

შეუძლებელია გვერდი აუარო მარკ ტა-
ლოვის (1892- 1969) ლექსს „ნიკო ფიროს-
მანი“, რომელიც მან 1968 წელს მიუძღვნა
კირილე ზდანევიჩს. ტალოვი იყო პოეტ
გიორგი ევანგულოვის (1894- 1967) მიერ
1921 წელს პარიზში დაარსებულ ჯგუფ
„პოეტების პალატის“ წევრი. ის ემეგობ-
რებოდა ლადო გუდიაშვილსა და კირილე
ზდანევიჩს, თავის თავზე კი ამბობდა: „მე
საქართველოს მეგობარი ვარ და ეს უეჭ-

ველია“. პარიზში ის დაუახლოვდა პაოლო
იაშვილსაც, იცნობდა ამადეო მოდილი-
ანს, ხატავდა მასა და მის მეუღლე ჟანა
ეზიუტერნს კაფე „როტონდაში“. გიორგი
ევანგულოვის ლექსი – „ნიკო ფიროსმანი“
– ქართულად იოსებ გრიშაშვილმა თარ-
გმნა (ინახება საქართველოს ხელოვნების
მუზეუმში დაცულ კირილე ზდანევიჩის
პირად ფონდში. პირველად ის გამოქვეყ-
ნდა ჩემს წიგნში «Тифлис, твои поэты в
свое!» (თბილისი. 2014. გვ. 53).

რამდენიმე სტრიქონი მარკ ტალოვის
ლექსიდან:

„О ком я говорю? О Пиросмани!
Он вывески расписывал, малярил,
Писал картины допоздна в духане,
Пока последний рупь не разбазарил“.

ბოლოს კი:

„И он всю веру вылил безотчетно,
Пусть во встревоженное бегство лани,
Заставил полюбить свои полотна.“

ემიგრაციაში, პარიზში, ილია ზდანევიჩი
კალამს სცდიდა პროზაში, წერდა სონეტებ-
სა და ლექსებს. 1940 წელს მან გამოსცა
ლექსების კრებული „Афет“-ი, 1971 წელს კი
– „Бустрофедон в зеркале“. ამ პოემაში მან
მხოლოდ ახსენა თავისი საყვარელი მხატ-
ვარი – „ფიროსმანაშვილი. ჩემი მხატვარი“. ჩვენ
სამუდამოდ მადლიერნი ვიქნებით
ილია ზდანევიჩისა, ფიროსმანის ამ ერთ-
ერთი პირველდამომჩენის კეთილშობილუ-
რი განზრახვის გამო, მაგრამ, გასაკვირია,
თვითონ რატომ არ მიუძღვნა ფიროსმანს
ერთი პოეტური სტრიქონიც კი.

გიორგი ლეონიძე აღნიშნავდა, რომ
შეიძლება არავინაა ისე დაინტერესებული
მხატვრის ბედ-იღბლით, როგორც მისით
მოხიბლული პოეტები. კირილე ზდანევიჩი
კი მოუწოდებდა: „საქართველოს პოეტე-
ბო, განადიდეთ ფიროსმანაშვილი, საქარ-
თველოს მხატვრებო, განადიდეთ ფიროს-
მანაშვილი!“